„ნადარეიშვილს სჭირდება ახალი „კრიშა" - მიშა" A2

განათლების მინისტრი კი გაგვიბრაზდა, მაგრამ არ გადადგა? A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 27 ნოემბერი, 2003 წელი. №308 (520)

ფასი 50 თეთრი

# მიხეილ სააკაშვილი - საერთო კანდიდატი

პრეზიდენტი ბუში ბურჯანაძეს მყისიერ დახმარებას დაჰპირდა

გიორგი ასანიშვილი

*ნინო ბურჯანაძის გუშინდელი განცხადების შემდეგ 4 იანვრის ვადამდელმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ინტრიგა პრაქტიკულად დაკარგა. როგორც ირკვევა, "ბურჯანაძე-დემოკრატებისა" და "ნაციონალურ მოძრაობის" შეთანხმების საფუძველზე, მიხეილ სააკაშვილის სახით, მათ საპრეზიდენტო არჩევნებში საერთო კანდიდატი ეყოლებათ. პრეზიდენტობის მსურველი დანარჩენი პოლიტიკური სპექტრიდან, ალბათ, "ვარდების რევოლუციის" წინამძღოლს რეალურ კონკურენციას ვერავინ გაუწევს.*

"ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" პოლიტიკური ალიანსი, საპრეზიდენტო "დონეზე" შეთანხმებასთან ერთად, საპარლამენტო და სამთავრობო

გაგრძელება A3 გვერდზე



*ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტობაზე მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურას ასახელებს.*

## პრეზიდენტობის კანდიდატი - წარმოდგენები და რეალობა

ეკა კვესიტაძე

ახალ ეპოქას შევარდნაძის შემდეგ სათავეში მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგება. თუმცა, შექმნის თუ არა თავად სააკაშვილი ეპოქას – ამაზე პასუხი, ბუნებრივია, ჯერ არ არსებობს.

პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატს ბოლო წლების განმავლობაში ხშირად ადარებდნენ სხვადასხვა დროის ეგზალტირებულ ლიდერებს და ხალხს ათასი რამით აშინებდნენ – ბოლშევიზაციით, ფაშიზმით, რეპრესიებით.

გამარჯვების დღეს სააკაშვილი, ყველასათვის მოულოდნელად, საოცრად მშვიდი იყო, ეგზალტაციის არაფერი ეტყობოდა და საუბარი არც მოსალოდნელ რეპრესიებზე, არც ბოლშევიზაციაზე და, მით უმეტეს, არც ფაშიზმის დამყარებაზე არ დაუწყია.

ამერიკის ოფიციალურ პირებსაც კი, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ეჭვის თვალით უყურებდნენ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს და დარწმუნებულები არ იყვნენ, რა როლს შეასრულებდა ის ქართულ პოლიტიკაში, სააკაშვილის გაწონასწორებულმა კომენტარებმა აზრი მნიშვნელოვნად შეუცვალა.

თუმცა, მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ მოუწევს იმის დამტკიცება, რომ არჩევანი, რომელიც გაერთიანებულმა ოპოზიციამ გააკეთა, სწორი იყო.

ბევრი ელოდა, რომ რევოლუციის მოგების შემდეგ ოპოზიციის ერთიანობას საფრთხე დაემუქრებოდა, ლიდერებს პიროვნულ ამბიციებზე მაღლა დადგომა გაუჭირდებოდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსეთის პარლამენტში ბოლმა ახრჩობთ

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის დიპლომატიური უწყების დერეფნებში საუბრობენ ამიერკავკასიაში რუსეთის შეცვლილ პრიორიტეტებზე. ექსპერტთა დასკვნით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის ინტსენსიური შეხვედრები აჭარისა და "სამხრეთ ოსეთის" ლიდერებთან. რაც შეეხება აფხაზეთის პრემიერ-მინისტრს, იგი მოსკოვში დღეს ჩამოდის და სამმხრივ შეხვედრას შეუერთდება.

ამ ფაქტის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავს რუსეთის პარლამენტი. **"რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოში იმ პოლიტიკის გატარებას იწყებს, რასაც მას თავს ახვევს ბუშის ადმინისტრაცია,"** - ასეთი თვალსაზრისი გამოითქვა პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში.

რუსი პარლამენტარების უდიდესი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოში მიმდინარე მოვლენებით.

**"ჩვენი საგარეოპოლიტიკური უწყება ამჟამად ამერიკული ინტერესების გატარებას აპირებს. აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერებს მოსკოვი საქართველოს შემდგომი დაშლისათვის სტიმულს აღარ მისცემს,"** - სინანულით აცხადებს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიაჩესლავ იგრუნოვი. რუსი პოლიტიკოსების

გაგრძელება A3 გვერდზე

## დარჩა ლიგა შოთას გარეშე




*ბექჰემმა ანგარიში გახსნა.*

REUTERS

---

— პოლიტიკა —

### ედპ - სარიშვილის გარეშე

ირინა სარიშვილი საკუთარი პარტიიდან გაუშვეს. გუშინ მან ედპ-ს თავმჯდომარის თანამდებობა ოფიციალურად დატოვა. იგი ახალი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებას აპირებს, რომელსაც უკვე სახელიც კი შერჩეული აქვს - "ახალი ძალა".

A3

— ეკონომიკა —

### სავაჭრო ობიექტების მფლობელებს აჭარის საზღვრის ჩაკეტვა აშფოთებთ

საქართველოში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების ფონზე ქვეყნის სავაჭრო სფეროში განსაკუთრებული რყევები არ მომხდარა. თუმცა, არსებობს ერთი საფრთხე - აჭარაში საგანგებო რეჟიმის გამოცხადებამ შესაძლოა, ქვეყანაში გარკვეულ პროდუქციაზე დროებითი დეფიციტი შექმნას.

A4

— უცხოეთი —

### მოლდოვას პრეზიდენტმა შევარდნაძის ბედი გაითვალისწინა

მოლდოვას პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა უკანასკნელ მომენტში უარი განაცხადა, ხელი მოეწერა რუსეთის მიერ შეთავაზებულ გეგმაზე, რომელიც დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებას ისახავდა მიზნად. ანალიტიკოსები ვორონინის ამ ნაბიჯს საქართველოს მოვლენების მოლდოვაში გამეორების შიშით ხსნიან.

A5

— საზოგადოება —

### აქციები ლექციების მაგივრად - ახალ გადაწყვეტილებამდე

"კმარას" მიერ უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში მომხდარმა ინცინდენტმა და შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტების დიდი ნაწილი ქუჩაში გამოიყვანა. ისინი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის უნივერსიტეტში მისვლამდე არ დაშლილან.

A6

— სამართალი —

### მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

გუშინ, გამთენიისას, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, სამსახურებრივ ავტომანქანაში, დუშეთის რაიონის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლევან გოგოლაური მოკლული ნახეს.

A7

— ამინდი —

| | |
|---|---|
| თბილისი | 13 |
| ქუთაისი | 18 |
| ბათუმი | 18 |
| სოხუმი | 18 |
| ფოთი | 19 |
| თელავი | 13 |
| ზუგდიდი | 19 |
| გორი | 11 |
| ახმეტა | 13 |
| ჭიათურა | 14 |
| გაგრა | 16 |
| სამტრედია | 19 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1575 |
| ევრო | 2.5525 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6699 |
| რუბლი | 0.0726 |

---

## ქვეყანა ცვლილებების მოლოდინში

*გუშინ, ყოფილმა ერთიანმა ოპოზიციურმა ბანაკმა პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი დაასახელა. ბუნებრივია, მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურა მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ უცნობია, თუ როგორ შეიცვლება ქვეყნის მართვის მოდელი. თუმცა, ერთი რამ ცხადია – საქართველოს დღეს არა მხოლოდ ახალი პრეზიდენტი, არამედ მმართველობის ახალი ფორმა სჭირდება.*

თამარ მჭედლიშვილი

**"სერიოზულად შეიცვლება ყველაფერი, რაც საშინაო მმართველობის საკითხებს ეხება,"** - ეს განცხადება გუშინ მოქმედმა პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ გააკეთა. თუმცა, ჯერჯერობით, საჯაროდ არ თქმულა, თუ კონკრეტულად რა ცვლილებებზეა საუბარი. ამის მიუხედავად, უკვე ნათელია, რომ საქმე საკონსტიტუციო ცვლილებებს - მინისტრთა კაბინეტისა და პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებას ეხება.

ბუნებრივია, ე.წ. "ხავერდოვანი რევოლუციის" განხორციელების შემდეგ დღის წესრიგში ნომერ პირველ საკითხად სწორედ ქვეყნის მმართველობის რეფორმა დგას. ჩვენი ინფორმაციით, ჯერ კიდევ ორი დღის წინ საუბრობდნენ, რომ არ იყო გამორიცხული, საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება 1999 წლის მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილებების ვადის ამოწურვამდე მოხერხებულიყო. ამას მხარს "გაერთიანებული დემოკრატები" უჭერდნენ, რადგან ახალ პრეზიდენტთან ერთად, ქვეყანას ახალი ინსტიტუტი – პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტი ეყოლებოდა.

თუმცა გუშინ, დღის პირველ ნახევარში ცალსახად ითქვა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს ახალი მოწვევის პარლამენტი განახორციელებს. ჯერჯერობით უცნობია, გაიმართება თუ არა საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტოს პარალელურად. არც ის არის ცნობილი, ეს მხოლოდ პროპორციული არჩევნები იქნება თუ, მასთან ერთად, მაჟორიტარულიც.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვინ შეასრულებს ხალხის დაკვეთას

ცვლილებები გენერალურ პროკურატურაში

*დანაშაულებრივი ჯაჭვი ძალოვან სტრუქტურებსა და დანაშაულებრივ სამყაროს შორის უნდა გაწყდეს, უნდა დაინგრეს კორუფციული პირამიდა – ხელფასების და პენსიების გარდა, სწორედ ამას ელის საქართველოს მოსახლეობა მისი მოყვანილი ახალი ხელისუფლებისგან და არა ისეთ, რბილად რომ ვთქვათ, არაფრის მომტან საკადრო ცვლილებებს, რომლებიც ბოლო ორ დღეში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის სათავეებში.*

სოფიკო ჩხაიძე

ხალხის ამ დაკვეთის შესასრულებლად ახალმა ხელისუფლებამ რადიკალური – ინსტიტუციონალური და საკადრო ცვლილებების გატარების გზით უნდა იაროს. პირველ რიგში კი, ეს ცვლილებები იმ სამართალდამცველ სტრუქტურებს უნდა შეეხოს, რომლებსაც ყოფილი ხელისუფლების კრიმინალიზებაში უშუალო წვლილი მიუძღვის და რომლის შიგნით არსებული კორუფცია სახელისუფლებო კორუფციული პირამიდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საყრდენსა და საფუძველს წარმოადგენდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## რით შეივსება დაცარიელებული ხაზინა?

თამარ ხორბალაძე

საქართველოს დროებითი მთავრობის ეკონომიკური გუნდის შემადგენლობაში პირველი ცვლილებებია - ავთანდილ ჯორბენაძის და მირიან გოგიაშვილის გადადგომის შესახებ ჯერ კიდევ სამშაბათს გახდა ცნობილი.

ოთხშაბათს დილით, საქართველოს მოქმედ პრეზიდენტთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ ცნობილი ხდება ისიც, რომ თანამდებობას არ ტოვებს მამუკა ნიკოლაიშვილი - ამ ზამთრის პირზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის შეცვლა არასწორ ნაბიჯად ითვლება. ნიკოლაიშვილი ნინო ბურჯანაძისგან დავალებებს იღებს და აცხადებს, რომ იგი ფინანსთა სამინისტროსთან "კოორდინირებულად" იმოქმედებს.

ჯერჯერობით არ ეხებიან არც ეკონომიკის მინისტრს.

თავისთავად, საფრთხე არ ელის სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომელიც შევარდნაძის მთავრობაშიც, ძირითადად, უცხოური, მათ შორის აშშ-ს აქტიური მხარდაჭერით ინარჩუნებდა პოსტს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## მეზობლები თბილისის მოვლენების შესახებ

დსთ-ს სახელმწიფოები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს თბილისში განვითარებულ მოვლენებს. ისინი, როგორც ჩანს, შიშობენ, რომ სახალხო გამოსვლების გზით შევარდნაძის დამხობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მათი მმართველი რეჟიმების სტაბილურობაზე. დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს კიდეც, რომ თბილისის მოვლენებმა შეიძლება არასტაბილურობა გამოიწვიოს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში.

1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დსთ-ს სახელმწიფოთა უმეტესობამ, პირველ რიგში კი - შუა აზიის ქვეყნებმა, უარი თქვეს დემოკრატიზაციაზე და ავტორიტარიზმის გზით წავიდნენ. დსთ-ს ლიდერთა უმრავლესობისათვის საქართველოში ძალაუფლების ცვლილება ცუდი პრეცედენტია.

კიევში შეკრებილმა დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს საქართველოს დროებით ხელისუფლებას, ქვეყანაში პოლიტიკური გარდაქმნები "მხოლოდ კონსტიტუციური გზით" წაიყვანონ. დიპლომატიურ ლექსიკონში გათვითცნობიერებული ადამიანების აზრით, ეს საქართველოში განვითარებული მოვლენების კრიტიკას ნიშნავს.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 საზოგადოება

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## თავდასხმა საავიაციო ქარხნის დირექტორზე

გუშინ საღამოს, ბათუმის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან, იმ დროს, როცა 31-ე საავიაციო ქარხნის დირექტორი პანტიკო თორდია საკუთარ "მერსედესს" ავტოფარეხში აყენებდა, მას რამდენიმე უცნობი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა თორდიას თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს და გაიქცნენ. თავის არეში მიღებული დაზიანების გამო, დაზარალებული ჭრილობის დასამუშავებლად სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ვინ იყვნენ თავდამსხმელები და ზუსტად რამდენი, არც თავად დაზარალებულმა იცის და არც იმათ, ვინც მომხდარის დროს შორიახლოს იმყოფებოდნენ.

**"თავდამსხმელთა ვინაობა დაუდგენელია. ჯერჯერობით, სამართალდამცველებისთვის ჩვენება არც დაზარალებულ თორდიას მიუცია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს არ იყო დაყაჩაღების მცდელობა. თავდამსხმელთა მხრიდან პანტიკო თორდიას მისამართით მუქარას ადგილი არ ჰქონია. სიბნელის გამო, თავდამსხმელები თითქმის ვერავინ დაინახა. ვნახოთ, რა ჩვენებას მისცემს გამოძიებას 31-ე საავიაციო ქარხნის დირექტორი,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილემ დავით ქაცარავამ.

*24 საათი*

## ქვემო ქართლის გუბერნატორი გადადგა

მაია მოსიაშვილი

ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ კობიაშვილი ორი დღის წინ აცხადებდა, რომ თანამდებობის საკუთარი ნებით დატოვებას არ აპირებდა. გუშინ დილით მან ჟურნალისტებთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ უკვე გადაწყვიტა პოსტიდან ნებაყოფლობით წასვლა. კობიაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან მასზე ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, თუმცა იქვე დაამატა, რომ გადაწყვეტილება ირაკლი ბოჭორიძესთან საუბრის შემდეგ მიიღო, რომელმაც მას უთხრა, რომ ნინო ბურჯანაძეს კატეგორიულად არ სურს კობიაშვილის გუბერნატორობა. სამაგიეროდ ყოფილი პრეზიდენტის ყოფილმა რწმუნებულმა რუსთაველი "ნაციონალების" ლიდერს გიორგი ხევიაშვილს მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.

ლევან მამალაძის რუსთავულ გარემოცვას ზურაბ კობიაშვილი დღის ბოლომდე უმალავდა იმას, რომ მიდიოდა. უნდა ითქვას, რომ მამალაძის "თანამებრძოლთა" გუნდი ბოლო ორი დღის განმავლობაში საგრძნობლად დაპატარავდა და ბევრმა მედროვემ 23 ნოემბერსვე იზრუნა სხვა მფარველის მოძებნაზე. თუმცა მას ჯერ კიდევ დარჩნენ ერთგული ადამიანები როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში, ასევე რაიონებში. ერთ-ერთი მათგანი, ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე გააფთრებით იცავს თავს. გუშინ და გუშინწინ ადგილობრივ "ნაციონალებთან" მოწყობილი "გარჩევები", ჯერჯერობით, ჯაფარიძის სასარგებლოდ დასრულდა. თავად მამალაძე ამჟამად გურიაში იმყოფება. ის აცხადებს, რომ ჯერჯერობით, კონკრეტული გეგმები არ აქვს და შორიდან ადევნებს თვალს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

ქვემო ქართლის გუბერნატორის მოვალეობას სავარაუდოდ ვიცე-გუბერნატორი მერაბ ასანიშვილი შეასრულებს. გუშინ საღამოს "24 საათთან" საუბარში ასანიშვილმა განაცხადა, რომ არაფერი იცის კობიაშვილის გადაწყვეტილების თაობაზე და არც იმაშია დარწმუნებული, რომ გუბერნატორობას მას შესთავაზებენ. მერაბ ასანიშვილი მამალაძეს წინასაარჩევნო პერიოდში განუდგა და სამსახურში მხოლოდ ორი დღის წინ დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, თუ გუბერნატორის პოსტს ასანიშვილი დაიკავებს, სამხარეო ადმინისტრაციაში რაიმე მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებას არ უნდა ველოდეთ, რადგან მას იქ მომუშავე ადამიანებთან წლები და პირადი ურთიერთობები აკავშირებს.

## ლტოლვილები ევროკომისიისაგან 2,2 მილ ევროს მიიღებენ

მერი კახიანი
*ვენიდან*

საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებისაგან დამოუკიდებლად, ევროკომისიამ თანხმობა განაცხადა, რომ საქართველოს 2,2 მილ ევროთი დაეხმაროს. **"ამ თანხით შეძენილი იქნება, ძირითადად, საკვები პროდუქტები და ამით, იმედია, ათასობით ლტოლვილის გაჭირვება ცოტათი მაინც შემსუბუქდება,"** - განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა და ხაზგასმით დასძინა: **"ჩვენ მივესალმებით იმ ფაქტს, რომ კონფლიქტი დიალოგის საშუალებით მოგვარდა. ევროკომისია მზად არის, რომ საქართველოს დაეხმაროს."**

## აბაშიძე რუსეთის ბაზის გამოყენებით იმუქრება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ თუ რეგიონსა და თბილისს შორის ურთიერთობები ნეგატიური კუთხით განვითარდა, მაშინ რუსეთის მეთორმეტე სამხედრო ბაზის იმედი აქვს, რომელიც ბათუმშია დისლოცირებული.

როგორც მოსკოვში ვიზიტით მყოფმა ასლან აბაშიძემ ოთხშაბათის პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბაზის პირადი შემადგენლობის, დაახლოებით, 70 პროცენტი აჭარის მოსახლეობაა, რომელიც თავის ინტერესს დაიცავს.

ადრე, რუსეთის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობა, მათ შორის - თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, აღნიშნავდა, რომ საქართველოში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზები ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ჩაერევიან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი 4 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს, რამდენადაც დარწმუნებულია, რომ შედეგები გაყალბდება. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**რუსთავი.** საქართველოდან გაქცევის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია ლევან მამალაძემ უარყო. მისი განცხადებით, მისი ოჯახის მიმართ არაერთგზის მუქარამ იგი აიძულა, ოჯახი მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, თბილისიდან წაეყვანა. მამალაძეების ოჯახი ამ დროისთვის იმყოფება გურიაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებმა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბების ფაქტზე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დღეს განცხადება შეიტანეს და ცესკო-ს თავმჯდომარის, მისი წევრებისა და რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯინბა არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს იმ შეხვედრებში, რომელსაც მოსკოვში აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მართავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი" ქვეყნის გარდამავალ ხელისუფლებას კავშირის მორალური განადგურების მცდელობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ შექმნილ ვითარებაში კავშირის თავმჯდომარე ვაჟა ლორთქიფანიძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. **ინტერ-პრესი**

## „ნადარეიშვილს სჭირდება ახალი „კრიშა" - მიშა"

ვერიკო თევზაძე

**"როცა ნადარეიშვილს ვუთხარი, არ ხარ პოსტზე დარჩენის ღირსი-მეთქი, მიპასუხა, რომ სახელისუფლებო ბლოკში საგანგებო დავალებით იყო, აგენტის როლს ასრულებდა და დევნილებს მოუწოდებდა, ხმა "ნაციონალური მოძრაობისთვის" მიეცათ. ეს უფრო ნამიბიურ ზღაპარს ჰგავს, ქართული ხალხური ზღაპარი ბევრად უფრო ბრძნულია... ნადარეიშვილი ახლა საკუთარი ტყავის გადარჩენისთვის იბრძვის. მას სჭირდება ახალი "კრიშა" – მიშა და ამიტომაც ეფერება სააკაშვილს,"** - განუცხადა "24 საათს" აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ზურაბ თოდუამ. გუშინ აფხაზეთის დევნილი მოსახლეობა "იმელის" შენობის წინ შეიკრიბა. მომიტინგეები თამაზ ნადარეიშვილის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებას მოითხოვენ.



ვახო ხაინდრავას ფოტო

*დევნილები ნადარეიშვილს "ფერიცვალებაში" ადანაშაულებენ.*

**"12 წელი შევარდნაძის ლაქია იყო, 12 წელი გვატყუებდა, 12 წლის განმავლობაში დევნილებისთვის არაფერი გაუკეთებია,"** - ნადარეიშვილის მიმართ საყვედურები ისმოდა როგორც ტრიბუნაზე მდგარი გამომსვლელების, ასევე აქციის რიგითი მონაწილეების მხრიდან. აქციის ორგანიზატორებმა დევნილებს გააცნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს სპეციალური განცხადება, რომელიც შეიცავდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის გადაყენების მოთხოვნას.

თავად თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, რომ აქციის ორგანიზატორები შექმნილი ვითარებით სარგებლობენ: **"ეს ხალხი აფხაზეთის დაბრუნებისთვის კი არა, სავარძლების გადანაწილებისთვის იბრძვის."** ნადარეიშვილის თქმით, თანამდებობაზე დარჩენა მას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ სთხოვა.

**"თუ თავისი ნებით არ გადადგა, მის სკამსაც იგივე ბედი ეწევა, რაც შევარდნაძის სკამს მოუვიდა,"** – აცხადებენ დევნილები. მათი განმარტებით, აქცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე არ შეწყდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ოთხ იანვარს დანიშნულ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის კანცელარიაში განაცხადი გუშინ "დავით აღმაშენებლის პარტიის" თავმჯდომარემ როინ ლიპარტელიანმა შეიტანა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დემოკრატიული წეს-წყობილება, რომელიც ბრუნდება საქართველოში, გავრცელდება მის ყველა რეგიონში და მათ შორის, აჭარაშიც, - აცხადებს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი. როგორც მან განაცხადა, "აჭარის ხელისუფლების დემონტაჟი, ეტაპობრივადაა გასაკეთებელი". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" ერთ-ერთი ლიდერი გურამ შარაძე, საქართველოში 23 ნოემბერს მომხდარ ფაქტს, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ პრეზიდენტის პოსტი დატოვა, სახელმწიფო გადატრიალებას უწოდებს. როგორც შარაძემ განაცხადა, "სახელმწიფო გადატრიალება იელოველთა და ბაპტისტურ სექტების, "სოროსის ფონდის" და თაღლითი დიპლომატის, აშშ-ს ელჩის საქართველოში, რიჩარდ მაილსის მიერ იყო დაგეგმილი და დაფინანსებული". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "21-ე საუკუნე" ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს "სახელმწიფო დამნაშავეს" უწოდებს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. როგორც პრესკონფერენციაზე ფრაქცია "21-ე საუკუნის" წევრმა ანზორ აბრალავამ განაცხადა, შევარდნაძე დამნაშავეა 1992 წელს, ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში, სამეგრელოში სისხლიანი დარბევების მოწყობასა და სახელმწიფოს გაღატაკებაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოთხ იანვარს დანიშნულ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის კანცელარიაში, ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი, უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის იგორ გიორგაძის განაცხადი შეიტანეს. **პრაიმ-ნიუსი**

btc

SCP
South Caucasus Pipeline

**მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (HIV) და სხვა ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების თაობაზე**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის (SCP) პროექტები**

**ოპერატორი - კომპანია BP**

გამოცემის თარიღი: **2003 წლის 26 ნოემბერი**
დახურვის თარიღი და დრო: **2003 წლის 19 დეკემბერი, 16:00 საათი (თბილისის დროით)**

კომპანია BP, როგორც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" (BTC) და შპს "სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიის" (SCP) სახელით მოქმედი ოპერატორი კომპანია, იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს განაცხადების წარმოსადგენად, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში HIV და სხვა ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების პროგრამის განხორციელებას.

ეს პროგრამა მიზნად ისახავს HIV და სხვა ვენერიული ინფექციების გავრცელების საფრთხის შემცირებას, მილსადენების მშენებლობაზე მომუშავე მუშახელსა და მშენებლობის მიმდებარე დასახლებების მოსახლეობას შორის, რაც ადამიანების პირადი ცხოვრების წესის შეცვლის ხელშეწყობის და დამცავი საშუალებების მოხმარებისაკენ მოწოდების გზით უნდა განხორციელდეს.

**გეგმის მიხედვით, პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:**

- მოსახლეობაში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული მილსადენის პროექტის პირდაპირი ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობის ჯგუფებზე;
- ტრენინგები სქესობრივი დაავადებების თავიდან აცილების საკითხებზე, მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებული მუშახელისათვის;
- კონტაქტი ჯანდაცვის ადგილობრივ ორგანოებთან და მშენებლობის კონტრაქტორის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან.

**BP მიესალმება ალიანსების შექმნას საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებსა და სათემო ორგანიზაციებს შორის, ამ პროგრამის სისრულეში მოყვანის მიზნით.**

სატენდერო წინადადების წარმოდგენა შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ:

- არა-კომერციული, კერძო მოხალისე ორგანიზაციები (PVO) და არასამთავრობო ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომლებთაც ოფიციალური რეგისტრაცია და საქართველოში საქმიანობის წარმოების ნებართვა გააჩნია.
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო ან კომერციული ფირმები, რომლებიც მზად არიან, იმუშაონ "ფაქტიური ღირებულების" პრინციპზე დაყრდნობით (ანაზღაურებაზე / მოგებაზე უარის თქმის პირობებში).
- საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც საქართველოში საქმიანობისთვის რეგისტრაცია არ გააჩნია, მაგრამ მოქმედებს ადგილობრივ ორგანიზაციასთან პარტნიორული ხელშეკრულების / ოფიციალურად გაფორმებული ალიანსის ჩარჩოებში.
- ზემოხსენებული ორგანიზაციების ნებისმიერი კომბინაცია - პარტნიორული ხელშეკრულების/ოფიციალურად გაფორმებული ალიანსის საფუძველზე.

**ლიდერ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობის დემონსტრირების უნარი, როგორიცაა:**

- დადასტურებული გამოცდილება, რომელიც მოიცავს საქართველოს მოსახლეობაში HIV და ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების სამუშაოს შესრულებას, ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის პირობებში.
- საერთაშორისო აუდიტორიისთვის ტრენინგის ჩატარების დადასტურებული გამოცდილება.
- საქართველოს ჯანდაცვის ხელმძღვანელ ორგანოებთან მუშაობის გამოცდილება.
- დასაბუთებული გამოცდილება გრანტის ტიპის ისეთი პროექტების ან მისი ეკვივალენტური ინიციატივების მენეჯმენტის და/ან განხორციელების სფეროში, რომლის ბიუჯეტი მთელი პროექტის განმავლობაში მინიმუმ 50 000 აშშ დოლარს შეადგენს.
- სამუშაოს მთელი მოცულობის ისეთი ფორმით შესრულების უნარი, როცა მოცემულ საქმიანობაში ჩართული თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება არის დაცული.
- რევიზირებადი ანგარიშების აღრიცხვის წარმოების უნარი.

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადა არის 2003 წლის 19 დეკემბერი, თბილისის დროით 16:00 საათი. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ "სატენდერო წინადადებების მოწვევის" (RFP) დოკუმენტაციის სრული კომპლექტი 2003 წლის 26 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე, მისამართზე:

**BP-ს პროექტის ოფისი
საქართველო, თბილისი, 380094
საბურთალოს ქუჩა N38**

"მოწვევის" დოკუმენტაციის გაცნობა 19 დეკემბრამდე ასევე შესაძლებელი იქნება ინტერნეტ-მისამართზე: www.caspiandevelopmentandexport.com

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და თავად "სატენდერო წინადადებების მოწვევის" დოკუმენტაციაც ქვეყნდება მხოლოდ ინგლისურ ენაზე. წერილობითი განმარტების მიღების თხოვნები მიიღება 2003 წლის 8 დეკემბრის 16 საათამდე (თბილისის დროით), ხოლო საპასუხო განმარტებები გამოიცემა 2003 წლის 12 დეკემბერს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ედპ - სარიშვილის გარეშე

სოფო ბუკია

*ირინა სარიშვილი საკუთარი პარტიიდან გაუშვეს. გუშინ მან ედპ-ს თავმჯდომარის თანამდებობა ოფიციალურად დატოვა. იგი ახალი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებას აპირებს, რომელსაც უკვე სახელიც კი შერჩეული აქვს - "ახალი ძალა".*

"სიმართლე ყველგან და ყოველთვის" - 1996 წლიდან დღემდე ირინა სარიშვილი-ჭანტურია სათავეში ედგა პარტიას, რომლის დევიზი სწორედ ასეთი გახლავთ.

სარიშვილის პოლიტიკური გემოვნება არასოდეს ყოფილა დახვეწილი და მყარი. 1993 წელს სარიშვილმა "იმელის" შენობასთან შეკრებილი ხალხი პრეზიდენტ შევარდნაძის ფეხთით დააჩოქა. შემდეგი წლების განმავლობაში იგი, საკმაოდ წარუმატებლად, შევარდნაძის ოპოზიციად ასაღებდა თავს. არ იმალებოდა არც მისი და აჭარის ლიდერის მეგობრობა. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, მან ოპოზიციის მედროშეობაც კი დააპირა. ხაჩიშვილისა და მისი მეგობრების გათავისუფლების მეორე დღესვე ირინა სარიშვილმა თემურ ხაჩიშვილი და გიგა გელაშვილი პროფესიონალ მკვლელებად, გია ჭანტურიას მკვლელობის შემსრულებლებად გამოაცხადა, ხოლო პრეზიდენტი შევარდნაძე - მოსალოდნელი კრიმინალური ქაოსის ინიციატორად. ოპოზიციის გაერთიანება მაშინ სწორედ ედპ-ს ლიდერმა იკისრა და საკუთარი პარტიის ოფისში შვიდ პოლიტიკურ პარტიას მოუყარა თავი, სადაც უმაღლესი კრიმინალური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მემორანდუმიც კი მიიღეს. სარიშვილმა უმთავრეს მიზნად პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა დაისახა. მაშინ შევარდნაძის წიაღში სარიშვილის დაბრუნებას ყველაზე ნაკლებად ვარაუდობდნენ, რადგან ხაჩიშვილის ციხიდან გათავისუფლება სარიშვილის პირად ტრაგედიას შეეხო, რომელიც ედპ-ს ლიდერისთვის, სავარაუდოდ, პოლიტიკურ გარიგებებზე მაღლა იდგა.

თუმცა, ოპოზიციის მიერ მიღებული მემორანდუმი, თავის ხაჩიშვილ-გელაშვილიანად, სულ რაღაც ორიოდე თვეში მიეცა დავიწყებას და ქალბატონი სარიშვილი თავად აღმოჩნდა იმ "კრიმინალური ხელისუფლების" ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის აქტიურ მხარდამჭერადაც "დათვად" ქცეული იგივე ხაჩიშვილი გვევლინებოდა.

2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ სარიშვილი სახელისუფლებო ბლოკის კარის გულთმისნის საპატიო პოსტს ნებაყოფლობით ტოვებს, იმ მოტივით, რომ შევარდნაძეს საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის ეშინია და ამიტომ სააკაშვილ-ბურჯანაძე-ჟვანიასთან საარჩევნო ხმების გადანაწილების საკითხში გარკვეულ დათმობებზე წავიდა. **"პრეზიდენტს შეუძლია პარტიული სიიდან ამოიღოს,"** – თვალთმაქცობს ის ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე იმ იმედით, რომ, კანონით, ამის უფლება პრეზიდენტს არა აქვს...

23 ნოემბერს ხელისუფლებაში მოდიან ადამიანები ვარდებით. ოპოზიციამ გაიმარჯვა, მაგრამ არა იმ გზით, როგორც ეს სარიშვილის წინასწარმეტყველებაშია ნავარაუდევი. პარლამენტი, სადაც სარიშვილს ადგილი ეღირსა, არალეგიტიმურად ცხადდება. მას მხოლოდ ერთი საათით მოუწია სადეპუტატო სკამზე ჩამოჯდომამ.

სარიშვილი ისევ პარლამენტს მიღმა დარჩა. მან კარგად იცის, რომ მისი ადგილი დღევანდელ პოლიტიკურ პალიტრაზე აშკარად არ არის, ის საკუთარ პარტიაშიც არ სჭირდებათ...

მისმა ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა მანევრებმა ედპ-ს რიგებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კულუარული ინფორმაციით, მას ბევრი თანაპარტიელი "პარტიის განადგურებაშიც" კი ადანაშაულებს, თუმცა ღიად ამ თემაზე საუბარს ერიდებიან. ედპ-ს გენერალურმა მდივანმა ბაჩუკი ქარდავამ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგომა თავად ირინა სარიშვილის გადაწყვეტილება იყო და არა პარტიული საბჭოსი. თუმცა, გუშინდელ პრესკონფერენციაზე სარიშვილმა თავად აღნიშნა, რომ ედპ-ს პოლიტიკურმა კომიტეტმა იგი პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან ორი დღის წინ გადააყენა. **"არა მაქვს სურვილი, რაიმე ძვრები გამოვიწვიო პარტიაში. ამიტომ, პარტიის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, უმჯობესი იქნება, შიდაპარტიული ბრძოლების გარეშე გავეცალო ამ ორგანიზაციას. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" ყოველთვის გია ჭანტურიას ოჯახად მიმაჩნდა. იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ მომავალში თანამშრომლობას და ჩვენი გზები არ გაიყოფა,"** – აცხადებს იგი.

სარიშვილი ახალი პოლიტიკური მოძრაობის დაარსებას აპირებს სახელწოდებით - "ახალი ძალა", რომელიც მოწოდებული იქნება, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილი ვაკუუმი ამოავსოს. მისი თქმით, ქვეყანაში დიქტატურა დამყარდა, ამიტომ აუცილებელია საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით შეიქმნას ახალი ძალა, რომელიც "სამეულს" დაუპირისპირდება. სარიშვილი ხელისუფლებაში მოსულ ახალ პოლიტიკურ ძალას შანტაჟში ადანაშაულებს. მისი თქმით, ღამის საათებში მის მობილურ ტელეფონზე ფიქსირდება "შემაძრწუნებელი" სატელეფონო ზარები, რომელთა ავტორი მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს და მის პირად ცხოვრებას ხელყოფს. **"ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი საშიში ადამიანები არიან. ქვეყანაში დაიწყო ტერორი, სატელეფონო მოსმენები. ქვეყანა ეროვნული და რელიგიური გადაგვარების საფრთხის წინაშე დგას. სერიოზული საფრთხე ემუქრება მართლმადიდებლობას... იმ სამეულიდან, რომელმაც ხელისუფლების უკანონო უზურპაციით დაისაკუთრა სავარძლები, ქართველი ერის სახელით საუბრის უფლება არც ერთს არ აქვს. დანამდვილებით ვიცი, როგორ განვითარდება ამ 39 დღის განმავლობაში მოვლენები, ამიტომ ეს ახალი მოძრაობა, უმოკლეს ვადებში უნდა შეიქმნას, რათა მან ქმედითი როლი შეასრულოს საქართველოს მომავალ გამთლიანებაში,"** – აცხადებს ქალბატონი ირინა, რომელმაც, ალბათ, არ იცის, რომ არც მკითხაობაა მთლად ღვთისმოსავი საქმე.

# პრეზიდენტობის კანდიდატი - წარმოდგენები და რეალობა

პირველი გვერდიდან



*ის მზად არის რადიკალური, ფუნდამენტური ცვლილებებისთვის.*

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ოპოზიციამ ამ მეორე გამოცდასაც გაუძლო და ფუნქციების განაწილება უმტკივნეულოდ მოხერხდა - ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. ის, რომ ოპოზიციამ ამ შემთხვევაშიც შეინარჩუნა ერთიანობა, მიუთითებს იმაზე, რომ ლიდერები, პოლიტიკური სიმწიფის თვალსაზრისით, უფრო გაიზარდნენ და ჯერჯერობით მაინც, აცნობიერებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ხალხის წინაშე აიღეს, ხალხის, რომელსაც დიდი ხანია, უნდოდა ენახა ერთად მდგარი ოპოზიცია.

სააკაშვილი რომ პრეზიდენტობის კანდიდატი იქნებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. იქნებოდა თუ არა ჟვანია ან ბურჯანაძე უკეთესი კანდიდატურა, ამის თქმა ძნელია. თუმცა, ამ შემთხვევაში, სააკაშვილის უპირატესობაზე ბევრი ფაქტორი მეტყველებს – ის ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია, ენერგიულია და, რაც მთავარია, აბსოლუტურ მზაობას აცხადებს რადიკალური, ფუნდამენტური რეფორმებისთვის. ის, რაც ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდება, რადიკალური, გადამწყვეტი ნაბიჯებია და არა სისტემის კოსმეტიკური რემონტი.

გარდა ამისა, სააკაშვილის თვისება, რომელსაც მას ხშირად საყვედურობდნენ – რომ საქმეში მეგობრობა და ნათესაობა არ იცის - მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის და, მით უმეტეს, მომავალი პრეზიდენტისათვის, საქართველოში ნამდვილად დადებით მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

ნათესაობითა და მეგობრობის ნიშნით დანიშნული ადამიანები, თუნდაც - დროებით, საპასუხისმგებლო პოსტებზე უკვე გამოჩნდნენ, რაც აშკარა სიგნალი უნდა იყოს მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის, რომ ახალი ხელისუფლების პრინციპულ კონტროლს თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმოს.

ხალხმა იმიტომ არ შეცვალა ეს ხელისუფლება, რომ ახალი პოლიტიკური ელიტისგან ნათესაობისა და მეგობრებისთვის მიგებული ხარკი აიტანოს.

ეს ყველა ლიდერმა კარგად უნდა გააცნობიეროს. პირველ რიგში კი – სააკაშვილმა, რომლისგანაც, როგორც მომავალი პრეზიდენტისაგან, ხალხი ყველაზე მეტს მოითხოვს და რომელსაც ევალება, რომ საკუთარ გარემოცვაში მსგავსი ცდუნებები აღკვეთოს.

# მიხეილ სააკაშვილი - საერთო კანდიდატი

პირველი გვერდიდან

სივრცეში კოორდინირებულ ქმედებებსაც ითვალისწინებს. მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ისინი საერთო პარტიული სიით წარდგებიან. სიის სათავეში ნინო ბურჯანაძე იქნება. ახალი საარჩევნო ბლოკის კიდევ ერთი ლიდერი ზურაბ ჟვანია კი პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოიაზრება - იმის გათვალისწინებით, რომ "ვარდების რევოლუციის" ავტორებს ახალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ, მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტის შემოღება უახლოეს მომავალშივე შეიძლება ვივარაუდოთ.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საბოლოო გამარჯვებაში და დასახული მიზნების მიღწევაში ერთი წუთითაც არ ეპარებათ ეჭვი.

**"დარწმუნებული ვარ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მხარს დაგვიჭერს და როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნებში წარმატებას მივაღწევთ. ამით მთელი ქვეყანა გაიმარჯვებს,"** - აღნიშნა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა.

**"საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში ჩვენს გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება,"** - ოპტიმიზმი გუშინ არც მიხეილ სააკაშვილს აკლდა, რომელსაც იმის შეხსენება არ სჭირდება, რომ **"ვარდების რევოლუცია" ხალხისთვის მოხდა და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ხელისუფლებაში მოსაყვანად."**

სააკაშვილი საზოგადოებას ჰპირდება, რომ მომავალი არჩევნები თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალი იქნება, რის გარანტადაც ის საერთაშორისო თანამეგობრობასა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს ასახელებს. სხვათა შორის, ბრიფინგზე გამოსვლისას, თავისი პოლიტიკური პარტნიორის მისამართით მიხეილ სააკაშვილს კომპლიმენტები არ დაუშურებია.

**"ნინო ბურჯანაძე იქცა რევოლუციური საქართველოს ახალ სახედ", "ნინო საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური პოლიტიკური სახეა",** - თავის მოკლე გამოსვლაში რამდენჯერმე გაიმეორა "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელმა.

თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძე უკვე **"საერთო პასუხისმგებლობაზე"** საუბრობს და **"ქვეყნის ერთიანობისა და ინტერესებიდან გამომდინარე"**, ყველას მოუწოდებს **"ადრინდელი განსხვავებული შეხედულებების გვერდზე გადადებისკენ".** პრეზიდენტობის კანდიდატი ამ მოწოდებას სიამოვნებით იტაცებს და აღნიშნავს, რომ **"საქართველოში უნდა დასრულდეს ერთპიროვნული მმართველობის ეპოქა და მომავალში გადაწყვეტილებები კოლეგიალურად, კონსენსუსის გზით იქნას მიღებული."**

ბრიფინგზე საუბარი იყო ამოცანებზეც, რომლებიც ამ ბოლო დროს ახალი ხელისუფლების წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა. მიხეილ სააკაშვილი ხაზს უსვამს მოკლე ვადაში რეგიონებთან (განსაკუთრებით აჭარასთან) და მეზობელ ქვეყნებთან (პირველ რიგში რუსეთთან) ურთიერთობების დარეგულირების აუცილებლობას, ზურაბ ჟვანია კი შედარებით გრძელვადიან მიზნებს ასახელებს.

**"ჩვენ ხელისუფლებაში ძალიან სერიოზული ამბიციებით მოვდივართ: უახლოეს თვეებში საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირსა და ნატო-ში შესვლის რეალური კანდიდატი, მიმზიდველი ქვეყანა უცხოელი ინვესტორებისთვის,"** - აღნიშნავს ჟვანია.

ეს "ამბიციები" საფუძველსმოკლებული რომ არ არის, აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ნინო ბურჯანაძის გუშინდელი სატელეფონო საუბარიც ადასტურებს. როგორც ირკვევა, შეერთებული შტატების ლიდერი ბურჯანაძეს ჰპირდება, რომ შეერთებული შტატები მაქსიმალურ დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში.

**"ამ დახმარებაში, ამერიკასთან ერთად, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან. უკვე მომავალ კვირაში საქართველოში ჩამოვა ძალზე კომპეტენტური დელეგაცია, რომელიც ადგილზე შეისწავლის სიტუაციას და მოგვცემს რეკომენდაციებს, თუ როგორ მოვახერხოთ შედარებით მოკლე დროში ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე, რომელიც, ბუშთან საუბარზე დაყრდნობით, დაბეჯითებით დასძენს, რომ **"თუ საქართველოს რეალური საგარეო საფრთხე დაემუქრება, ამერიკიდან მყისიერ დახმარებას მივიღებთ."**

ერთი სიტყვით, კარსმომდგარ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს "ნაციონალური მოძრაობისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერები დიდი იმედებით და ჯანსაღი ამბიციებით ხვდებიან.

**"ვარდების რევოლუცია" გრძელდება. ის მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც საქართველო წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება,"** - "რევოლუციური" სულისკვეთების შენარჩუნებისკენ მოუწოდებენ საზოგადოებას "ვარდების რევოლუციის" ლიდერები.

# ქვეყანა ცვლილებების მოლოდინში

პირველი გვერდიდან

იმის მიუხედავად, რომ 2 ნოემბრის მაჟორიტარული არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ ძალაში რჩება, არასამთავრობო ორგანიზაციები და, უპირველეს ყოვლისა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ითხოვს ამ არჩევნების შედეგების გაუქმებას, მაგრამ ეს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა. თანაც, იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოში სარჩელს ქვეყნის პრეზიდენტი ან დეპუტატთა კორპუსის ერთი მეხუთედი შეიტანს.

ჩვენი ინფორმაციით, პოლიტიკურ კულუარებში, ამ მხრივ, აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, "გაერთიანებული დემოკრატები" მიიჩნევენ, რომ მაჟორიტარული არჩევნები არ უნდა გაუქმდეს, რადგან იმ საოლქო სასამართლოებში, სადაც არჩევნების შედეგები გარკვეული ეჭვის საბაბს იძლეოდა, უკვე განხილულია ან იხილება კანდიდატთა სარჩელები, ხოლო რამდენიმე ოლქში დანიშნულია მეორე ტურები.

ასე რომ, თუკი "ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლები ამ საკითხის თაობაზე შეთანხმდებიან, საქართველოში მხოლოდ პროპორციული არჩევნები გაიმართება. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა. მანამდე კი კონსულტაციათა სერია კვლავ გრძელდება.

სწორედ ახალი პარლამენტის არჩევის შემდეგ დადგება დღის წესრიგში საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხიც. კულუარებში უკვე აქტიურად საუბრობენ ორივე პარტიისათვის (ანუ "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ნაციონალებისთვის") მისაღებ მოდელზე – ეს ძალაუფლების გადანაწილების ე.წ. თანაბარი, ჰორიზონტალური მოდელია, სადაც თანაბრად იქნებიან წარმოდგენილი როგორც საპრეზიდენტო, ასევე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ინსტიტუტები, მათ შორის უფლებამოსილებები კი მკაცრად გამიჯნული იქნება.

რაც შეეხება პერსონალიებს. გავრცელებული ვერსიის თანახმად, პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებისთანავე მას ზურაბ ჟვანია დაიკავებს, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იქნება.

მანამდე კი ზურაბ ჟვანია სახელმწიფო მინისტრის სავარძელს დაეპატრონება. ყოველ შემთხვევაში, ეს წინასწარი ინფორმაცია ჩვენთან საუბარში რამდენიმე პოლიტიკოსმა დაადასტურა.

გუშინვე გაირკვა, რომ "გაერთიანებული დემოკრატები" და "ნაციონალური მოძრაობა" მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი პარტიული სიით გამოვლენ. თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ სერიოზული კონსულტაციები უძღოდა.

ჩვენი ინფორმაციით, პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი "ნაციონალურ მოძრაობა" და "გაერთიანებული დემოკრატები" ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ "ნაციონალები". თუმცა, ბოლო წუთს საერთო შეთანხმება შედგა და გადაწყდა, რომ ყოფილი ოპოზიცია პარლამენტში ერთიანი სიით შევა.

# პრეზიდენტმა ნივთები ორ საათში ჩაალაგა

ლელა მჭედლიძე

**"რა ქნა, ბაბუ სულ წავიდა? რაო, რა თქვა? აღარ დავბრუნდებიო?"** - ყოფილი პრეზიდენტის გამოსათხოვარი ვიზიტის ამბების გარკვევას გუშინ საგუშაგოზე მდგარი დაცვის წევრები უკვე ჟურნალისტებისაგან ცდილობდნენ. მათ არც ექს-პრეზიდენტის მიერ ნათქვამი გამოსამშვიდობებელი სიტყვები გაუგონიათ და არც მისი წიგნი მიუღიათ საჩუქრად. **"წიგნს ამას მაინც არ აჩუქებდა, პოსტზე კითხვა, კანონით, აკრძალული გვაქვს,"** - მეგობარს უმაგრებდა გულს თუ პრეზიდენტს ამართლებდა დაცვის ერთ-ერთი წევრი ჩვენთან საუბრისას.

ქვეყნის ყოფილმა მეთაურმა სახსოვრად წიგნები მასთან გამოსამშვიდობებლად მისულ ყოფილ თანამშრომლებს ჩამოურიგა, ძირითადად, სხვადასხვა ენაზე გამოცემული "აბრეშუმის გზა" და "ჩემი არჩევანი", ავტოგრაფებითა და ხელმოწერებით. ერთ-ერთი ეგზემპლარი სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა პეტრე მამრაძემაც მიიღო, საკმაოდ გულთბილი წარწერით. ედუარდ შევარდნაძემ მასთან ერთად გატარებული წლებიც გაიხსენა.

დილის ათი საათისთვის კანცელარიაში მისულმა შევარდნაძემ ორი საათის განმავლობაში ყველა საჭირო ნივთი შეაგროვა.

პრეზიდენტს ამ დღეებში ჟურნალისტებისგან მოცლა არ აქვს. კრწანისის რეზიდენციაში იგი სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებს იღებს. შევარდნაძის ყოფილი პრეს-მდივანი კახა იმნაძე ყოფილი პრეზიდენტის გრაფიკის ამ მხრივ მოწესრიგებას გეგმავს. იმნაძემ გუშინ, შევარდნაძის მსგავსად, "ბარგი ჩაალაგა". წასვლის თაობაზე განცხადება მან პეტრე მამრაძეს ჩააბარა.

კანცელარიის თანამშრომელთა უმრავლესობა სამუშაო ადგილებზე დარჩა, თუმცა პრეზიდენტი ნაწყენი არ არის. როგორც იგი ამბობს, მინისტრ-ჩინოვნიკების მხრიდან ეს ღალატს კი არა, იმას ნიშნავს, რომ მათ უმუშევრად დარჩენა არ სურთ.

"უმუშევრობით შეშინებულთა" სიაში კი საკმაოდ ბევრი ჩინოვნიკი რჩება, მათ შორის - გარემოს დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე, დაზვერვის დეპარტამენტის შეფი ავთანდილ იოსელიანი, რომელიც განაჩენს 4 დეკემბრის შემდეგ არჩეული პრეზიდენტისაგან ელოდება, თუმცა აშკარად "შეწყალების" მოლოდინშია, რადგან, როგორც ამბობს, **"ახალ ხელისუფლებაში ძველზე მეტი მეგობარი ჰყავს."**

# ბურჯანაძის "ახალსახლობა" გადაიდო

დაძაბულმა გრაფიკმა მოქმედ პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძეს გუშინ გეგმები აურია. დღის განმავლობაში გამართული შეხვედრების გამო, კანცელარიაში მისი "ახალსახლობა" ვეღარ მოხერხდა. პეტრე მამრაძის ინფორმაციით, ბურჯანაძე ავთანდილ ჯორბენაძის კაბინეტს დაიკავებს. ცნობისათვის, სახელმწიფო დაცვის სამახურის უფროსის, სულხან პაპაშვილის ადგილს გოგი ალექსიძე დაიკავებს. უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადებით, რომელიც, სხვათა შორის, ამ დღეებში მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძესთან კონსულტაციებს აქტიურად მართავს, უახლოეს მომავალში სამართალდამცავებთან დაკავშირებით სერიოზული საკადრო ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. **"საკადრო ცვლილებები, რა თქმა უნდა, იქნება, რადგან ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელსაც ოპოზიციის მხარდასაჭერად გამოსული ხალხი აყენებდა, სწორედ ეს იყო. მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის გამო არ უნდა მოხდეს,"** - აცხადებს ბურჯანაძე.

ყველაზე მეტი კრიტიკა გუშინ, თანამდებობაზე დარჩენილი მინისტრებიდან, ალექსანდრე კარტოზიას ერგო. მოქმედმა პრეზიდენტმა, აგრეთვე, სერიოზული შეშფოთება გამოთქვა ირინა სარიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების გამოც, რის შესახებ უშიშროების სამინისტროს გარკვეული ზომების მიღებაც სთხოვა.

უკვე ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში, როგორც კი აბაშიძე მოსკოვიდან ჩამოვა, ნინო ბურჯანაძე მასთან შესახვედრად აჭარაში ჩავა. ამ ნაბიჯს იგი ცენტრსა და რეგიონს შორის ახალი, კიდევ უფრო გამწვავებული ურთიერთობების მოგვარების მიზნით დგამს. ბურჯანაძე აჭარის ლიდერთან კონკრეტულ საჭირბოროტო საკითხებზე აპირებს მსჯელობას. რა თქმა უნდა, ქალბატონი ნინოს "დროებითი სტატუსის" გამო შეიძლება გარკვეული დაბრკოლებებიც გაჩნდეს, ანუ მოქმედი პრეზიდენტის მიერ მიცემული გარანტიები ავტონომიის პრეზიდენტმა საკმარისად არ ჩათვალოს, მაგრამ თავად ბურჯანაძე ასე არ ფიქრობს: **"მგონი, ამ პოსტის დატოვების შემდეგ მე შორს არ მივდივარ. გარდა ამისა, ბევრი რამ ურთიერთობასა და ნდობაზეა დამყარებული, აჭარის ავტონომიის ლიდერს კი ჩემ მიმართ პრეტენზიები ნამდვილად არ გამოუთქვამს. იყო საკითხები, რომელთა თაობაზეც მე პრეზიდენტთან შეხვედრის დროს აბაშიძის პრეტენზიების სამართლიანობას ვაღიარებდი ან პირიქით. ფაქტია, რომ ამ დაძაბული ურთიერთობის მოსაგვარებლად, ელემენტარულად ათკაციანი კომისიის შექმნაც კი არ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი რამდენჯერმე წამოვჭერი. არ მოხერხდა, ალბათ, იმიტომ, რომ ეს არ სურდათ,"** - მიიჩნევს ბურჯანაძე.

აჭარაში ჩასვლამდე კი ბურჯანაძეს მაინც მოუწევს სახელმწიფო კანცელარიაში გადასვლა. თუმცა, იგი იქ დიდხანს გაჩერებას არ აპირებს.

*24 საათი*

# ექსპრეზიდენტი პრეზიდენტობის კანდიდატის შესახებ

მერი კახიანი
*ვენიდან*

**"ის განათლებული და ნიჭიერი ინტელექტუალია. მე არ შემიძლია, რაიმე ცუდი ვთქვა მის შესახებ,"** - განაცხადა საქართველოს ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ "ასოშეიტედ პრეს"-თან საუბარში მიხეილ სააკაშვილის შეფასებისას.

მის ამ შეფასებას სააგენტო შემდეგ კომენტარს უკეთებს: "სავსებით მოულოდნელად კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას გამოხატავს ექსპრეზიდენტი ოპოზიციის ხელმძღვანელის მისამართით, რომელსაც სურს, რომ მისი მემკვიდრე გახდეს". თუკი მომავალ არჩევნებში სააკაშვილი გაიმარჯვებს, მაშინ, შევარდნაძის აზრით, ის პირველ რიგში ქვეყანაში არსებულ ქაოსს უნდა აღუდგეს წინ.

"ასოშეიტედ პრესი" დასძენს, რომ თავისი გადადგომით შევარდნაძემ ქვეყანას სისხლისღვრა ააშორა. ოპოზიციის მტკიცე გადაწყვეტილებამ შევარდნაძე დაარწმუნა, რომ შეიარაღებული ძალების გამოყენება სისხლის ტბას დააყენებდა. **"ადამიანთა თვალები მოწმობდნენ, რომ მათ აღარაფრის ეშინოდათ,"** - ამბობს შევარდნაძე.

# სანდრო ბრეგაძე თავისი ადგილის ძიებაშია

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტარი სანდრო ბრეგაძე გამოთქვამს მზადყოფნას, თავისი წვლილი შეიტანოს ახალ ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობების დარეგულირების საქმეში. ამასთან დაკავშირებით, დეპუტატი საუბრობს "გარკვეულ მისიაზე", რომელიც მას აკისრია და რომელსაც ის შეძლებისდაგვარად ასრულებს.

**"ეს მისია უფრო აქეთა მხრიდან (სააკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია) არის დაკისრებული, თუმცა კონტაქტები იქითა მხრიდანაც არის,"** - აღნიშნავს ბრეგაძე და დასძენს, რომ ასლან აბაშიძესთან, სულ ბოლოს, ორი დღის წინათ ჰქონდა სატელეფონო კავშირი.

**"აჭარის ხელმძღვანელთან ზურაბ ჟვანიას ამასწინანდელი საუბარიც, გარკვეულწილად, ჩემი ინიციატივა იყო,"** - აცხადებს ბრეგაძე. მისი თქმით, ურჩევნია, ასლან აბაშიძე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გვერდით იდგეს, ვიდრე ის, რომ მოსკოვში ოდიოზურ პერსონებთან ჰქონდეს კონტაქტი.

პარლამენტარის მტკიცებით, თავად აბაშიძის სურვილია, რომ მან (ბრეგაძემ) გარკვეულ პროცესებში მიიღოს მონაწილეობა, თორემ იმ "აღორძინების" გვერდით დგომა, რომელიც ბოლო წუთამდე ედუარდ შევარდნაძეს უჭერდა მხარს, მას სულაც არ სიამოვნებს.

**"არავისთვის საფლავში ჩაყოლას არ ვაპირებ,"** - აცხადებს ბრეგაძე. რაც შეეხება მის შემდგომ პოლიტიკურ კარიერას, ამასთან დაკავშირებით პარლამენტარი ასეთ კომენტარს აკეთებს: **"მაქვს კონსულტაციები საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ პარტიებთან, მაგრამ ამ ეტაპზე მირჩევნია, ბოლომდე გავერკვე, რას აპირებს აჭარის ხელისუფლება და კონკრეტულ ნაბიჯებს მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგამ."**

# რუსეთის პარლამენტში ბოლმა ახრჩობთ

პირველი გვერდიდან

აზრით, ხავერდოვან რევოლუციაში აჭარის ლიდერი შევარდნაძის გასაკეთებელი საქმის ბოლომდე მიყვანას ცდილობდა. დღეს აბაშიძეც კი კომპრომისზე მიდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან ურჩი რეგიონების გასვლას მოსკოვი აღარ ან ვეღარ წააქეზებს.

**"დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისში დაწყებულ პოლიტიკას მოსკოვში აგრძელებს,"** - ამბობს გეოპოლიტიკის კომისიის კავკასიის საქმეთა ჯგუფის უფროსი ალექსეი ვაშჩენკო. მისი აზრით, შევარდნაძეს თავისუფლად შეეძლო კრიზისის დღეებში ბათუმში გაფრენილიყო, იქ შეეკრიბა ახალი პარლამენტი, ხოლო ოპოზიცია არალეგიტიმურად გამოეცხადებინა, რის მერეც კანცელარიისა და პარლამენტის ხელში ჩაგდებისათვის ოპოზიციის ლიდერებს ელემენტარულად დაიჭერდნენ. დღეს კი ყველაფერი გვიანია.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რატომ არ წავიდა ამაზე ედუარ შევარდნაძე, პარლამენტარი პასუხობს: **"ივანოვმა ასეთ სცენარს ხელი შეუშალა და შევარდნაძეს ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრება აუკრძალა."**

რუსეთის პარლამენტში სერიოზულად მიაჩნიათ, რომ აშშ-ში ოპოზიციის ვოიაჟების შემდეგ ბუშის ადმინისტრაციამ შევარდნაძეს გადადგომა შესთავაზა, მისი უარის შემდეგ საქმეში რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყება ჩაერია, ანუ ნახევრად ქართველი ივანოვი, რომელმაც აშშ-ს ინტერესები დაიცვა. **"მოსკოვში ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ დღეს საქართველოში დიდი კონფლიქტური პოტენციალია,"** - ასე ფიქრობს დღეს რუსეთის ხელისუფლების საპარლამენტო ოპოზიცია.

# საგადასახადო სამსახური ტელეკომპანია "კავკასიას" ქონების გაყიდვით ემუქრება

საგადასახადო სამსახური ტელეკომპანია "კავკასიას" ქონების გაყიდვით ემუქრება. როგორც ტელეკომპანიის პრეზიდენტმა დავით აქუბარდიამ განაცხადა, გუშინ ტელეკომპანიამ საგადასახადოდან ოფიციალური წერილი მიიღო, რომელშიც მას მიმდინარე წლის დავალიანების გადახდას მოსთხოვა. თუ "კავკასია" მიმდინარე წლის დავალიანებას დროულად არ დაფარავს, კანონის თანახმად, სამსახურს უფლება აქვს, ტექნიკის აღწერისა და აუქციონზე გაყიდვის პროცესი დაიწყოს. აქუბარდიას მონაცემებით, "კავკასიას" მიმდინარე წლის განმავლობაში 6800 ლარის ოდენობის დავალიანება დაუგროვდა, რომელსაც ეტაპობრივად იხდიდა. მისივე თქმით, ამ 6800 ლარს დაემატა პროცენტები და, ჯამში, "კავკასიას" 17 000 ლარის გადახდას აკისრებენ. აქუბარდიას მტკიცებით, საგადასახადო სამსახური 17000 ლარის დაუყოვნებლივ გადახდას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტელეკომპანიის ქონების გაყიდვით იმუქრება. **ინტერ-პრესი**

*მონიტორინგი*

## ოქტომბრის თვეში ლტოლვილთა შემწეობები დაფინანსებული არ არის

წინა კვირას გაგრძელდა ოქტომბრის თვის ხელფასების დაფინანსება. გასტუმრებულ იქნა უნივერსიტეტების, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის და საარჩევნო კომისიის შრომის ანაზღაურება.

აგრეთვე გაგრძელდა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ოქტომბრის თვის სოციალური ტრანსფერის (პედაგოგების ხელფასები) დაფინანსება. ტრანსფერი გადაირიცხა ამბროლაურის რაიონში, სამეგრელო-ზემო სვანეთის და იმერეთის რეგიონებში.

"სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლიდან უმთავრესად დაფინანსდა ძალოვანი სტრუქტურები: თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, უშიშროების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური.

**აღმაშფოთებელია, რომ 21 ნოემბრისათვის ჯერ კიდევ დაუფინანსებელია ოქტომბრის თვის ლტოლვილთა შემწეობები.**

*სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

### 2003 წლის 17 - 21 ნოემბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | 1,420.3 |
| | [illegible] | 1,302.7 |
| | [illegible] | 92.0 |
| | [illegible] | 25.6 |
| 2 | [illegible] | 2,443.0 |
| | [illegible] | 78.0 |
| | [illegible] | 817.0 |
| | [illegible] | 1,548.0 |
| 3 | [illegible] | 74.3 |
| | [illegible] | 74.3 |
| 4 | [illegible] | 380.0 |
| | [illegible] | 130.0 |
| | [illegible] | 100.0 |
| | [illegible] | 100.0 |
| | [illegible] | 30.0 |
| | [illegible] | 20.0 |
| 5 | [illegible] | 3.0 |
| | [illegible] | 3.0 |
| 6 | [illegible] | 963.7 |
| | [illegible] | 818.1 |
| | [illegible] | 145.6 |

## ორთვიანი ჩამორჩენა - უპრეცედენტო გარღვევა ბიუჯეტში

26 ნოემბრისათვის, როგორც იქნა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ცხრა თვის გეგმა 100 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა მხოლოდ 0,72 მილიონი ლარია. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში თითქმის ორთვიანი ჩამორჩენაა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა შესრულებულია 72 პროცენტით, გარღვევა 314,73 მილიონი ლარია. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წლიური გეგმა შესრულებულია 77 პროცენტით, გარღვევა 210,69 მილიონი ლარია.

ცენტრალური ბიუჯეტის წლიური გეგმა შესრულებულია 69 პროცენტით, გარღვევა 255,21 მილიონი ლარია. ამასთან, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ცხრა თვის გეგმა 26 ნოემბრისათვის მხოლოდ 98 პროცენტით არის შესრულებული.

სოციალური ფონდის შემოსავლების წლიური გეგმა 81 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 45,59 მილიონი ლარია. საგზაო ფონდის შემოსავლების წლიური გეგმა 72 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 13,63 მილიონი ლარია. დეფიციტის დაფინანსების წლიური გეგმა 78 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 53,8 მილიონი ლარია.

წარმოდგენილ მონაცემებს კომენტარიც კი არ სჭირდება. ნებისმიერი ეკონომისტი თუ არაეკონომისტი მიხვდება, რომ ქვეყანაში შემოსავლების მობილიზება კატასტროფულ მდგომარეობაშია.

*სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი, ქავთარაძე"*

### სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 26.11.03

| [illegible] | 44 |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 7,000,000 |
| [illegible] | 9,776,400 |
| [illegible] min-max | 36.00%-62.95% |
| [illegible] | 55.70% |
| [illegible] | 5,767,759 |
| [illegible] | 7,000,000 |
| [illegible] | -1,232,241 |

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 26 ნოემბრისათვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 1123.45 | 809.44 | 808.72 | 72% | 100% |
| [illegible] | 833.7 | 589.7 | 578.49 | 69% | 98% |
| [illegible] | 659.9 | 477.24 | 503.65 | 76% | 106% |
| [illegible] | 78.4 | 56.23 | 52.08 | 66% | 93% |
| [illegible] | 95.4 | 56.25 | 22.76 | 24% | 40% |
| [illegible] | 240.25 | 178.31 | 194.66 | 81% | 109% |
| [illegible] | 49.5 | 34.63 | 35.87 | 72% | 103% |
| [illegible] | 239.8 | 176.55 | 186 | 78% | 105% |
| [illegible] | 8.5 | 8.5 | 7.53 | 89% | 89% |
| [illegible] | 22 | 22 | 9.21 | 42% | 42% |
| [illegible] | 40 | 29.54 | 31.9 | 80% | 108% |
| [illegible] | | | 12.2 | | |
| [illegible] | 41.3 | 24.53 | 20.69 | 50% | 84% |
| [illegible] | 127.8 | 92.01 | 104.47 | 82% | 114% |

| დასახელება | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 531.25 | 395.32 | 433.42 | 82% | 110% |
| [illegible] | 389.1 | 279.66 | 276.24 | 71% | 99% |

# რით შეივსება დაცარიელებული ხაზინა?

პირველი გვერდიდან

დროებითი ხელისუფლების განსაკუთრებული ნდობით სარგებლობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც, რომელიც ლარის სტაბილურ კურსს წარმატებით ინარჩუნებს და, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამ დღეებში უცხოელ დონორებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს.



ფინანსები ნოღაიდელს ჩააბარეს.

საგულისხმოა, რომ არსებული ინფორმაციით, საერთაშორისო დახმარებები საქართველოსთვის შეიძლება, მართლაც მასშტაბური იყოს, თუმცა ამ წლის ბოლომდე უცხოური ქვეყნები, სავარაუდოდ, მაქსიმუმ 20 მილიონ დოლარს თუ გამოყოფენ - მათაც ხომ წლის ხარჯები წინასწარ ჰქონდათ გაწერილი.

გამოსავალი მართლაც საპოვნელია - საქართველოს დროებითი ხელისუფლების მთავარი თავსატეხი დღეს ქვეყანაში შექმნილი საბიუჯეტო კრიზისია. ბიუჯეტის შესრულებას წლის ბოლომდე, ანუ, ფაქტობრივად, ერთ თვეში 295 მილიონი ლარის მობილიზება სჭირდება, რაც ფანტასტიკის სფეროდან გახლავთ.

საქმეში ჩახედული ადამიანები აცხადებენ, რომ თვით მთელი ძალების მობილიზების შემთხვევაშიც კი, ამ თვეში, მაქსიმუმ, 95 მილიონი ლარის მობილიზება თუ მოხერხდება. ამ 95 მილიონი ლარიდან 50 მილიონამდე ლარი საგარეო ვალდებულებების გასასტუმრებლად არის საჭირო.

ამასთან - დასაფინანსებელია არა მხოლოდ პენსიები და ხელფასები, არამედ – მაგალითად, გუშინ სულ ერთი დღის კვების ხარჯი ჰქონდა დარჩენილი თავდაცვის სამინისტროს და ა.შ. და ა.შ.

ქვეყნის ასეთ საფინანსო მდგომარეობაში ყოფნა მარტივ და გასაგებ ენაზე იმას ნიშნავს, რომ საქართველოს დროებითი ხელისუფლება წლის ბოლომდე, მაქსიმუმ, ოქტომბრის ხელფასების დაფარვას შეძლებს, ანუ არჩევნებს ორთვიანი სახელფასო გარღვევით შეხვდება.

ამ სიტუაციაში, ცხადია, არის ცდუნება, რომ დროებითმა ხელისუფლებამ პოლიტიკური, წინასაარჩევნო (და არა ეკონომიკური) გადაწყვეტილებები მიიღოს, თუმცა, "24 საათის" ინფორმაციით, სამშაბათს საქართველოს მოქმედ პრეზიდენტთან შეკრებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და უშუალოდ ნინო ბურჯანაძის კატეგორიული პოზიციის შედეგად, ასეთ გამოსავალზე უარი ითქვა.

აქცენტი სხვა მიმართულებით გაკეთდა - სიტუაციის მართვა ორი დღით დავით სალარიძეს დაევალა, რომელსაც არსებული რეზერვების სასწრაფოდ მობილიზების აუცილებლობაში უნდა დაერწმუნებინა ის "ძველი კადრები", რომლებსაც გადასახადების აკრეფა ევალებათ.

ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელის ვინაობა კი საბოლოოდ გუშინ დილით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის ჯონათან დანის და ზურაბ ნოღაიდელის ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა. ჯონათან დანმა განაცხადა, რომ სავალუტო ფონდი საქართველოსთვის დახმარების საკითხებს განიხილავს, ზურაბ ნოღაიდელი კი ამბობს, რომ გუშინდელი დღიდანვე დაიწყო მუშაობა სავალუტო ფონდთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ზურაბ ნოღაიდელზე არჩევანის გაკეთებისას, მთავარი კრიტერიუმი ნოღაიდელისადმი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა და, რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, მისი საყოველთაოდ ცნობილი პრინციპულობა (გნებავთ სიჯიუტე) გახლდათ, რომლის საფუძველზეც მისგან კარდინალური და არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას ელიან.

საგულისხმოა, რომ ნოღაიდელს თითქმის კარტ-ბლანში აქვს მიცემული, რისი ნიშანიც გახლდათ გუშინ გავრცელებული ინფორმაცია საგადასახადო სამსახურის შეფის "დათხოვის" შესახებ - და ეს იმ პირობებში, როცა იასე ზაუტაშვილი დავით სალარიძის კადრად ითვლებოდა.

გუშინვე დაიწყო საუბრები ზურაბ ჟვანიას სახელმწიფო მინისტრობის თაობაზე, თუმცა გუშინ ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, განხორციელდება თუ არა ეს საკადრო ცვლილება არჩევნებამდე.

# სავაჭრო ობიექტების მფლობელებს აჭარის საზღვრის ჩაკეტვა აშფოთებთ

ეთერ მამულაშვილი

*საქართველოში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების ფონზე ქვეყნის სავაჭრო სფეროში განსაკუთრებული რყევები არ მომხდარა. თუკი საგარეო ვაჭრობას არ ჩავთვლით, ქვეყნის შიგნით სიტუაცია სტაბილურია. ცნობილი "ვარდების რევოლუციის" დროს და არც მანამდე ქვეყნის სავაჭრო ქსელში არანაირი კრიზისი არ შექმნილა. პირიქით - ზოგან ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. თუმცა, არსებობს ერთი საფრთხე - აჭარაში საგანგებო რეჟიმის გამოცხადებამ შესაძლოა, ქვეყანაში გარკვეულ პროდუქციაზე დროებითი დეფიციტი შექმნას.*



ქვეყნის სავაჭრო ქსელში კრიზისი არ შექმნილა.

"24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ქვეყნის საბანკო სექტორი დღესაც ჩვეული რიტმით განაგრძობს მუშაობას და საქართველოში უახლოესი დღეების განმავლობაში არც საბანკო და არც სავალუტო კრიზისი მოსალოდნელი არ არის. ამჯერად, ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ როგორია ქვეყნის სავაჭრო ქსელი პოსტრევოლუციის პერიოდში და როგორი იყო ის იმ დროს, როცა ქვეყანაში ხავერდოვანი რევოლუციისთვის სიტუაცია ნელ-ნელა მწიფდებოდა.

ყველა დიდი და პატარა მაღაზიის მფლობელი, თუ ქუჩაში ჩადგმულ დახლზე მოვაჭრე აცხადებს, რომ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მათ ბიზნესზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. მცირეოდენი უმნიშვნელო შეფერხებების შემდეგ ნებისმიერ სავაჭრო დაწესებულებაში დღეს ვითარება სტაბილურია.

დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და გამზირზე მდებარე სავაჭრო ობიექტებიდან ზოგიერთი რამდენიმე დღით დაკეტილი იყო. მათი მესაკუთრეები - სამოქალაქო ომითა და მოროდიორობით დაშინებულნი, იმ დღეებში თავს არიდებდნენ ვაჭრობას.

ისინი კი, რომლებიც ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდნენ მუშაობას, დღეს ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებს მათ ბიზნესზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია და მათი ეკონომიკური მდგომარეობა დღესაც სტაბილურია. ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარებით მოვაჭრე მაღაზიის "უნაითიდ ქოლორს ოფ ბენატონის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა ლელა სინჯიკაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: **"იმ დღეებში მაღაზია არ დაგვიკეტავს, თუმცა მაშინ 20-30 პროცენტით ნაკლებს ვვაჭრობდით, რასაც, პრინციპში, დიდი ზარალი არ მოუყენებია ჩვენთვის. დღეს უკვე შემოსავლები ჩვეულ ნიშნულამდეა და ჩვეულებრივ რიტმში ვაგრძელებთ მუშაობას".** იგივე გვითხრეს საკონდიტრო მაღაზია "ნაპოლეონში", სუპერმარკეტ "ბადენ-ბადენში", მამაკაცის ტანსაცმლისა და აქსესუარების მაღაზია "დავითში". თუმცა თითოეული მათგანი ჩვენთან საუბარში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ მოსალოდნელ საფრთხეზე, რომელსაც ბაზარზე პროდუქციის დეფიციტი ჰქვია.

მეოთხე დღეა რაც აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო რეჟიმი გამოაცხადა და ჩოლოქზე გამავალი ადმინისტრაციული საზღვარი ჩაკეტა. არადა, საზღვარგარეთიდან შემოტანილი საკვები პროდუქტები და საყოფაცხოვრებო მოხმარების სხვადასხვა დასახელების საქონელი სწორედ სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის წყალობით შემოედინება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ხოლო იმის გამო, რომ ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვის საშიშროების შესახებ ინფორმაციას მეწარმეები წინასწარ, ცხადია, არ ფლობდნენ, მათ ტვირთების შემოტანის მარშრუტი არ შეუცვლიათ და, შესაბამისად, გარკვეული შეფერხებებიც შეექმნათ.

მართალია, სახელმწიფო-საბაჟო დეპარტამენტში ხსენებულ საბაჟო პუნქტზე ტვირთების შეფერხების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას ჯერ არ ფლობენ, სამაგიეროდ, ეს კარგად იციან იმ ადამიანებმა, ვინც წლების განმავლობაში საკუთარ ბიზნესს იმპორტული პროდუქციის დახამარებით აწარმოებდა. შპს. "ლაღიძის წყლების" გენერალური დირექტორი ნინო მამუკელაშვილი შიშობს, რომ შესაძლოა, რამდენიმე დღეში მას საკუთარი ობიექტის დროებით დახურვა მოუწიოს. ერთ-ერთ ფირმას, რომელიც მას თურქეთიდან შემოტანილი საკვები პროდუქტებით ამარაგებდა, დღეს ამ ვალდებულების შესრულება ძალიან უჭირს. **"ჩემმა პარტნიორმა მითხრა, რომ პროდუქტებით დატვირთული მისი რამდენიმე ტრაილერი უკვე მეორე დღეა, რაც საბაჟოზეა გაჩერებული. ჯერჯერობით, კიდევ მაქვს ორი დღის მარაგი დარჩენილი, მაგრამ მერე რას ვიზამ, ამაზე უკვე ვფიქრობ".**

ნინო მამუკელაშვილის მსგავსად, სხვა მისმა კოლეგებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ მათაც საჭირო პროდუქტების მხოლოდ რამდენიმე დღის მარაგი აქვთ შემორჩენილი, რის გამოც არსებული დეფიციტი შესაძლოა, მოსახლეობისთვის ამ დღეებში შეუმჩნეველი დარჩეს. მცირე მეწარმეები ვარაუდობენ, რომ თუ პრობლემა ვერ გადაიჭრა, მაშინ არავისთვის დარჩება კრიზისი შეუმჩნეველი.

ექსპერტები კი ასკვნიან, რომ ეს ნამდვილად არ იქნება შეუმჩნეველი თავად აჭარის ბიუჯეტისათვის, რომლის ძირითადი შემოსავალი სწორედ ამ ტვირთების განბაჟებაზე მოდის.

# "უორნერ მიუზიქი" გაიყიდა

ადამ მჭედლიძე

კვლავ გრძელდება გაერთიანებათა სერია ხმის ჩამწერ ბიზნესში. 2,6 მილიარდ დოლარად გაიყიდა მსოფლიოს უდიდესი მედიაგიგანტის, "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერის" მუსიკალური შტო "უორნერ მიუზიქი." მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ხმის ჩამწერი ფირმა, რომლის კლიენტებს შორის არიან მადონა და ერიკ კლაპტონი, კანადელი მედიამაგნატის, ედგარ ბრონფმან უმცროსის საკუთრება იყო.

იმ ფაქტის გარდა, რომ მუსიკალურ ბიზნესში გარიგებათა ჯაჭვი არ წყდება, ამ გაერთიანებას კიდევ ორი დატვირთვა აქვს: ერთი, რომ მისი წყალობით შემცირდება "თაიმ უორნერის" უზარმაზარი ვალი; მეორე - ეს ბრონფმანის მუსიკალურ ბიზნესში დაბრუნებას ნიშნავს. კანადელი ბიზნესმენი ერთ დროს "სიგრემის" მფლობელი იყო, რომელიც "უნივერსალს" აკონტროლებდა. "უნივერსალი" აერთიანებდა ჰოლივუდის სტუდია "უნივერსალ ფიქჩერზსა" და ხმის ჩამწერ სტუდიის "უნივერსალ მიუზიქს," რომლებიც 2000 წელს ფრანგულმა "ვივენდიმ" ჩაიგდო ხელში. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი "უნივერსალთან" გარიგებამ ლამის გააკოტრა და იძულებული გახდა ამ ბიზნესს საერთოდ შელეოდა. "უნივერსალი" გაიყიდა და მასზე პრეტენზიას ბრონფმანიც აცხადებდა, მაგრამ, საბოლოოდ, გამარჯვება "ჯენერალ ელექტრიკის" მიერ კონტროლირებად "ენბისის" არხს დარჩა. აღსანიშნავია, რომ "ენბისის" ეგიდით "უნივერსალ მიუზიქმა" ახლახან "დრიმუორქ რექორდზი" შეისყიდა.

"უორნერ მიუზიქთან" ბრონფმანზე ადრე მოლაპარაკებები "იემაიმ" წამოიწყო. ეს სტუდია, რომელმაც თავის დროზე "ბითლზი" მოუვლინა სამყაროს და ახლა კაილი მინოუგსა და "რედ ჰოთ ჩილი პეპერსს" ემსახურება, "უორნერ მიუზიქთან" გაერთიანებით წელიწადში 300 მილიონი დოლარის დაზოგვაზე ამყარებდა იმედებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ასპარეზზე ბრონფმანი გამოჩნდა, ყველაფერი ჩაიშალა. სავარაუდოდ, თავად "უორნერ მიუზიქმა" არჩია ბრონფმანთან გარიგება, რადგან ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნით, ამ სტუდიას ან "იემაის" აუცილებლად მოუხდებოდა უარის თქმა მთელ რიგ შემსრულებლებზე.

"იემაისათვის" ეს სერიოზული დარტყმა იქნება. სტუდიას აქამდე გერმანული "ბერტელსმანის" მუსიკალურ შტოსთან - "ბიემჯისთან" გაერთიანება ჩაეშალა. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია "იემაი" თავად გახდეს ყიდვის ობიექტი. უკვე საუბარია შესაძლო მყიდველზეც. ეს შეიძლება გახდეს ამერიკული "ბლექსთოუნი," რომელიც მზადაა 2,2 მილიარდი დოლარი გადაიხადოს.

"უორნერ მიუზიქის" მონაცემები:

იგი მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ხმის ჩამწერი სტუდიაა "უნივერსალ მიუზიქის," "სონისა" და "იემაის" შემდეგ. საბაზრო წილი 11,9 პროცენტი.

ცნობილი შემსრულებლები: მადონა, ალანის მორისეტი, "არიემი," ერიკ კლაპტონი.

შემოსავალი: 4,2 მილიარდი (2002 წ.)

თანამშრომელთა რაოდენობა: 5300

*მოკლედ*

### ფიჭური კავშირგაბმულობა ისევ მოდაშია

"სტრატეჯი ანალიტიქსის" მიხედვით, 2003 წლის მესამე კვარტალში მსოფლიოში 132 მილიონი, ანუ შარშანდელთან შედარებით, 23 პროცენტით მეტი მობილური ტელეფონი გაიყიდა. ამ პერიოდში მარტო რუსეთში 4.5 მილიონი, ანუ შარშანდელზე 2-ჯერ მეტი მობილური ტელეფონის აპარატი გაიყიდა. მომხმარებელთა ინტერესს იწვევენ ახალი - ფერადეკრანიანი და ფოტოკამერებიანი მოდელები. ექსპერტთა პროგნოზით, წელს 500 მილიონი მობილური ტელეფონი გაიყიდება. ბაზრის ლიდერებად რჩებიან "ნოკია" (ბაზრის 30 პროცენტი), "მოტოროლა", "სამსუნგი" და "სიმენსი". **24 საათი**

### ნავთობის ფასმა დაიკლო

კვირის დასაწყისში ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ნავთობის ფასი 6 პროცენტით შემცირდა და ერთ ბარელზე 29,74 დოლარი შეადგინა. ლონდონის ნავთობბირჟაზე ნავთობის ფასმა 1,5 დოლარით იკლო და ბარელზე 27,86 დოლარი შეადგინა. რუსეთში ნავთობის ფასმა 0,89 დოლარით იკლო და ბარელზე 27,4 დოლარი შეადგინა. ნავთობის გაიაფებას ექსპერტები ნავთობის ექსპორტიორთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ დაწესებული კვოტების გადაჭარბებით ხსნიან. **24 საათი**

### თბილისი-მოსკოვის ავიარეისები ფერხდება

უამინდობის გამო მოსკოვის აეროპორტების მუშაობა ფერხდება. ნისლიანი ამინდის გამო ხილვადობა 500-300 მეტრამდე შემცირდა. გზებზე ლიპყინულია. ნისლიანი და ნესტიანი ამინდი კვირის ბოლომდეა მოსალოდნელი. აეროპორტი "ბიკოვო" დაკეტილია. სხვა აეროპორტები თვითმფრინავებს დაგვიანებებით იღებენ. "ვნუკოვოს" აეროპორტში გუშინ ათი რეისი გადაიდო. ავიაკომპანია "აირზენაში", რომელიც თბილის-მოსკოვის მიმართულებით დაფრინავს, აცხადებენ, რომ შეფერხებები მათ რეისებსაც შეეხო. გუშინ დილით დაგეგმილი რეისი მოსკოვში ამინდის გაუმჯობესებამდე გადაიდო. **მედია-ნიუსი**

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გუშინ ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 0,0125 ნიშნულით გამყარდა და 2,1575 ლარით განისაზღვრა. შიდა სავალუტო ბაზარზე დოლარის შესყიდვის კურსი 2,15, ხოლო გაყიდვის კურსი – 2,17 იყო. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ "რაო ეეს როსიის" თავკაცის ანატოლი ჩუბაისისგან მიიღო ოფიციალური დადასტურება, რომ რუსული ენერგოკომპანიის მიერ საქართველოსთვის მოწოდებული ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა 1 დეკემბრამდე გადავადდა. ტარიფის გაზრდის გადავადების თაობაზე "რაოს" ხელმძღვანელობას თხოვნით მისმა შვილობილმა კომპანია "თელასმა" მიმართა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან, ნინო ბურჯანაძესთან მისულმა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ იგი თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს და ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებებს დაემორჩილება. ბურჯანაძესთან შეხვედრის მიზეზად ნიკოლაიშვილი ენერგეტიკის სექტორში შექმნილ პრობლემებს ასახელებს. მისი თქმით, თუ გაისად ენერგეტიკის დაფინანსების საკითხი არ გადაწყდება, ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო დღეებში რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ტვირთის გადატანა და მგზავრთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ამის შესახებ ოთხშაბათს ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟოს უფროსმა ბუძი ბასიევმა განაცხადა. "ტვირთგადაზიდვების მოცულობის შემცირება, როგორც ჩანს, საქართველოში მიმდინარე მოვლენებთანაა დაკავშირებული," - მიაჩნია საბაჟოს უფროსს. მისი თქმით, საქართველოს სამხედრო გზაზე და ტრანსკავკასიურ ავტომაგისტრალზე მდებარე "ზემო ლარსის" და "ქვემო ზარამაგის" საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს, ჩვეულებრივ რეჟიმში, დღე-ღამეში 200-მდე ავტომანქანა კვეთდა, ახლა კი - დაახლოებით 30. "ზემო ლარსის" საბაჟო პუნქტთან 40-მდე ავტომანქანა რამდენიმე დღის განმავლობაში საზღვარზე იდგა, ვიდრე თბილისში მიტინგები გრძელდებოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" გუშინ მომხდარი ავარიის გამო, თბილისის მოსახლეობის ნაწილს 20 წუთის განმავლობაში დენის მიწოდება შეუწყდა. "თელასში" განაცხადეს, რომ გამორთვის მიზეზი მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებზე - "არაგვი", "კუკია" და "ვარკეთილი" - მომხდარი ავარია გახდა, რის გამოც გლდანის ქვესადგურს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. "ავარია მოხდა 14.21 საათზე და ამის მიუხედავად, 14.44 საათზე თბილისის ელექტრომომარაგება უკვე სრულად ხორციელდებოდა," - განაცხადეს "ელექტროსისტემაში". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, 2003 წლის იანვარ-სექტემბერში საერთაშორისო ევრაზიული დერეფნით (ტრასეკა) გადაზიდულია 30,8 მილიონი ტონა ტვირთი, რაც შარშანდელ პერიოდთან შედარებით 13,5 პროცენტით მეტია. ტვირთების 47 პროცენტი ( 14,5 მილიონი ტონა) ტრანზიტული იყო, რაც შარშანდელ მონაცენებს 16,4 პროცენტით (2 მილიონი ტონა) აღემატება. მგზავრთა გადაყვანით მიღებულმა შემოსავალმა 7,2 პროცენტით იმატა. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**გერმანია.** გერმანიის სასამართლომ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა შადი აბდელს, რომელსაც "ალ-ქაიდასთან" თანამშრომლობაში ედება ბრალი. წარმოშობით იორდანელმა ტერორისტმა აბდელმა, სასამართლოში განაცხადა, რომ ის ოსამა ბინ ლადენის პირადი მცველი იყო. დიუსელდორფის სასამართლომ ის ტერორისტულ საქმიანობაში და დოკუმენტების გაყალბებაში დაადანაშაულა. დამკვირვებლები აცხადებენ, რომ მან მოსალოდნელზე უფრო მსუბუქი სასჯელი მიიღო. 27 წლის აბდელი, იმ ცხრა ეჭვმიტანილს შორის იყო, რომლებიც გერმანიაში 2002 წელს დააპატიმრეს და ტერაქტების განხორციელების მცდელობაში დასდეს ბრალი.

■ ■ ■

**აშშ.** აშშ-სა და ავსტრალიის ხელისუფლებას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც კუბაზე, გუანტანამოს ბაზაზე მყოფ ორ ავსტრალიელ პატიმარს სიკვდილით არ დასჯიან. თუმცა, ისინი სამხედრო ტრიბუნალის წინაშე მაინც წარსდგებიან. ეს გადაწყვეტილება ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში იქნა მიღწეული.

ავსტრალიის ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანაში არსებული კანონები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ავსტრალიელი პატიმრები სამშობლოში გასამართლდნენ. თუმცა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ავსტრალიელი ტყვეები გასამართლების შემდეგ მიღებულ სასჯელს უკვე სამშობლოში მოიხდიან.

გარდა ამისა, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სამხედრო ტრიბუნალი მასმედიისათვის ღია იქნება და პროცესს ავსტრალიელი იურისტები და განსასჯელთა ნათესავებიც დაესწრებიან.

■ ■ ■

**უკრაინა.** უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, თუკი უკრაინის ოპოზიცია 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთიანი ფრონტით გამოვა და ერთი კანდიდატი ეყოლება. ტიმოშენკომ მომავალი ხელისუფლება შემდეგნაირად გადაანაწილა: პრეზიდენტი – ვიქტორ იუშენკო, პარლამენტის სპიკერი – ალექსანდრ მოროზი, ხოლო თავად ტიმოშენკო - პრემიერ-მინისტრი.

■ ■ ■

**იტალია.** იტალიის სპეცსამსახურები და სამართლადამცავები ტერაქტების მოლოდინში არიან. განსაკუთრებული ყურადღება ვატიკანისკენ არის მიპყრობილი. იტალიის სამხედრო დაზვერვის ინფორმაციით, ისლამისტი რადიკალები რომის პაპზე ან მის გარემოცვაზე გეგმავენ თავდასხმებს. უსაფრთხოების ზომებია მიღებული რომსა და მილანშიც.

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსეთის საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა პარტიათა დანახარჯები წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ამ მონაცემების მიხედვით, ჯერჯერობით ყველაზე მეტი თანხა – 204,9 მილიონი რუბლი მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას აქვს დახარჯული. შემდეგ მოდიან პროსახელისუფლებო პარტია "ერთიანი რუსეთი" – 187 მილიონი რუბლი, რუსეთის დემოკრატიული პარტია "იაბლოკო" – 122,8 მილიონი რუბლი. ლიბერალ-დემოკრატებსა და კომპარტიას, ჯერჯერობით, დაახლოებით 50-50 მილიონი რუბლი აქვთ დახარჯული.

# ჯეი გარნერი: „ერაყის არმია არ უნდა დაეშალათ"

ამერიკელმა გენერალმა ჯეი გარნერმა ერაყში მოქმედი კოალიციის კრიტიკა დაიწყო. ის ომის შემდგომ ერაყში აშშ-ს ადმინისტრაციის პირველი ხელმძღვანელი იყო, თუმცა დანიშვნიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ის პოლ ბრემერმა შეცვალა.

გარნერი აცხადებს, რომ ომის შემდეგ ერაყში ვითარების პროგნოზირებაზე უამრავი დრო და ძალისხმევა დაიხარჯა.

**"მე თითქმის კვირაში ერთხელ ვხვდებოდი რამსფელდს. ასე რომ, ჩემი აზრით, ისინი დიდხანს ფიქრობდნენ იმის შესახებ, თუ რა გაეკეთებინათ ერაყში ომის შემდეგ. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ისინი მოელოდნენ. მნიშვნელოვანწილად, ეს სწრაფი ოპერაციით აიხსნება, ბაღდადი ძალიან სწრაფად აიღეს,"** - აცხადებს გარნერი.

მისი აზრით, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ერაყელებთან დიალოგის არარსებობა იქცა.

**"ჩვენ ეს ცუდად გავაკეთეთ და არავითარი გამართლება ამას არ გააჩნია. ამის შედეგია, რომ ისინი "ალ-ჯაზირას" უსმენენ,"** - მიიჩნევს ამერიკელი გენერალი.

ჯეი გარნერი ერთ-ერთ მთავარ შეცდომად პოლ ბრემერის გადაწყვეტილებას მიიჩნევს, რომლის თანახმადაც ერაყის არმია დაშალეს.



გენერალი ჯეი გარნერი.

**"ჩვენ ვაპირებდით, ერაყის არმიის გამოყენებას ომისშემდგომი ქვეყნის აღდგენისათვის. საუბარი ნახევარ მილიონ ადამიანს შეეხება და უფრო მეტსაც – ერთ-ორ მილიონს, რომლებიც იტანჯებიან იმიტომ, რომ მათი ოჯახის უფროსი აღარ მუშაობს. და ჩვენ გვქონდა ბიუჯეტი იმისათვის, რომ ერაყელი ჯარისკაცებისათვის ფული გადაგვეხადა. მაგრამ ჩვენი გეგმა ითვალისწინებდა, რომ, პირველ რიგში, ისინი ჩაგვბარდებოდნენ, როგორც ეს სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს მოხდა. ისინი არ ჩაგვბარდნენ, ისინი უბრალოდ გაიფანტნენ,"** - აცხადებს გარნერი.

ამერიკელი გენერალი თვლის, რომ ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შესაძლებელი იყოს, ბაღდადში უამრავი ქვეითი არ განლაგდებოდა და, საერთოდ, კოალიციის ჯარისკაცების რაოდენობა არ გაიზრდებოდა.

გარდა ამისა, ამერიკელი გენერლის აზრით, ერაყელთა ყოფას უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვიდრე ახლა ეთმობა, და ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროენერგიის ნორმალურ მიწოდებას. რაც შეეხება არმიას, ის არ უნდა დაეშალათ და ქვეყნის აღდგენისათვის უნდა გამოეყენებინათ.

უკანასკნელ კვირებში, აშშ-ს ადმინისტრაციამ შეცვალა თავისი პოლიტიკა ერაყის მიმართ და ახლა ცდილობს, ერაყელებს რაც შეიძლება სწრაფად გადასცეს ხელისუფლება. ჯეი გარნერის აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებაა, ხოლო, მეორე მხრივ, ამერიკელები ნელ-ნელა უკვე ენდობიან ერაყელებს.

# მეზობლები თბილისის მოვლენების შესახებ

პირველი გვერდიდან

უზბეკეთის პრეზიდენტის, კარიმოვის კომენტარები, ალბათ, საუკეთესოდ ასახავს დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტების პოზიციას საქართველოს მოვლენებთან დაკავშირებით. 24 ნოემბერს, სატელევიზიო ინტერვიუს დროს, კარიმოვმა განაცხადა, რომ "სერიოზულად შეშფოთებულია" საქართველოში მომხდარი მოვლენებით. მან უარი განაცხადა, შეეფასებინა საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა და დასძინა: "მე იმის მომხრე ვარ, რომ ყველაფერი კონსტიტუციის, კანონისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მოხდეს."

კიდევ ერთ ინტერვიუში კარიმოვი დიდი მონდომებით გამოესარჩლა პრეზიდენტ შევარდნაძეს: "მან დაადასტურა, რომ არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის იბრძოდა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სტაბილურობისათვის. ის დიდ პატივისცემას იმსახურებს."

საქართველოს გამოძახილი ყველაზე ხმამაღლა მეზობელ ქვეყნებში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გაისმა. ორივე ქვეყანაში წელს ჩატარდა არჩევნები, რომლებიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა დაგმეს, როგორც გაყალბებული. ის, რომ ქართულმა ოპოზიციამ მოახერხა შევარდნაძის დამხობა, კოჩარიანსა და ალიევს ბევრ თავის ტკივილს უჩენს. საქართველოში მომხდარი ტრანზიცია ბაქოში უარყოფითად შეფასდა. 22 ნოემბერს ილჰამ ალიევმა დაურეკა პრეზიდენტ შევარდნაძეს და "ძმური და მეგობრული საქართველოს კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს" დახმარება შესთავაზა.

ალიევის შეშფოთება გასაგებია. თბილისის მოვლენებმა აზერბაიჯანის ოპოზიციის გააქტიურება გამოიწვია. აზერბაიჯანის ოპოზიციის ლიდერის, ისა გამბარის განცხადებით, ის, რაც საქართველოში მოხდა, "არის დემოკრატიისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი და გარღვევა, რეგიონში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების თვალსაზრისით."

გამბარმაც და ეტიბარ მამედოვმაც განაცხადეს, რომ ალიევი შეცდა, როდესაც შევარდნაძეს მხარდაჭერა გამოუცხადა.

სომხეთის ხელისუფლება თბილისში მომხდარი ცვლილებებისადმი უფრო კეთილგანწყობილი ჩანს. მართალია, ოფიციალური ერევნის კომენტარები საკმაოდ ფრთხილი იყო და ხაზს უსვამდა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის აუცილებლობას, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსკანიანმა განაცხადა, რომ სომხეთი ითანამშრომლებს საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან.

სომხეთის ოპოზიციურმა პარტიებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს ახალ ხელისუფლებას. სტეფან დემირჭიანის განცხადებით, თბილისის მოვლენები იყო "ქართველი ხალხის გამარჯვება".

"საქართველოში მომხდარი მოვლენები ფსიქოლოგიურ გავლენას იქონიებს კოჩარიანის უკანონო რეჟიმზე, – განაცხადა დემირჭიანმა, - სომხური ოპოზიციაც მალე გაიმარჯვებს."

*ეურაზიანეტი*

# საქართველოს ხავერდოვანი რევოლუცია

*არჩევნებში მისი პარტიის "გამარჯვებიდან" სამი კვირის თავზე მშვიდობიანმა რევოლუციამ აიძულა პრეზიდენტი შევარდნაძე, თანამდებობა დაეტოვებინა. ის, რაც დაიწყო როგორც უმძიმესი კრიზისი, დასრულდა, როგორც დემოკრატიის ტრიუმფი.*

აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმების დამხობიდან ათი წლის თავზე სახალხო ამბოხებამ კიდევ ერთ კომუნისტურ რელიქვიას მოუღო ბოლო. 11-წლიანი პრეზიდენტობის შემდეგ შევარდნაძის წასვლა, პირველ რიგში, მისი მშვიდობიანი ხასიათის გამოა აღსანიშნავი. გაყალბებული არჩევნების შემდეგ ხალხის სამკვირიანმა არაძალადობრივმა პროტესტმა და პრეზიდენტის მოკავშირეებისა და შეიარაღებული ძალების ხალხის მხარეს გადასვლამ აიძულა შევარდნაძე, ქედი მოეხარა გარდაუვალის წინაშე და 23 ნოემბრის საღამოს გადამდგარიყო.

ქართველები ყოველთვის იამაყებენ იმით, რომ ამ უსისხლო რევოლუციამ აჩვენა - მათი ქვეყანა ძირფესვიანად განსხვავდება მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან. წელს გაყალბებული არჩევნები ორივე ამ ქვეყანაში ჩატარდა, მაგრამ მათ ხავერდოვანი რევოლუცია არ მოჰყოლია. აზერბაიჯანში სახალხო გამოსვლები ძალის გამოყენებით ჩაახშვეს, სომხეთში კი ხალხი მიხვდა, რომ გამოსვლებით მაინც არაფერი გამოვიდოდა და ხელი ჩაიქნია. იმას, რომ საქართველოში ყველაფერი სხვაგვარად მოხდა, დემოკრატიული ოპოზიციის სიმტკიცეს და, ნაწილობრივ, დასავლეთის აქტიურ ჩარევას უნდა ვუმადლოდეთ. დასავლეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო არჩევნების მონიტორინგში და გაყალბებით თავისი აღშფოთება არ დაფარა.

დიდი როლი შეასრულა იმანაც, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე ამ დროისათვის უკვე ძალიან სუსტი და არაპოპულარული ფიგურა იყო. ამბოხებამდე ერთი დღით ადრე, მან საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, მაგრამ შეიარაღებულ ძალებს მისი ბრძანების შესრულებისათვის დიდი ენთუზიაზმი არ გამოუჩენიათ.

ქვეყანა, რომელიც შევარდნაძემ დაუტოვა თავის მემკვიდრეებს, ისევე სუსტია, როგორც თავად პრეზიდენტი. კორუფცია ყვავის, ეკონომიკა კი ერთ ადგილზე დგას. მოქმედმა პრეზიდენტმა ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსის წინაშე დგას და საგარეო დახმარება დასჭირდება.

ეკონომიკურ პრობლემებს რომ თავი დავანებოთ, ქვეყანა დაშლის საფრთხის წინაშე დგას. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს გული რუსეთისაკენ მიუწევთ. ამ რეგიონებზე კონტროლით, კრემლი გამუდმებით ცდილობდა, ედუარდ შევარდნაძისათვის ძირი გამოეთხარა. აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ავტონომიას ისე მართავს, როგორც თავის საფეოდალოს. შევარდნაძის დამხობის შემდეგ, მან ავტონომიის საზღვრები ჩაკეტა და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

პრეზიდენტი შევარდნაძე მუდმივად იმუქრებოდა, რომ მისი დამხობის შემთხვევაში, ქაოსი გარდაუვალი იქნებოდა. იგი თავის თავზე საუბრობდა, როგორც კავკასიაში სტაბილურობის გარანტზე. ყველა მისი ნაკლის მიუხედავად, იგი იყო ძალზე ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკოსი, რეგიონის ყველა ინტრიგაში კარგად გაწაფული. მას საუკეთესო კონტაქტები ჰქონდა დასავლეთთან. რაც შეეხება მის მემკვიდრეს, ჯერ უცნობია, სიახლე მისთვის ნაკლი იქნება თუ უპირატესობა.

სამშაბათს ძველმა პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების 4 იანვრისათვის დანიშვნის შესახებ. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ახალი პარლამენტის არჩევნების შედეგები. საპრეზიდენტო არჩევნებში მთავარი კანდიდატია მიხეილ სააკაშვილი, ახალგაზრდა, პოპულისტი იურისტი დასავლური იმიჯით. შევარდნაძისაგან განსხვავებით, მას შეუძლია ხალხის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. მაგრამ, მემკვიდრეობით იგი თავდაყირა დაყენებულ ქვეყანას იღებს.

მიუხედავად ქვეყნის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემისა, როგორც ჩანს, კრიზისი დასრულდა, როგორც დემოკრატიის ტრიუმფი. აშშ-ს ადმინისტრაცია მიესალმა შევარდნაძის გადადგომასა და ახალი არჩევნების დანიშვნას. ამავე დროს, ამერიკელებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს ედუარდ შევარდნაძისადმი პატივისცემა. პუტინის რეაქცია უფრო ორაზროვანი იყო: მან შეშფოთება გამოთქვა შევარდნაძის მუქარით დამხობის გამო, მაგრამ ამავე დროს, ისაუბრა მის მიერ საგარეო, საშინაო და ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებზეც.

საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად მუდმივი კონკურენციის მიუხედავად, როგორც ჩანს, ამერიკა და რუსეთი ერთად დადგნენ უსისხლო რევოლუციის მხარეს. შევარდნაძეს, რუსეთის ნების საპირისპიროდ, ქვეყანა აშშ-სა და დასავლეთ ევროპისაკენ მიჰყავდა, და ჯილდოდ ფინანსური დახმარება და წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა მიიღო. თავის მხრივ, რუსეთს ამ ქვეყანაში კიდევ აქვს ორი სამხედრო ბაზა და ფაქტობრივი მონოპოლია საქართველოს ენერგომომარაგებაზე.

საქართველოზე უნდა გაიაროს ძალზე მნიშვნელოვანმა მილსადენმა, რომელიც კასპიის ნავთობის საბადოებს დასავლეთის ბაზრებთან დააკავშირებს. დასავლურმა ნავთობგიგანტებმა "ბიპიმ" და "სტატოილმა" ორშაბათსვე გააკეთეს განცხადებები, რომ საქართველოს მოვლენები მათ გეგმებზე არავითარ გავლენას არ მოახდენს.

ახლა აუცილებლად გამოჩნდება "შეთქმულების თეორიები", რომლებიც ყველაფერს ნავთობსა და გაზს დაუკავშირებენ. მაგრამ, შევარდნაძის დამხობა, პირველ რიგში, იმან გამოიწვია, რომ მისი უცხოელი მხარდამჭერებიცა და ქართველი ხალხიც დაიღალა ექს-პრეზიდენტის შეუსრულებელი დაპირებებით. შევარდნაძის გადადგომა არის, აგრეთვე, კიდევ ერთი ნაბიჯი "დემოკრატიზაციის მესამე ტალღაში", რომელიც 1970 წელს დაიწყო, და რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით მრავალ ქვეყანაში გაიმარჯვა.

*"ეკონომისტი"*
*დიდი ბრიტანეთი*

# მოლდოვას პრეზიდენტმა შევარდნაძის ბედი გაითვალისწინა

*მოლდოვას პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა უკანასკნელ მომენტში უარი განაცხადა, ხელი მოეწერა რუსეთის მიერ შეთავაზებულ გეგმაზე, რომელიც დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებას ისახავდა მიზნად. ვორონინის უარმა კი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მოლდოვაში დაგეგმილი ვიზიტი ჩაშალა და კრემლის ადმინისტრაციის აღშფოთება გამოიწვია. ანალიტიკოსები ვორონინის ამ ნაბიჯს საქართველოს მოვლენების მოლდოვაში გამეორების შიშით ხსნიან. თუმცა, მეორეს მხრივ, კიშინოვმა დასავლეთის მკვეთრი რეაქციაც გაითვალისწინა.*

ლევან ღირსიაშვილი

**"ვორონინს პოლიტიკური ვაჟკაცობა არ ეყო,"** - ასეთი შეფასება მისცა მოლდოვას პრეზიდენტის უარს პუტინის ადმინისტრაციის შეფის პირველმა მოადგილემ დმიტრი კოზაკმა, რომელიც ამ საკითხში რუსეთის მხარის ინტერესებს წარმოადგენდა. მისი თქმით, ვორონინს ოპოზიციის შესაძლო პროტესტის შეეშინდა. უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ კოზაკის აზრი არ არის. საქართველოში მომხდარმა "ვარდების რევოლუციამ" დსთ-ს სივრცეში ბევრი ხელისუფალი დააფიქრა და სახალხო პროტესტის შიში გაუჩინა. **"ვორონინს აქვს შეშფოთების საფუძველი, რათა არ გაიზიაროს ქართველი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბედი, რომელიც უსისხლო რევოლუციის შედეგად დაემხო,"** - წერს გუშინდელი "ზიბისი." თუმცა, რუსულენოვანი "კომერსანტის" აზრით, საქმე იმდენად ოპოზიციაში და საპროტესტო გამოსვლებში არაა, რამდენადაც ევროსტრუქტურების მხრიდან ზეწოლაშია.

როგორც "კომერსანტი" იუწყება, ვორონინმა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება ორშაბათს საღამოს შეცვალა, მას შემდეგ, რაც ის ეუთო-ს თავმჯდომარეს, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრს და ნატო-ს მომავალ გენერალურ მდივანს იააპ დე ჰუპ სხეფერს ესაუბრა. **"თუ მხარეები მართლაც მიაღწევენ შეთანხმებას ამ მემორანდუმთან დაკავშირებით, ჩვენ ნეიტრალურ პოზიციას დავიკავებთ,"** - განუცხადა ნატო-ს მომავალმა ხელმძღვანელმა მოლდოვას პრეზიდენტს. ამ უკანასკნელმაც ყოველივე ზუსტად შეაფასა და გაიგო - დასავლეთი რუსულ სამშვიდობო გეგმას არ მიესალმება. როგორც ჩანს, დასავლეთის წარმომადგენელთა გაღიზიანების და უარყოფითი პოზიციის უმთავრეს მიზეზს, მოლდოვას ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნის გახანგრძლივება (სავარაუდოდ, 2020 წლამდე) წარმოადგენდა. ეს კი რუსეთის სამშვიდობო გეგმით იყო გათვალისწინებული, რასაც დნესტრისპირეთის ხელისუფლება დაჟინებით ითხოვს. სამშვიდობო გეგმაში ასეთი პუნქტის არსებობამ კი მოლდოვას ოპოზიციური ძალების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მათ ვორონინის გადადგომა მოითხოვეს.

ოპოზიციამ ამ მოთხოვნით და რუსული გეგმის საწინააღმდეგოდ რამდენიმე ათასი მხარდამჭერი კიშინიოვში რუსეთის საელჩოსთან შეკრიბა. **"ეს გეგმა მოლდოვას, როგორც სახელმწიფოს, გაანადგურებს,"** - განაცხადა ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის ლიდერმა იური როშკამ. კიშინიოვში უკვე თბილისური სცენარის ამოქმედებაზე ალაპარაკდნენ. ვორონინმა, რომელმაც ცალკე სახალხო პროტესტი და ცალკე დასავლეთის ნეგატიური რეაქცია ადეკვატურად შეაფასა, რუსეთის პრეზიდენტს ბოლო წუთებში განუცხადა უარი გეგმის ხელმოწერაზე და პუტინს კიშინიოვში დაგეგმილი ვიზიტი გადააფიქრებინა.

რუსული გეგმა მოლდოვას ტერიტორიაზე ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს, სადაც ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებით შეველენ დნესტრისპირეთი და გაგაუზიის მხარეები.



ვლადიმირ ვორონინი

ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ რუსული სამშვიდობო გეგმა ძალაში. პუტინის წინააღმდეგ ვორონინის დემარში კი უეჭველად აისახება რუსეთ-მოლდოვურ შემდგომ ურთიერთობებზე. მოლდოვის ამჟამინდელი პრეზიდენტი, თავიდან, პრორუსულ ტალღაზე იქნა არჩეული ქვეყნის ლიდერად. ის კომუნისტებს და რუსეთთან ახლო ურთიერთობებს არასდროს უარყოფდა. თუმცა, თავისი წარსულის მიუხედავად, მან მხარი დაუჭირა ევროსტრუქტურებში მოლდოვის ინტეგრაციის პროცესს და ევროპელი პარტნიორების აზრს ყოველთვის ანგარიშს უწევდა. ამან კი კრემლის გაღიზიანება გამოიწვია.

**"როგორც ჩანს, მოსკოვმა უკვე დაუსვა მას ჯვარი და 2005 წლის თებერვლის საპრეზიდენტო არჩევნებში მის მხარდაჭერას აღარ აპირებს,"** - წერს "კომერსანტი."

მართალია, რუსეთს ვორონინმა არ გაუმართლა, მაგრამ კრემლი ისეთ რჩეულს იშოვნის, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში თავისი ფავორიტები რომ შემოლოცოდა. **"უკვე სახელდება პოლიტიკოსის ვინაობა, რომელიც კრემლს მოლდოვას სათავეში სურს. ეს პოლიტიკოსი, კიშინოვის ამჟამინდელი მერი სერაფიმ ურეკიანია, რომელსაც განონასწორებულ პროდასავლური და პრაგმატული პოლიტიკოსის რეპუტაცია აქვს,"** - იუწყება "კომერსანტი."

2005 წლამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი. პრეზიდენტი ვორონინი კი, რასაკვირველია, თავის ვადას დასრულებამდე აპირებს და არ სურს თავისი ქართველი კოლეგის ბედის გაზიარება, რომელიც ასევე 2005 წლამდე უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი. ამდენად, საქართველოს მოვლენები დსთ-ს სივრცეში ბევრისათვის სამაგალითო აღმოჩნდა.

# მაკკეინი რუსეთის დიდი რვიანიდან გაძევებას მოითხოვს

"ქვეყანა, რომელიც სულ უფრო იმპერიალისტურია თავის საგარეო პოლიტიკაში და ავტორიტარული – საშინაოში, არ იმსახურებს დიდი რვიანის, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი, ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფოების კლუბის წევრობას," – განაცხადა სენატორმა მაკკეინმა კაპიტოლიუმზე გამოსვლისას.

მან და კიდევ ერთმა სენატორმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიიდან, სენატში შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომლითაც პრეზიდენტ ბუშს სთხოვენ, რუსეთის გარიცხვის საკითხი დააყენოს.

სენატორების აზრით, რუსეთი უნდა დაისაჯოს დემოკრატიული ნორმებიდან გადახრისათვის, კერძოდ, თავისუფალი პრესისა და თავისუფალი ბიზნესის დევნისათვის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არარსებობისათვის და ჩეჩნეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი მასობრივი დანაშაულებებისათვის. სენატორების აზრით, რუსეთი ვერ აკმაყოფილებს დიდი რვიანის წევრობისათვის საჭირო მინიმალურ სტანდარტებსაც კი. "ამერიკა არ უნდა დარჩეს გულგრილი რუსეთში მიმდინარე მცოცავი გადატრიალებისადმი, რომელიც დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგ ხდება. ეს გადატრიალება ემუქრება როგორც რუსეთის მოქალაქეთა თავისუფლებას, ისე რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებს."

ანალოგიური რეზოლუციის პროექტი შეიტანეს კონგრესის ქვედა, წარმომადგენელთა პალატაშიც.

რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მიღებას მხარი დაუჭირეს მილიონერმა ჯორჯ სოროსმა და პენტაგონის გავლენიანმა მრჩეველმა რიჩარდ პერლმაც. როგორც სოროსი აცხადებს, "ბუშმა უნდა მიანიშნოს პუტინს, რომ იგი არასწორი მიმართულებით მოძრაობს," პერლის თქმით კი, "დიდი რვიანის არც ერთი ქვეყანა არ შეიძლება მოექცეს ბიზნესმენს ისე, როგორც რუსეთი მოექცა ხოდორკოვსკის."

მოსკოვმა უკვე გააკეთა საპასუხო განცხადებები, რომლებშიც საუბარია იმაზე, რომ მაკკეინი და ლიბერმანი "სიცრუესა და სიძულვილს" ავრცელებენ და რომ რუსეთი ერთ-ერთი წამყვანი ძალაა საერთაშორისო ანტიტერორისტულ კოალიციაში.

ექსპერტების აზრით, მართალია, იმის შანსი, რომ კონგრესმა ამ პროექტს მხარი დაუჭიროს, პრაქტიკულად არ არსებობს, მაგრამ მისი გამოჩენა აშკარად მოწმობს - უკმაყოფილება პუტინის საშინაო და საგარეო პოლიტიკით ამერიკაში ნელ-ნელა იზრდება.

## ჩვეოსეთი



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

# ვითხოვ დემოკრატიას!

გუშინ ჩვენს რედაქციაში რეპრესიები დაიწყო. რედაქტორმა ხელის ოსტატური მოძრაობით ჩემი წერილიდან უკვალოდ გააქრო რამდენიმე ფირმის სახელწოდება და ჩემ მიერ შერჩეული რამდენიმე გმირის მინიპორტრეტი. ცხადია, თავის გვარ-სახელიანად. ყველაფრით იგრძნობა, რომ რეპრესიები კარგა ხანს გასტანს. მართალია, ჯერჯერობით სია არ გამოუკრავთ, მაგრამ დაკვირვებული კაცი უცებ მიხვდება, ვისზე შეიძლება წერა და ვისზე – არა. ისე, ალბათ, მაინც გამოკვრა ჯობს – ტყუილად მაინც აღარ მოცდები კაცი. ოქუაშვილი-ჩხეიძის გაზეთიდან თუ გადაიღეს. აი, იმ ოქუაშვილისა, სიგარეტს რომ ყიდულობს და ყიდის. იქ ნამდვილად არსებობდა სია. ოღონდ ერთი განსხვავებით. ეს იყო სია ადამიანებისა, რომლებზეც კარგის წერა იყო აკრძალული. მაგალითად, ამ სიაში იყვნენ ოთარ ჭილაძე, აკა მორჩილაძე, ლაშა თაბუკაშვილი...

ჩვენს ჯერჯერობით ვირტუალურ სიას ერთი უპირატესობა ნამდვილად ექნება. ეს იქნება ჩამონათვალი ადამიანებისა, ვისზეც არ შეიძლება ცუდის წერა.

სანამ მკითხველს რაიმე მანქანებით ამ სავარაუდო ადამიანებს გავაცნობდე, აუცილებლად უნდა ვთქვა და, ეს ნამდვილად მისასალმებელია, რომ ჩვენ კვლავ ოპოზიციაში ვართ! ოპოზიციაში იმათთან, ვისაც, ბიჭბუჭების მიერ ნაცემი რჩეულიშვილის თქმით, გუშინდლიდან "ტროიკა" ან, უკეთეს შემთხვევაში, სახელმწიფო საბჭო ჰქვია.

ომბუდსმენი ჩვენს გაზეთს დაარსების დღიდან ჰყავს და ძალიანაც კარგი, რომ ჰყავს, რადგან ჩვენივე ჯიბეგაფხეკილ და უფლებააყრილ მკითხველს იცავს. ომბუდსმენის ახალი შტატი გუშინდელი ბანდიტებისა და ხაზინის ქურდების, გამყალბებლებისა და კონტრაბანდისტების, ხალხის წიაღიდან გამოსული ყბედი დეპუტატების დაცვას გულისხმობს. დაცვა, როგორც ამბობენ, ყველას სჭირდება, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ეს პროცესი იმთავითვე გამორიცხავს შეჯიბრებითობასა და საჯაროობას – არასასურველ სახელებს, გვარებს, მთელ სტრიქონებსა თუ აბზაცებს იმ ოცთეთრიანივით ისე გააქრობენ, როგორც მე ვაქრობ ხოლმე ჩემი კოლეგა გოგოების თვალწინ და, სხვათა შორის, სავსებით დამსახურებულ აღტაცებასაც ვიწვევ.

აი, ასეთი ვითარებაა და თუ აქამდე წერის დროს სიტყვებზე, წინადადებებზე, აზრზე უნდა მეფიქრა, - მერწმუნეთ, ეს, არც ისე იოლი საქმეა, როგორც ზოგიერთს ჰგონია, - ახლა აქედანვე უნდა დავიჭირო თადარიგი, რათა ჩვენი ფრთხილი, უფრო ზუსტად კი, მფრთხალი იურისტების თქმისა არ იყოს, "წყვეტილობა არ წარმოიქმნას". ამიტომ, საეჭვო პასაჟებს ცალკე აბზაცად დავწერ, რომ ამოგდების შემთხვევაში სულ არ გადავრიო მკითხველი.

ახლა, ჩემი ბიძაშვილის ამბავი მოგეხსენებათ – ვერ მოისვენებს, თავისი განსხვავებული აზრი რომ არ გამოთქვას. ზუსტად ეგ ტერმინი იხმარა, განსხვავებულიო. რას არ ისწავლი კაცი!

მოკლედ, ეგრე. ბოდბისხეველები კი ვართ, მაგრამ რადიოცა გვაქვს და ტელევიზორიცო. ემაგ დალილავებულ ხალხს რომ გვიჩვენებთ, ვერა ხვდებით, ძალად რომ გაცემინებენ თავს, ბრაზს გინელებენ, იქნებ ის ჩვენი ოფლით ნაშოვნი ქონება გადავირჩინოთო. პატიაანთ მიხას ბიჭმა ისიც კი თქვა, მაიტა, კაცო, შევენაცვლები, იმათ მაგივრად ვაჟუეპინებ თავს, წილში გამიყვანონო.

ახლა კი ძალიან სერიოზულად უნდა ვთქვა: დეპუტატი ხალხის რჩეულია და ამიტომ ნონსენსია ხალხის მიერვე მისი ცემა. თანაც, ჩემი ბიძაშვილის მოსაზრებაშიც არის ჭეშმარიტების მარცვალი.

ერთი სიტყვით, ნუ სცემთ დეპუტატებს. ბოლოს და ბოლოს, დეპუტატიც ადამიანია!

თუმცა, ერთი კი არის. ამ უმსგავსო ფაქტებს ერთი სასიამოვნო შედეგი მაინც შეიძლება მოყვეს. ეტყობა, არც ისე მაგარი რამეა ეს ყბადაღებული იმუნიტეტი და, შესაძლოა, ამ აღმოჩენამ საგრძნობლად დაამოკლოს პარლამენტში შესვლის მსურველთა რიგი.

ახლა კი შეპირებული ვირტუალური სიის ჯერიც დადგა.

შესაძლოა, ეს ჯორბენაძეა, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ შედეგები გაუყალბა ნაციონალურ მოძრაობას და სხვას არავის!

მეც არ მიკვირდა, ამ კაცმა რატომ ვერ მოაბა-მეთქი საქმეს თავი. ექიმო ჯორბენაძევ, სამედიცინო ინსტიტუტში მოსახვედრად, თუ არ ვცდები, ფიზიკასაც აბარებდნენ. ეს კი, სულ ცოტა, არითმეტიკის ცოდნასაც გულისხმობს.

ვთქვათ, გვყავს ათი მეცხვარე – ეს პარტიები იყოს, და ასი ცხვარი – ეს პირობითად საარჩევნო ხმებია.

სიმარტივისა და სამართლიანობისთვისაც თავიდან ყველას ცხვრების თანაბარი რაოდენობა – ათ-ათი დავურიგოთ. ახლა ავდგეთ და, როგორც შენ ამბობ, მეცხვარე მიშას წავართვათ ხუთი ცხვარი. ორი ავთოს მივცეთ, ორი – ასლანს, ერთიც – შალვას. როგორ ფიქრობ, გარდა იმისა, რომ მიშა დავჩაგრეთ, ავთომ, ასლანმა და შალვამაც ხომ ნახეს სარგებელი, ნინოსა და ზურას ფარეხი კი ვითომ არ დაზარალდა? შენი ამ "ექსპერიმენტის" შემდეგ ავთოც, ასლანიცა და შალვაც ნინოსა და ზურას წინ აღმოჩნდნენ. ცხვარი მეტი ჰყავთ, ესე იგი, ყველიც მეტი ექნებათ და მატყლიც.

ახლა ეს ამოცანა რეალურ ვითარებას რომ მივუახლოვოთ, შიგ პროცენტიც ჩავრთოთ, სხვა მათემატიკური ნიუანსებიც, კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთება, რა სიბრძნე წამოაყრანტალე საქვეყნოდ. ამბობენ, მეტოქეც კი ჭკვიანი გერჩივნოსო. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა საქმე პირიქით არის. სულელი მეტოქე ხანდახან ციურ მანანად იქცევა ხოლმე.

უეჭველია, რომ ხელუხლებელთა სიის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს დაიჭერს ადა მარშანია, რომლის უფლებები თურმე სასტიკად ილახება ჩემი და ჩემნაირების, ესე იგი, უფლებააყრილთა პარლამენტის საგამოფენო, მაპატიეთ, სხდომათა დარბაზში შესვლით. მე კიდევ გულუბრყვილოდ პირიქით ვფიქრობდი, სულ მეგონა, რომ ადა დაიცავდა ჩვენს უფლებებს.

ჩემი მეზობლის ბიჭს უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს ნახევარი ქულა დააკლდა თუ დააკლეს უფასო ჯგუფში მოსახვედრად. მეხუთე წელიწადია, ამ ბიჭის მამა ხან რუსეთში დაწანწალებს, ხან – ისრაელში, ხან მაღაროებში იწყვეტს წელს, ხან ვიღაც ვაჭრებთან არის ლამის ხელზე მოსამსახურედ. თირკმელები ჩაიგლიჯა ყოველ სასწავლო წელს ათას ორასი ლარის შოვნაში. ბიჭს პირველივე წელს შეჰპირდნენ, თუ კარგად ისწავლი, უფასოზე გადაგიყვანთო. ფრიადებზე დაასრულა ის პირველი კურსიც და ახლაც ეგრე აგრძელებს. მეხუთე წელიწადია, არაფერი იცვლება – შეძლებული მშობლების შვილები უფასოზე სწავლობენ და, ძირითადად, სამიანებით აქვთ აჭრელებული ჩათვლის წიგნაკები. აქეთ კარგად სწავლობენ და ჯილდოც დაიმსახურეს – სავალდებულო გადასახადი.

გაიკითხა კი ვინმემ, გუშინწინ უნივერსიტეტის რექტორის გვერდით რა კატეგორიის სტუდენტობა იდგა?

არა უშავს, თუ ამ მოკლე აბზაცს წერილში ვეღარ ნახავთ. რედაქტორის ჯიბრზე, სულ ეგეთ აბზაცებს ჩამოვარაკრაკებ. თუ რუბრიკამდე აჰყვება და მარტო ჩემს პორტრეტს დატოვებს, იმაზეც მადლობელი ვიქნები. ხალხი ისედაც მიხვდება, იმ გამქრალ სვეტში რა კანფეტებიც იქნებოდა.

მოკლედ, რეპრესიები დაიწყო და ყველაფრით იგრძნობა, რომ სიაც გამოიკვრება. მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, ვინ იქნება ამ სიაში – ჩვენ ხომ ოპოზიციაში ვართ გუშინდელ მყვლეფავებთან ერთად. თანამოაზრეებზე აუგის თქმა კი... ჩუ!

თუ ეს ამბები მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეცოდებათ დამარცხებული მეტოქე, მაშინ კიდევ ჰო. თუ არადა, ახლავე უარს ვამბობ ოპოზიციონერობაზე, თან სერიოზულად ვაფრთხილებ რედაქტორსაც, რომელმაც – კიდევ იტყვიან, მაგალითი გადამდები არ არისო? – ნინო ბურჯანაძისა არ იყოს, "უზურპაცია გაუკეთა" რედაქტორის სავარძელს.

თუ საბოლოოდ ამიკრძალავთ ამ სიაში ქექვას, არც ეგ იქნება დიდი უბედურება. საცა დიმა ობოლაძემ დაიხსომა ამდენი გვარი, ერთ-ორს მეც ვისწავლი, მიაწოდა-მოაწოდა და ჩაჰკიდა ხომ ისედაც ვიცი, გავფორმდები ბურთის მწერლად და მიდიიი... რა, ბექჰემის კრიტიკას დამიშლიან თუ რონალდოს ცოლზე ჭორაობას ამიკრძალავს ვინმე.

ისე, თუ გულახდილი ვიქნები, მსგავსი პერსპექტივა მაინცდამაინც არ მხიბლავს. ისევ მკითხველი თუ მიშველის, ისევ ხალხის იმედი მაქვს.

მოკლედ, მეტრო "დელისთან" რომ მაღალი სახლია, იქ არის ჩვენი რედაქცია. მეთოთხმეტე სართულზე. თუ ცუდად წავიდა საქმე და, 8-07 რომ აწერია, იმ ფანჯრებიდან გადმოკიდებულ შავ დროშას დაინახავთ, იცოდეთ, შავად არის ჩემი საქმე. ლიფტით ნამდვილად არ ამოგიშვებენ, იქნებ პატარა მიტინგი მაინც მოაწყოთ. ლოზუნგები, გასაგებია, როგორც უნდა იყოს:

"ვითხოვთ დემოკრატიას!"

"თავისუფლება ირაკლი ბერიაშვილს!"

# აქციები ლექციების მაგივრად - ახალ გადაწყვეტილებამდე

ნანა ქადაგიშვილი

*"კმარას" მიერ უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში მომხდარმა ინციდენტმა და შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტების დიდი ნაწილი ქუჩაში გამოიყვანა. ისინი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის უნივერსიტეტში მისვლამდე არ დაშლილან. სტუდენტებმა უნივერსიტეტის ხსნის კომიტეტი შექმნეს და დღეს დილის 10 საათიდან, ლექციების მაგივრად, უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბებიან.*



ახალგაზრდობის გახლეჩა დაუშვებელია.



როინ მეტრეველის გუშინდელი განცხადება, გადადგომის შესახებ, უნივერსიტეტში ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც პრორექტორმა პარმენ მარგველაშვილმა გვითხრა, რექტორის უკანასკნელი გადაწყვეტილების შესახებ უნივერსიტეტის მეცნიერთა საბჭომ არაფერი იცოდა. **"სამეცნიერო საბჭოსა და სტუდენტების მხარდაჭერამ და მოთხოვნამ გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ შემაცვლევინა, მათ შევპირდი, რომ თანამდებობაზე დავრჩებოდი, მაგრამ დღეს გადაწყვეტილება შევცვალე, უნივერსიტეტისთვის ასე აჯობებს,"** – განაცხადა როინ მეტრეველმა. **"რექტორმა მსხვერპლი გაიღო, რათა სტუდენტები დაპირისპირებისგან ეხსნა,"** – როინ მეტრეველის განცხადება ასე ახსნა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა ნუგზარ ფოფხაძემ და თანამდებობა მანაც დატოვა. სტუდენტები გადამდგარი რექტორისა და დეკანის დასაცავად უნივერსიტეტის ეზოდან ქუჩაში გამოვიდნენ და მოძრაობა გააჩერეს. **"არავის მივცემთ უფლებას, რომ უნივერსიტეტის საქმეებში ხელი აფათუროს, მით უმეტეს, ვიღაც "კმარელებს". უნივერსიტეტი ავტონომიურია და არავის აქვს მასზე ზეწოლის უფლება,"** – აცხადებდნენ სტუდენტები. **"რექტორს ზევიდან ზეწოლამ გადააწყვეტინა გადადგომა. ამაში ახალი ხელისუფლებაა ჩარეული, მაგრამ მივაღწევთ იმას, რომ გარეშე ძალა უნივერსიტეტის საქმეებში არ ჩაერიოს,"** – ასეთი იყო პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობის აზრი.

საღამოს აქციამ ქუჩიდან უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადაინაცვლა. ლექტორებისა და სტუდენტების დაჟინებული მოთხოვნით, უნივერსიტეტში ნინო ბურჯანაძე მივიდა. **"დემოკრატია ანარქიას არ ნიშნავს. ამას, უპირველესად, "კმარას" გასაგონად ვამბობ. თუ ვინმეს პრეტენზია აქვს, ცივილური გზით იმოქმედოს. ახალგაზრდობის გახლეჩა დაუშვებელია. უნივერსიტეტი ავტონომიურია და მასზე ზეწოლის უფლება არავის აქვს. უნივერსიტეტის საკითხები მხოლოდ რექტორისა და სამეცნიერო საბჭოს გადასაწყვეტია. გპირდებით, რომ სადაც ხელი მიმიწვდება, დემოკრატიისა და სამართლის დამკვიდრებას შევეცდები. სანამ ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, ქვეყანაში დიქტატურა არ იქნება,"** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. თუმცა, მის გამოსვლას პროფესორ-მასწავლებლები არ დაუკმაყოფილებია. **"ფაქტია, რომ არის დიქტატურა,"** – ისმოდა რეპლიკები დარბაზიდან. ბურჯანაძის გამოსვლას "კმარას" აქტივისტებიც ესწრებოდნენ. მალე მათ უნივერსიტეტის დარბაზი შეძახილებით დაატოვებინეს.

**"გთხოვთ, სხვებს არ დავემსგავსოთ, ერთ მუშტად შევიკრათ და ყველას ვაჩვენოთ, უნივერსიტეტი რაც არის,"** – ნინო ბურჯანაძის წასვლის შემდეგ განუცხადა ნუგზარ ფოფხაძემ სტუდენტებს. რომლებმაც "უნივერსიტეტის ხსნის კომიტეტი" შექმნეს და როინ მეტრეველისა და ნუგზარ ფოფხაძის თანამდებობაზე დაბრუნებამდე აქციების გაგრძელებით დაიმუქრნენ.

# ირაკლი ტუღუშს კვლავ უპირისპირდებიან

*საქართველოს პროფკავშირებისა და შრომის ფედერაციის კონფედერაციის თავმჯდომარის, თეიმურაზ ხმალაძისა და საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების თავმჯდომარის, ემზარ ბეჟაშვილის თქმით, საქართველოს პროფგაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში პროფკავშირების საერთო ქონებას ყიდის.*

"საქართველოში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციისა და სასიკეთო ცვლილებების შემდეგ ტუღუში მიხვდა, რომ მისი დღეები დათვლილია და დარჩენილი ქონების გაყიდვასა და ფულის მითვისებას აპირებს. ამისთვის ხვალ პროფგაერთიანების სხდომაც აქვს დანიშნული. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ საბჭოური წარსულიდან შემორჩენილი ეს გაერთიანება, რომელსაც კრიმინალი ირაკლი ტუღუში ხელმძღვანელობს, წარმოადგენს არალეგიტიმურ, დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რომელმაც საერთო პროფკავშირული ქონება ძალადობით ჩაიგდო ხელში და გააჩანაგა,"- აცხადებს ემზარ ბეჟაშვილი.

"2003 წლის 28 ნოემბერს დღის 12 საათზე პროფკავშირების კულტურის სასახლეში ეწყობა საქართველოს პროფგაერთიანების საბჭოს სხდომა, რომლის დღის წესრიგში ჩართულია პროფკავშირული სპორტული საზოგადოება "შევარდენის" სისტემაში პრივატიზების საკითხი (თან ერთვის პროექტი). აღნიშნული საკითხი "განიხილეს" და მიიღეს გამგეობის სხდომაზე. დადგენილების პროექტის მიხედვით "შევარდენის" ობიექტების პრივატიზება უნდა გაგრძელდეს, რაც არაკანონიერია. ჯერ კიდევ არსებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით პროფგაერთიანების განკარგვაში მყოფი პროფკავშირების საერთო ქონება ეკუთვნის ყველა პროფკავშირს და საერთო მსჯელობისა და ყველა პროფკავშირების თანხმობის გარეშე არ უნდა იქნეს პრივატიზებული, გაყიდული ან გასხვისებული. ამასთან დაკავშირებით, სხვა პროფკავშირებისა თუ პროფკავშირების გაერთიანების არაერთი მიმართვის მიუხედავად, პროფგაერთიანების ხელმძღვანელობა ერთპიროვნულად განაგებს და ასხვისებს ჩვენს საერთო ქონებას. ქვეყანაში შექმნილი რთული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს და მით უმეტეს დღევანდელ ვითარებაში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ამ ოპერაციის ჩატარება და აღნიშნული საკითხი არ უნდა იქნას განხილული მხოლოდ პროფგაერთიანების საბჭოს სხდომაზე,"- ამბობს ხმალაძე.

*24 საათი*


კერინოსენი

ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული პრეპარატი გვერდითი მოვლენების გარეშე უსაფრთხოა ბავშვების, ორსულებისა და მეძუძური დედებისათვის.

PSP - ჩემი ოჯახის აფთიაქი



Mercy Corps

btc

SCP

Mercy Corps ხელმძღვანელობს.

პროგრამა დაიწყო 2003 წლის მარტში და გაგრძელდება 2006 წლის ოქტომბრამდე.

სოფლის მეურნეობის საქმიანობები სოფელ ნაგებში


## მოკლედ

### "კმარა შევარდნა"

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განათლების მინისტრმა ალეკო კარტოზიამ დამსწრე ჟურნალისტებთან ერთად სოლიდარობა გამოუცხადა ჟურნალისტ ლუბა ელიაშვილს და სამართალდამცავებისგან ამ საქმის სრულყოფილად გამოძიება მოითხოვა. შემდეგ მან შეაფასა ყოფილი პრეზიდენტის მოქმედება, რომელმაც "გერმანიის მსგავსად თავის სამშობლოშიც შეძლო თავისი სიბრძნით ისე დაესრულებინა სახალხო მღელვარება, რომ არც ერთ ეტაპზე არ დაერღვია კანონი და ამასთანავე არ დაღვრილიყო არც ერთი წვეთი სისხლი" და იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი იურიდიულად და ფაქტობრივად უზრუნველყოფს მისი აღმატებულობის აბსოლუტურ უსაფრთხოებას.

მინისტრმა განაცხადა, რომ აბსოლუტური ფარისევლობა იქნებოდა, ახლა თავი რომ მომეკატუნებინა და თითქოს არაფერი მომხდარა, თანამშრომლობა დამეწყო იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომლის წარმომადგენლებთან მაქვს მსოფლმხედველობრივი და ცალკეულ შემთხვევებში პიროვნული შეუთავსებლობაო. "პრეზიდენტი, რომელმაც მინისტრად დამნიშნა, გადამდგარია, ხოლო მას, ვინც პრეზიდენტის ფუნქციების შესრულება დაიწყო, არანაირი განცხადებით არ მივმართავ. ამგვარად, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ დაკომპლექტდება მთავრობა და, ცხადია, დაინიშნება განათლების მინისტრიც". განცხადება კი ასე დაასრულა: "შევარდნენ პარლამენტში, კანცელარიაში, უნივერსიტეტში, 139-ე სკოლაში... კმარა შევარდნა".

*24 საათი*

### აღება დასწრებაზეა

ქვეყნის მასშტაბით სექტემბრის თვის პენსიები დაფინანსებულია მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თბილისში. თბილისელ პენსიონერებს პენსიების მიღება მაინც უჭირთ.

როგორც თვითონ პენსიონერები აცხადებენ, მათთვის უცნობია, რა დროს იღებს ფოსტა მათთვის განკუთვნილ თანხას, ამიტომაც "პენსიის აღება დასწრებაზეა".

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, დღეისთვის პენსიების დაფინანსებაში გარლევვა 43 მილიონ ლარს აჭარბებს. მათ შორის 8,5 მილიონი ლარი სჭირდება ივლისის თვის პენსიების სრულად გაცემას, 9,9 მილიონი ლარი — აგვისტოს პენსიებს, 11,1 მილიონი ლარია საჭირო სექტემბრის თვის პენსიების დასაფინანსებლად, დანარჩენი თანხა — ოქტომბრის თვის დავალიანების დასაფარად.

ოქტომბრის თვე, ჯერჯერობით, მხოლოდ 1,5 მილიონი ლარით არის დაფინანსებული, ხოლო ნოემბრის თვის დაფინანსება, ჯერჯერობით, არ დაწყებულა. **მედია-ნიუსი**

### "კავკასიას" აუქციონზე გაყიდვა ემუქრება

საგადასახადო სამსახური ტელეკომპანია "კავკასიას" ქონების გაყიდვით ემუქრება. როგორც ტელეკომპანიის პრეზიდენტმა დავით აქუბარდიამ განაცხადა, დღეს ტელეკომპანიამ საგადასახადოდან ოფიციალური წერილი მიიღო, რომელშიც მიმდინარე წლის დავალიანების გადახდას მოითხოვს.

მისივე თქმით, როგორც წერილშია მითითებული, თუ "კავკასია" მიმდინარე წლის დავალიანებას დროულად არ დაფარავს, კანონის თანახმად, სამსახურს უფლება აქვს, ტექნიკის აღწერისა და აუქციონზე გაყიდვის პროცესი დაიწყოს.

აქუბარდიას მონაცემებით, "კავკასიას" მიმდინარე წლის განმავლობაში 6800 ლარის ოდენობის დავალიანება დაუგროვდა, მაგრამ ტელეკომპანია მას ეტაპობრივად იხდიდა. მისივე თქმით, ამ 6800 ლარს დაემატა პროცენტები და ჯამში "კავკასიას" 17 000 ლარის გადახდას აკისრებენ. **ინტერ-პრესი**

### შეტევა ორ "ფრონტზე"

ქუთაისში პედაგოგთა დამოუკიდებელი პროფკავშირების „სოლიდარობის" ოფისში გაიმართა ამ კავშირის გაფართოებული საბჭოს სხდომა, რომელზეც კავშირის წევრებმა სხვა არასამთავრობოებთან ერთად განათლების მინისტრის ალექსანდრე კარტოზიასა და ადგილობრივი განათლების განყოფილების გამგის ნორა ბოჭორიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვეს.

მათ განათლების მინისტრს 24-საათიანი ვადა მისცეს, ხოლო ნორა ბოჭორიშვილის დაუყოვნებლივ და უპირობო გათავისუფლება მოითხოვეს. ამ მოთხოვნების მიზეზებად საგანმანათლებლო სისტემაში არსებული კორუფცია, პოლიტიკური მიკერძოება, 60-მილიონიანი კრედიტის არამიზნობრივი ხარჯვა და ა.შ. სახელდება.

პედაგოგთა დამოუკიდებელი პროფკავშირი „სოლიდარობა" ულტიმატუმის ვადის ამოწურვისთანავე, მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრება, რაშიც სრულიად საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებულთა მხარდაჭერის იმედიც აქვთ. პროფკავშირი აქციის გამართვას თბილისში და ქუთაისში ერთდროულად აპირებს. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გზების მოყინვის გამო საქართველოს ზოგიერთ მაღალმთიან რაიონში ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე აიკრძალა.

როგორც საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით დაიშვება, ხოლო მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი, "იკარუსისა" და მასთან გათანაბრებული ტიპის ავტოტრანსპორტის მოძრაობა საერთოდ აკრძალულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დეკემბრის დასაწყისში თბილისს ეწვევა მოსკოვის ჰელმჰოლცის სახელობის ოფთალმოლოგიური ინსტიტუტის ექიმი, პროფესორი ირინა ფილატოვა. იგი საქართველოს ოფთალმოლოგიის და ნევროლოგიის ეროვნულ ცენტრში ქართველ პაციენტებს თვალის პლასტიკურ ოპერაციას უახლესი მეთოდებით გაუკეთებს. კერძოდ, ეს იქნება თვალის, თვალბუდისა და საცრემლე გზების ოპერაციები.

ამჟამად ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს წინასწარი ჩაწერა, რათა მოსკოველი სპეციალისტის ჩამოსვლამდე პაციენტები შესაბამისად მოამზადონ.

ჰელმჰოლცის სახელობის ინსტიტუტი და თბილისის ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობენ. ირინა ფილატოვა რამდენჯერმე იმყოფებოდა თბილისში. მისი ოპერაციები წარმატებით დასრულდა **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ უშიშროების სამინისტროს გამნაღმველები ჩუღურეთის რაიონის მე-2 საშუალო რუსულ სკოლაში, სადაც მე-16 საარჩევნო უბანია განთავსებული, ასაფეთქებელ მოწყობილობას ეძებდნენ. სკოლაში ანონიმმა მამაკაცმა 9.45 საათზე დარეკა და შეატყობინა, რომ შენობა დანაღმული იყო.. ამის შემდეგ იმავე პიროვნებამ კიდევ ორჯერ დარეკა, რის შემდეგაც სკოლის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, პოლიციისთვის მიემართა.

როგორც სკოლის დირექტორმა განაცხადა, პოლიციამ ოპერატიულად, სულ რამდენიმე წუთში სკოლა სპეცრაზმელების რკალში მოაქცია და ორგანიზებულად დაიწყო ბავშვების შენობიდან გამოყვანა. უშიშროების სამინისტროს გამნაღმველები ორი საათის განმავლობაში ეძებდნენ შენობაში ასაფეთქებელ მოწყობილობას, მაგრამ - უშედეგოდ.

შემთხვევის ადგილას მისულმა სამართალდამცველებმა განაცხადეს, რომ ბოლო დღეებში ეს პირველი ასეთი ზარი არ არის. მათი თქმით, დაუდგენელი პირები სისტემატურად რეკავენ სასწავლო და სხვა დაწესებულებებში და სამუშაო პროცესის ჩაშლას ცდილობენ. ამასთან, ყველა ეს ანონიმური ზარი ტყუილი აღმოჩნდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბიზნესმენ ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებისათვის განსასჯელი ალექსანდრე მაისურაძის ადვოკატი ვლადიმერ გაბრიჩიძე, გუშინ სასამართლოს წინაშე დაცვითი სიტყვით წარდგა და მაისურაძის გამართლება მოითხოვა.

ადვოკატის თქმით, საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც 8 მაისს, დილის 10.00 საათზე, სასტუმრო "აჭარასთან" ჯონის გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში მისი დაცვის ქვეშ მყოფის მონაწილეობას დაადასტურებდა; მხოლოდ გიგანის სურვილი, დაისაჯოს მაისურაძე, მტკიცებულება არ არის. ადვოკატისვე განცხადებით, მაისურაძე "ზიგზაუერის" სისტემის პისტოლეტსა და სანადირო თოფებს მართლაც ინახავდა. გაბრიჩიძემ მოითხოვა, ამ დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას სასამართლო მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლოს. სახელმწიფო ბრალმდებელმა წინა სხდომაზე მაისურაძისთვის 15 წლით პატიმრობა მოითხოვა. სასამართლო 2 დეკემბერს გამოიტანს განაჩენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისას, რომელიც მოქალაქე ირმა რუდინას ბინიდან გამოსახლებას ითვალისწინებდა, ბინაში ყალბი პასპორტები აღმოაჩინა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რუდინას საცხოვრებელ ბინაში აღმოჩნდა მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ფოტოსურათებისა და რეგისტრაციის ნომრების გარეშე, კერძოდ, 13 ცალი საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტი, რვა ცალი ე.წ. საბჭოური პასპორტი, შვიდი ცალი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, ოთხი ცალი მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობა და ერთი ცალი მოქალაქის დაბადების მოწმობა.

ამ დოკუმენტების აღმოჩენისას გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ დოკუმენტები გამზადებული იყო მათი შემდგომი გაყალბებისთვის. სააღსრულებო პოლიციამ ამოღებული დოკუმენტები დალუქა და რეაგირების მიზნით გაუგზავნა თბილისის ვაკე-საბურთალოს შს განყოფილებას. ირმა რუდინას თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქ. 10/12-დან ასახლებდნენ, ვინაიდან ეს ბინა სასამართლოს გადაწყვეტილებით ეკუთვნის მოქალაქე ნელი წერეთელს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა შპს „ნნ-99"-ის პროვიზორი მაია ნიკაჭაძე, რომელიც თბილისში, საკუთარ აფთიაქში ინახავდა 0,45 გრამ კოდეინის შემცველობის 30 აბ ნარკოტიკულ ნივთიერება ტერპინკონდს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 69 წლის რამონა კ.-ვამ გუშინ, დილის რვა საათზე, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იგი თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე მდებარე საკუთარი სახლის აივნიდან გადმოხტა და ადგილზე გარდაიცვალა. თვითმკვლელობის მიზეზების დასადგენად მოკვლევა დაიწყო თბილისის ვაკე - საბურთალოს პროკურატურამ. თბილისში ბოლო სამი დღის მანძილზე უკვე მესამე თვითმკვლელობა მოხდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციელებმა ელიავას ბაზრობაზე მდებარე სადურგლო საამქროს გაქურდვის ბრალდებით დააკავეს 21 წლის ალექსანდრე კოლომენსკი, 18 წლის მალხაზ სტეპანიანი და 21 წლის ალექსანდრე დადეშქელიანი. საამქროდან წაღებულია ხელსაწყოები და სხვა ნივთები. ამ ფაქტზე გამოძიებას თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 29-30 ნოემბერს სამოსამართლო სწავლების ცენტრში ორდღიანი სემინარი გაიმართება, რომელიც სამოქალაქო სამართლისა და სასამართლო პროცესის პრობლემატურ საკითხებს მიეძღვნება. სემინარების ციკლი იმ 140 მოსამართლისთვის ჩატარდება, რომლებიც სამოქალაქო დავებს განიხილავენ.

მოგვიანებით სამოსამართლო სწავლების ცენტრში სემინარების მეორე ციკლი ჩატარდება, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში წარმოშობილ პრობლემებს მიეძღვნება. აღნიშნულ სემინარში ის მოსამართლეები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ. აღნიშნული ღონისძიებები მსოფლიო ბანკის სასამართლო რეფორმის პროექტის ფარგლებში ხორციელდება. **ინტერ-პრესი**

# ვინ შეასრულებს ხალხის დაკვეთას



*იმედი ვიქონიოთ, რომ რეფორმების გასატარებლად ხელისუფლება ახალი მენტალიტეტის მქონე ადამიანებს მოიყვანს.*

პირველი გვერდიდან

კანონის წინაშე თანასწორობა - მიუხედავად თანამდებობისა, საზოგადოებრივი მდგომარეობისა, პოლიტიკური სიმპათიებისა, ნათესაური და მეგობრული კავშირებისა – ეს პირველი გახლავთ, რაც უნდა დაინერგოს ქართულ მენტალიტეტსა და რეალობაში. სწორედ ეს იქნება ქართული სამართლებრივი სისტემის პრაქტიკიდან დაუსჯელობის აღმოფხვრის საწინდარი. ამის მიღწევა კი დღეს ჯერ კიდევ არსებული სტრუქტურული მოწყობითა და წლების მანძილზე ამ სისტემას შეზრდილი და შეგუებული კადრებით, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნება.

შევარდნაძის ხელისუფლებაც კი იძულებული იყო, რომ ეღიარებინა - საქართველოს სამართლებრივი სისტემა დიამეტრალურ ცვლილებებს საჭიროებს. სწორედ ამგვარი იძულებითი აღიარების შედეგად შეიქმნა სამართალდამცველი და უშიშროების ორგანოების რეფორმირების კონცეფცია, რომლის შეფასებისას რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა და, პრინციპში, დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კონცეფცია კარგა ხანია მზად არის, მისი განხორციელება მცირე, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელო ნაბიჯების გადადგმის გარდა, არ დაწყებულა. ეს ნაბიჯები კი, ფაქტობრივად, სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომლებისთვის ტესტირების ჩატარებით დაიწყო და ამით დასრულდა კიდეც.

არადა, კონცეფცია სტრუქტურული რეფორმების თვალსაზრისით ითვალისწინებს სამართალდამცველი ორგანოების თითქმის ყველა რგოლში სწორედ რადიკალურ ცვლილებებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციათა გამიჯვნა პოლიციურად და სამოქალაქოდ, მის შიგნით ამერიკული ფედერალური საგამოძიებო ტიპის ორგანოს შექმნა – ეს მცირე ჩამონათვალიც საკმარისია იმის დასტურად, რომ კონცეფცია უკვე გულისხმობს შინაგან საქმეთა ორგანოების ნაწილობრივ დეცენტრალიზაციას. მთლიანად ამ პროცესის დასრულება კი, ანუ მუნიციპალურ დაქვემდებარებაში პოლიციური სტრუქტურების გადასვლა, იმავე კონცეფციაში ჩადებული დებულების თანახმად, გარკვეული დროისა და შესაბამისი დაფინანსების მიღების პირობებში იქნება შესაძლებელი.

კონცეფცია მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს უშიშროებისა და პროკურატურის სისტემებში. კერძოდ, როგორც ცნობილია, უშიშროება სამინისტროს ფუნქციებს მოიშორებს, სამსახურად გადაკეთდება და საინფორმაციო-ანალიტიკურ საქმიანობაზე იქნება ორიენტირებული. პროკურატურას კი საგამოძიებო ფუნქციებიდან მხოლოდ გამოძიებაზე ზედამხედველობაღა რჩება. გარდა ამისა, ქვეყნის მასშტაბით გათვალისწინებულია პროკურატურათა რიცხვის რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება.

ყოველივე ზემოთ თქმული ძალზე მცირე ჩამონათვალია იმ ცვლილებებისა, რომელთა გატარებასაც უკვე არსებული კონცეფცია ითხოვს და რომელთა განხორციელებაზეც არც აწ უკვე ყოფილ, არც დღეს ჯერ კიდევ თანამდებობაზე მყოფ ნომერ პირველ სამართალდამცველებს მაინცდამაინც არ უზრუნიათ.

სხვათა შორის, ამ კონცეფციის შემქმნელი კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავკაცი ლადო ჭანტურია იმთავითვე ამბობდა, რომ რეფორმების გასატარებლად, პირველ რიგში, თავად რეფორმის ქვემდებარე სტრუქტურების პირველ პირთა კეთილი ნებაა საჭირო. ცხადია, ამ პირველ პირებს, თავის მხრივ, ქვეყნის პირველი პირის არა მარტო კეთილი ნება, არამედ პერმანენტული კონტროლიც სჭირდებოდათ. არც ერთსა და არც მეორეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, რეფორმირების პროცესი ახალი ხელისუფლებისგან ფორსირებას მოითხოვს. რა გასაკვირია, თუ ხელისუფლებაში ყოფნის ორიდე დღის მანძილზე ეს ჯერ არ მომხდარა, თუმცა ფაქტია, რომ იმავე სამართალდამცველ სტრუქტურებში საკადრო ცვლილებები (ზოგიერთი მათგანი სრულიად არაფრის მომცემი) შედგა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად, კანონის მცირედი გვერდის ავლით, პირველის ნაცვლად მეორე მოადგილის - რუბენ ასანიძის დანიშვნა, რომლის რეფორმებთან გაიგივება და ძველი სისტემის დემონტაჟის შემძლედ წარმოდგენა, მეტი რომ არ ვთქვათ, ძნელი საქმეა, შესაძლოა იმით გამართლდეს, რომ საკვანძო სამინისტრო თავკაცის გარეშე დიდ ხანს ვერ იფუნქციონირებს და მის სათავეში გარდამავალ პერიოდში ძველი კადრი უფრო საიმედოდ იქნა მიჩნეული. რაც შეეხება, პროკურატურას, მართალია, საკადრო ცვლილებები აქ არა უშუალოდ ახალი ხელისუფლების, არამედ გენერალური პროკურორის მიერ განხორციელდა, მაგრამ სრულიად გაუგებარია ამ გადაადგილებების სასწრაფო აუცილებლობა.

ბადრი ბიწაძის მიერ დატოვებული გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობა საქართველოს მთავარმა სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ დაიკავა, თბილისის პროკურორმა თენგიზ მახარაძემ და გენპროკურატურის გამოძიებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა რამაზ ჟღენტმა კი, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის პროკურორობა, კანონის თანახმად, ხუთი წლით გარანტირებული თანამდებობაა, სავარძლები გაცვალეს. ყველა მათგანი პროკურატურის სისტემის ძირძველი თანამშრომელია.

არის თუ არა ყოველივე ზემოთქმული ახალი ხელისუფლების სამომავლო პრიორიტეტების მაჩვენებელი, ანუ აპირებს თუ არა "ვარდების რევოლუციით" ქვეყნის სათავეში მოსული ხალხი ახლებური პოლიტიკის ძველი კადრებით გატარებას?

თუ ეს, უბრალოდ, დროებითი ღონისძიებებია, რომელთა მეშვეობით ახალი პრეზიდენტის არჩევამდე სიტუაციის გაკონტროლება გამოცდილი ადამიანების დახმარებით მოხდება?

იმედი ვიქონიოთ, რომ ასეა და რეფორმების გასატარებლად ახალი ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის მართვის სადავეებთან ახალი მენტალიტეტის მქონე ადამიანებს მოიყვანს, რომელთათვისაც უცხო და მიუღებელი იქნება, წინამორბედთა მსგავსად, არა თუ კორუფციაში ჩაძირვა, არამედ ნათესაური და მეგობრული ნიშნით საქმის კეთებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში...

იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი შემთხვევა არ იქნება.

# ყაჩაღებმა პოლიციელები განაიარაღეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ვითარების დაძაბვის პირველი ნიშნები უკვე გამოიკვეთა",** - აცხადებს ამავე რეგიონის პოლიციის უფროსი ელგუჯა ჯამბურია. მისი განმარტებით, ბოლო დღეებში, სამეგრელოში საკმაოდ გახშირდა ისეთი დანაშაული, როგორიც იარაღის გატაცების მიზნით თავდასხმაა.

**"როცა იარაღის გატაცების მიზნით ხდება თავდასხმა, ეს უკვე კრიმინოგენული ვითარების გაუარესების სიგნალია",** - აცხადებენ სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ბოლო დღეებში მომხდარი თავდასხმების შესახებ საუბრობენ. რაც ყველაზე მთავარია, მათი თქმით, თავდასხმა მოხდა პოლიციის თანამშრომლებზე.

გუშინწინ, გვიან ღამით, ხობის გზატკეცილზე მორიგეობისას, საგზაო პიოლიციის ორ თანამშრომელს მოულოდნელად თავს დაესხა სამი შეიარაღებული, ნიღბიანი ყაჩაღი. ყაჩაღებმა იძულებითა და ძალის დემონსტრირებით მორიგე პოლიციელებს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი წაართვეს, დაემუქრნენ და გაიქცნენ. ამავე პერიოდში ავტომატებიდან სროლისა და ხელყუმბარების აფეთქების ხმა ისმოდა ხობი-სენაკის გზატკეცილზე. შეიარაღებულ და ნიღბიან ყაჩაღებს სამართალდამცველები გამოედევნენ. ისინი ყაჩაღების მიერ გახსნილი ცეცხლის ალყაში აღმოჩნდნენ. "კრიმინალები ყველანაირი იარაღით იყვნენ აღჭურვილები. თავდაპირველად, მათ იარაღი არ გამოუყენებიათ, თუმცა მას შემდეგ, რაც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი მათი ავტომანქანა ხეს შეეჯახა და ყაჩაღებს გაქცევის საშუალება აღარ მიეცათ, ჩვენი მიახლოებისთანავე გახსნეს ცეცხლი. საბედნიეროდ, ჩვენი მხრიდან არავინ დაშავებულა, როგორც კი გული იჯერეს სროლით, ტყეში შეცვივდნენ და გაუჩინარდნენ", – გვითხრა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილემ სერგო ჩაჩიბაიამ.

სამეგრელოში მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმებში მონაწილე კრიმინალების შესახებ სამართალდამცველები ვერაფერს ამბობენ. აცხადებენ, რომ სავარაუდო ეჭვმიტანილები არ ჰყავთ და იციან მხოლოდ ის, რომ შეიარაღებულ თავდასხმაში მონაწილეები კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან.

# „სამართლიანი არჩევნები" სიტყვის თავისუფლების დასაცავად

არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნები" გუშინ გაავრცელა სპეციალური განცხადება, რომელშიც გამოთქმულია აღშფოთება ტელეკომპანია „იბერიის" საინფორმაციო სამსახურის უფროსის, სტუდია „დიალოგის" წამყვანის ლუბა ელიაშვილის საცხოვრებელი სახლის დაცხრილვის გამო და ამ ფაქტზე. "სამართლიანი არჩევნები" შესაბამისი ორგანოების მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას ითხოვს.

„დემოკრატიულ პრინციპებზე მდგარ სახელმწიფოში მიუღებელია ყოველგვარი ძალადობა ჟურნალისტსა და მედიაზე. მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია არა მარტო თითოეული მოქალაქის, არამედ ჩვენი ქვეყნის მონაპოვარის — თავისუფალი მედიის დაცვა", — ნათქვამია განცხადებაში.

„სამართლიანი არჩევნები" პროტესტს გამოთქვამს მომხდართან დაკავშირებით და მოუწოდებს მთელ საზოგადოებას, დადგეს სიტყვის თავისუფლების სადარაჯოზე.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

### ავსტრალია და შეერთებული შტატები გუანტანამოზე შეთანხმდნენ

ავსტრალიის ხელისუფლების ინფორმაციით, ოფიციალურ ვაშინგტონსა და კანბერას შორის ასეთი შეთანხმება იქნა მიღწეული: "ორ ავსტრალიელ პატიმარს, რომლებიც კუბაში, ამერიკულ სამხედრო-საზღვაო ბაზის გუანტანამოს სპეციალურ ბანაკში იმყოფებიან, სიკვდილით არ დასჯიან. თუმცა, ისინი სამხედრო ტრიბუნალის წინაშე მაინც წარდგებიან."

ავსტრალიის ხელისუფლება აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონები ამ ხალხის სამშობლოში გასამართლების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, როგორც სააგენტო „ბიბისი"-ს კორესპონდენტი იტყობინება, სავარაუდოდ, ისინი სასჯელს სამშობლოში მოიხდიან. ამასთან, ავსტრალიელებმა ამერიკელებისგან მიიღეს იმის გარანტია, რომ ტრიბუნალი ყველასთვის ღია იქნება და მას დაესწრებიან ავსტრალიელი იურისტები და განსასჯელების ნათესავები.

ამჟამად გუანტანამოს ბაზაზე ორი ავსტრალიელია დაკავებული. ერთ-ერთი მათგანი დევიდ ჰიკია – კენგურუებზე ყოფილი მონადირე, რომელიც ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში დააკავეს, მეორე კი - მაჰმუდ ჰაბიბი.

დამკვირვებლები ამბობენ, რომ ავსტრალიელების ეს მოლაპარაკება შეიძლება მისაბაძი გახდეს ბრიტანეთის ხელისუფლებისათვის - გუანტანამოში ხომ ათი დაკავებული ბრიტანელიც იმყოფება.

ამასთან, დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ლორდ სტეინმა გუანტანამოში პატიმართა ყოლის პრაქტიკას "სიმართლეზე საშინელი ზეწოლა" უწოდა. მანვე აღნიშნა, რომ ბანაკში მყოფ დაახლოებით 660 თალიბსა და "ალ-ქაიდას" წევრს იქ მხოლოდ იმიტომ ამყოფებენ, რომ შეიზღუდოს მათი უფლებები - დაკავებულები ხომ ყოველგვარ, მათ შორის - დაცვის უფლებასაც, მოკლებულნი არიან. თუმცა, ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლის თომას ო`კონელის თქმით, შეერთებული შტატები გუანტანამოში დაზვერვით ბრძოლას აწარმოებს ტერორიზმში ეჭვმიტამილების მიმართ, რომლებიც მათ ხშირად დაუმორჩილებლობითა და ზიზღით პასუხობენ. თუმცა, ზოგიერთმა დაკავებულმა ისეთი ინფორმაცია გაამჟღავნა, რამაც ხელისუფლებას საშუალება მისცა, თავიდან აეცილებინა რიგი ტერორისტული აქტები და არაერთი ტერორისტი დაეკავებინა.

### კენედის აეროპორტის თანამშრომლები ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის დააკავეს

სამშაბათს, ნიუ-იორკში, ჯორჯ კენედის სახელობის აეროპორტის 25 თანამშრომელი დააკავეს. ისინი ნარკოტიკების კონტრაბანდაში არიან ეჭვმიტანილები. ამერიკელ სამართალდამცველთა ინფორმაციით, დაკავებულები კონტრაბანდისტებს გარკვეული ანაზღაურების საფასურად, კარიბის ზღვის სახელმწიფო გაიანადან შეერთებულ შტატებში ნარკოტიკების გადმოტანაში ეხმარებოდნენ. ისინი გაიანადან ჩამოფრენილ თვითმფრინავში ადიოდნენ როგორც მტვირთავები და ტვირთში დამალული კოკაინი და მარიხუანა ყოველგვარი შემოწმების გარეშე, სამსახურებრივი გასასვლელიდან, მგზავრების დარბაზში გამოჰქონდათ. აეროპორტიდან ნარკოტიკების შემოსვლის გამოსავლენად ოპერაცია შარშან დაიწყო. და მხოლოდ სექტემბერში გახდა შესაძლებელი პირველი კონტრაბანდული ტვირთის ამოღება, რომლის ღირებულება 23 მილიონ დოლარს აღწევდა.

### "სოკოლნიკის" პარკში ნაწამები გოგონას გვამი აღმოაჩინეს

"სოკოლნიკის" პარკში წამებით მოკლეს სერვისისა და ტურიზმის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი, 17 წლის გოგონა. გვამი პარკის ტყიან ნაწილში, სამშაბათს აღმოაჩინეს. გოგონას დანით მიყენებილი აქვს 5 ჭრილობა მკერდისა და ზურგის არეში, 8 – გულის და 4 – თავის არეში. ექიმების აზრით, გოგონა გვამის აღმოჩენამდე 15 საათით ადრე გარდაიცვალა. დანაშაულის ადგილას იპოვეს ქალის ხელჩანთა, ტელეფონის დამტენი და სამგზავრო ბილეთები. ქალაქის პარკებში ხშირად ხდება ხოლმე ამგვარი დანაშაული. მაგალითად, გაზაფხულზე, იზმაილოვის პარკში, აზიური გარეგნობის ორი დაჭრილი ქალი აღმოაჩინეს. ერთ-ერთს 7 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ექიმებმა მეორე გოგონას გადარჩენა შეძლეს.

*მოამზადა ირინა ხუბაშვილმა*

# ადვოკატები მეომარი გვარდიელების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

რამდენიმე თვის წინ ისნის სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტის მონაწილე ვეტერანი გვარდიელების ადვოკატები მათი დაცვის ქვეშ მყოფების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვენ. "ისნის ამბოხების" ორაგანიზატორად დასახელებული ვეტერანი მეომრის დავით მარტიაშვილის უფლებების დამცველმა დავით ხაჟალიამ გუშინწინ უკვე შეიტანა სარჩელი მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში. ჩვენი ინფორმაციით, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო ამ დღეებში ცალ-ცალკე მიიღებს ამბოხების ბრალდებით პატიმრობაში მყოფი ყველა გვარდიელის ადვოკატის საჩივარს.

ადვოკატები სასამართლოში ერთ საერთო მოთხოვნას აყენებენ – **"ისნის ამბოხებაში მონაწილე მეომარ გვარდიელებს აღმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა შეეცვალოთ არასაპატიმრო ღონისძიებით."** ასეთი გახლავთ იმ საჩივრების შინაარსი, რომელსაც ის რაიონული სასამართლო მიიღებს, რომელმაც მეომარ გვარდიელებს, რვა თვის წინ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა და ეს პატიმრობის ვადა გამოძიების გაჯანჯლების გამო უკვე მეორედ, სამი თვით კიდევ გაუხანგრძლივა.

შეგახსენებთ, გვარდიის 14 ვეტერანი ისნის სამხედრო ნაწილში 23 მარტს. შუაღამისას, დავით მარტიაშვილის ხელმძღვანელობით შეიჭრა. მათ სამხედრო მოსამსახურეები განაიარაღეს და ვეტერან გვარდიელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ნაწილის აფეთქებით იმუქრებოდნენ.

სასამართლოს მიერ 14 დაკავებული ვეტერანისთვის შეფარდებული სამთვიანი პატიმრობა ადვოკატებმა მაშინვე გაასაჩივრეს, თუმცა, მაშინ მხოლოდ სამი ბრალდებული გათავისუფლდა წინასწარი პატიმრობიდან.

**"ხელისუფლება შეიცვალა; შესაბამისად, ყველაფერი უნდა შეიცვალოს. სასწრაფოდ უნდა გაირკვეს იმ პატიმართა ბედიც, რომელთა დასჯა ექსხელისუფლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. იმ მეომარი გვარდიელების მიერ ჩადენილი დანაშაული, რომლებიც უკვე მერვე თვეა პატიმრობაში იმყოფებიან, მძიმე კატეგორიის დანაშაულს არ განეკუთვნება, ამიტომ არ არის სავალდებულო, ბრალდებულები პატიმრობაში იმყოფებოდნენ. ისინი სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდნენ.**

**ჩვენ, მათი უფლებების დამცველი ადვოკატები, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს მეომრები არ არიან ის ადამიანები, რომლებიც აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შემდეგ მიიმალებიან და თავს აარიდებენ გამოძიებას. პირიქით, სწორედ მათ ინტერესში შედის სიმართლის გარკვევა-დადგენა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ისნის სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტის ორგანიზატორად დასახელებული დავით მარტიაშვილის ადვოკატმა დავით ხაჟალიამ.

# მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

გუშინ, გამთენიისას, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, სამსახურებრივ ავტომანქანაში, დუშეთის რაიონის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლევან გოგოლაური მოკლული ნახეს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლევან გოგოლაურმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გარდაცვლილის კოლეგების თქმით, ერთი გასროლა გოგOლაურის სამსახურებრივი ტაბელური იარაღიდან მოხდა.

გარდაცვლილს მაკაროვის სისტემის პისტოლეტიდან გასროლილი ერთი ტყვია საფეთქლის არეში აქვს მოხვედრილი.

როგორც რუსთავის პოლიციის უფროსმა დავით მჭედლიშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, თვითმკვლელობის მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია როგორც გოგოლაურის ოჯახის წევრებისათვის, ასევე გამოძიებისთვისაც. "რისი თქმაც ამ ეტაპზე შეგვიძლია, არის მხოლოდ ის, რომ გასროლა ღამის პირველი საათიდან დილის ხუთ საათამდე მოხდა. თანაც, გოგოლაურს ტყვია მიბჯენით გასროლით არ მოხვედრია საფეთქელში. ნასროლია ახლო მანძილიდან.

ჩვენი ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის მუხლითაა აღძრული. თუმცა, მომხდარიდან რამდენიმე საათში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოხდა არა თვითმკვლელობა, არამედ მკვლელობა და არ არის გამორიცხული, რომ მკვლელმა თვითმკვლელობის ინსცენირება მოაწყო.

ერთი სიტყვით, გარდაცვლილი ლევან გოგოლაურის კოლეგები დაბეჯითებით ვერაფერს ამბობდნენ. მათი კომენტარები მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლებოდა: **"გაევერკვევით ყველაფერში, გამოძიება ყველაფერს დაადგენს. სხვა თუ არაფერი, საქმე ჩვენს კოლეგას და უახლოეს ადამიანს ეხება",** - ასეთი გახლდათ დუშეთის რაიონის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ლევან გოგოლაურის მკვლელობის ფაქტზე გაკეთებული კომენტარები.

*24 საათი*

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61

# განათლების მინისტრი კი გაგვიბრაზდა, მაგრამ არ გადადგა?

*"კმარა შევარდნა" - მკაცრად გვაფრთხილებდა გუშინ განთლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია. მაგრამ, კმარა თუ არა ის, რაც ამ წლების განმავლობაში განათლების სამინისტროში ხდებოდა? წარმოგიდგენთ განათლების სამინისტროში განხორციელებული კანონდარღვევების იმ არასრულ სიას, რომელიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მონიტორინგს ეფუძნება.*

ნინო ცინცაძე

უკვე თითქმის ათ წელიწადზე მეტია, რაც განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია ითვლება. თუმცა, ჯერჯერობით საამისოდ, პრაქტიკულად, არაფერი გაკეთებულა, რითაც უხეშად ირღვევა "განათლების შესახებ" კანონის 27-ე, 52-ე და 57-ე მუხლები. სამინისტრომ 5 წელი მხოლოდ კითხვარებისა და აკრედიტაციის ინსტრუქციის შემუშავებას მოანდომა. მან ვერ მოახერხა, შეექმნა უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაციის სისტემა, რომელიც სტრუქტურულ და სამართლებრივ დონეზე მაინც იქნებოდა ხარისხისა და პროფესიონალიზმის გარანტი; ამასობაში კი, ყოველდღიურად იზრდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრო ვერ ახერხებს ამ სასწავლებლების ატესტაციასა და აკრედიტაციას, ის მაინც აგრძელებს ლიცენზიების გაცემას ახალ-ახალი უმაღლესი სასწავლებლების დასაფუძნებლად. შედეგად კი დღეისათვის საქართველოში 33 უნივერსიტეტი, 22 აკადემია, 167 სხვადასხვა ინსტიტუტი თუ სკოლა მოქმედებს. მათ ეფექტურობასა და პროფესიონალიზმზე პასუხისმგებლობას განათლების სამინისტრო პრაქტიკულად არ იღებს.

რაც შეეხება უმაღლეს სასაწავლებლებში ჩასარიცხ სტუდენტთა სახელმწიფო დაკვეთას, ამ მხრივ განათლების სამინისტრომ დიდად მოინდომა და 2000 წლიდან დღემდე გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. განათლების სამინისტრო წლიდან წლამდე თვითნებურად ზრდის ჩასარიცხ სტუდენტთა კონტიგენტს ისე, რომ ამის შესახებ ინფორმირებული არ არიან ის სამინისტროები (ფინანსთა, ეკონომიკის და ა.შ.), რომლებიც სახელმწიფო დაკვეთის შემუშავებაში იღებენ მონაწილეობას. 2000-01 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში 825 სტუდენტით, 2001-02 წელს 2639 სტუდენტით, ხოლო 2002-03 წელს 2535 სტუდენტით მეტი ჩაირიცხა. რატომ ატყუებენ ამ ახალგაზრდებს და რას ჰპირდებიან მათ მომავალში, ამაზე პასუხის გაცემა არავის სურს.

1998 წელს განათლების მინისტრის ბრძანებულებით, ატესტაციის პროცესი შეჩერდა. სამინისტროს განმარტებით, პროცესი იუსტიციის სამინისტროს ახალ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. ატესტაციის გარეშე დარჩა მასწავლებელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი. მათ თავიანთი უნარების კონკურსში გამოვლენის შესაძლებლობა დღემდე აღარ მიეცათ, და შესაბამისად, მატერიალურ ზარალს განიცდიან. მართალია, განათლების სამინისტროს საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა ისეთი მოდელის შესამუშავებლად, რომელიც მას სრულყოფილად მიაჩნდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ატესტაციის კონკრეტული პროექტი ჯერ არ შემუშავებულა. ჯერჯერობით, საუბარი არც პროექტის შემუშავების კონკრეტულ ვადებზეა. სამინისტროში აცხადებენ, რომ ამისათვის მსოფლიო ბანკის მეორე ტრანშს ელოდებიან, რომლის შემოსვლაც სავარაუდოდ 2005 წლიდანაა დაგეგმილი.


თემურ სახიჩქაშვილის ფოტო

*კმარა თუ არა ის, რაც ამ წლების განმავლობაში განათლების სამინისტროში ხდებოდა?*

არამიზნობრივად და არაეფექტურად იხარჯება სამინისტროს მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიც. წლების მანძილზე განათლების სამინისტრო ბიუჯეტიდან აფინანსებს ხუთ ჟურნალსა და ორ გაზეთს. ჟურნალები: "დილა", "ნაკადული", "ბალავარი", "სკოლა და ცხოვრება", "რუსკოე სლოვო"; გაზეთები: "ნერგი" და "სახალხო განათლება". სამინისტროს მიერ ჟურნალ-გაზეთების დაფინანსება წარმოადგენს არაეფექტურ და არამიზნობრივ ხარჯს. არ ხდება ბაზრის კვლევა და საზოგადოების ინტერესის განსაზღვრა. ეს ჟურნალ-გაზეთები ბიუჯეტიდან ფინანსდება მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დამფუძნებელი თავად სამინისტროა. სხვა მხრივ ეს გამოცემები ჩვეულებრივ შპს-ებს წარმოადგენენ. განათლების სამინისტროს არა აქვს ინფორმაცია, რა ტირაჟით გამოდის ეს ჟურნალ-გაზეთები, არის თუ არა ამ გამოცემებზე მოთხოვნილება, საშუალოდ რამდენი ჟურნალ-გაზეთი იყიდება და ა.შ.

განათლების სამინისტროს პრაქტიკულად არ განუხორციელებია პრეზიდენტის 2000 წლის 1 მარტის N80 ბრძანებულებით დამტკიცებული "არასრულწლოვანთა დაცვის განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის სახელმწიფო პროგრამა", რომლისთვისაც ბიუჯეტიდან 3 მილიონი ლარი გამოიყო. სხვა კომპონენტების გვერდით, პროგრამის ფარგლებში უნდა ჩატარებულიყო ტრეინინგები სასკოლო ასაკის მიუსაფარი ბავშვებისათვის. საკოორდინაციო ცენტრის განმარტებით, ეს ღონისძიებები დაუფინანსებლობის გამო არ განხორციელებულა. თუმცა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოპოვებული მასალებით, საკოორდინაციო ცენტრს პროექტიდან ყოველწლიურად 100 ათასი ლარი უნდა მიეღო, და მიიღო კიდეც. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, ეს თანხა ხელფასების სახით (თვეში 260 ლარი) ეძლეოდა ფსიქოლოგ, პედაგოგ, იურისტ და სოციოლოგ კონსულტანტებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები პროგრამის ფარგლებში იღებდნენ ხელფასს, თავად პროექტის ეს ნაწილი არ განხორციელებულა.

განათლების სამინისტრო ერთადერთი ორგანოა, რომელმაც სრული იგნორირება გაუწია ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოსა და პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ რეკომენდაციებს. 2002 წლის 1 მაისისათვის უნდა მომზადებულიყო საკანონმდებლო ინიციატივები სასკოლო განათლების სისტემის მართვის გამარტივებისათვის; ამავე ვადებში უნდა მომზადებულიყო წინადადებები პროფესიული სასწავლებლების კანონმდებლობის დახვეწის შესახებ. ასევე უნდა შემუშავებულიყო კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ და პროგრამა სახლემწიფო დაკვეთის გრანტული სისტემით შეცვლის თაობაზე. ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნის მიხედვით, განათლების სამინისტროს მიერ არ, ან ვერ, სრულდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის მოთხოვნები.

სამინისტრომ სამი წლით შეაჩერა განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ყველა კომპონენტის განხორციელება, რაც უშუალოდ ზიანს აყენებს სკოლებს, მოსწავლეებს და მასწავლებლებს და სამი წელი დაუთმო ოფისისა და ადმინისტრაციის რეკონსტრუქციასა და შენახვას. კვლევამ ცხადყო ისიც, რომ სამი წლის მანძილზე სახელმწიფოს მიერ მსოფლიო ბანკისაგან კრედიტით აღებული თანხის მხოლოდ 8 პროცენტი დაიხარჯა რეალურად იმ პროექტებზე, რაც უნდა განხორციელებულიყო. დანარჩენი თანხის ძირითადი ნაწილი კი ოფისის აშენებასა და მის კეთილმოწყობას მოხმარდა. ამ თანხებიდან 77 ათასი ამერიკული დოლარი სამი ჯიპის შესაძენად დაიხარჯა.

რეალურად სამინისტროს ექვსი წელი დასჭირდა საჭირო სამართლებრივი ბაზის მოსამზადებლად, რათა პროგრამის სასკოლო გრანტების ნაწილი დაწყებულიყო. მართალია იგი ბოლოს დაიწყო, მაგრამ ერთობ არაეფექტურად მიმდინარეობს. 2002 წელსა 2003 წელს გრანტები 210-210 სკოლაზე უნდა გაცემულიყო, თუმცა, ჯერჯერობით, მათი გაცემა არ მომხდარა.

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა, დაახლოებით, 48 პროცენტი მიმდინარე რეფორმის და სასკოლო გრანტების შესახებ არასწორ ინფორმაციას ფლობს. სკოლაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის "სოროსის" ფონდისა და წითელი ჯვრის მიერ განხორციელებული პროექტები, მათ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეფორმის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები ჰგონიათ.



www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# საქართველოს მოსახლეობას ყველა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით შეუძლია, იამაყოს

*2 ნოემბრის არჩევნების ტკივილები და სიხარულები ჯერ არ მინელებულა და ისევ საარჩევნო ყუთებთან გვიწევს მისვლა. შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით, ხალხმა 2 ნოემბერს წარმატებით ჩააბარა გამოცდა. რა მოხდება 4 იანვარს, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე - ახალი ხელისუფლებისგან ხალხი სამართლიან არჩევნებს ელის. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე განვითარებული მოვლენები იმის მყარი გარანტიაა, რომ ხელისუფლებას ნამდვილად მოუწევს გაუყალბებელი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება... მას ეს ვალდებულება, პირველ რიგში, საკუთარი მოსახლეობის და შემდეგ - აღფრთოვანებული საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აქვს აღებული.*
*თბილისში ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წარმომადგენელი მარკ მალენი ამ ერთ თვეში (არჩევნების პარალელურად) მეორედ იქნება ჩვენი სტუმარი. სხვათა შორის, იგი ერთი თვით სამშობლოში გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ვერსადაც ვერ წავიდა - არჩევნები მისი პროფილია, საქართველო კი ქრონიკული არჩევნების ქვეყანაა...*

მაია ჭალაგანიძე



**- ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისმა და გამგეობის თავმჯდომარემ, აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა, ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა 2 ნოემბრის არჩევნების არასამართლიანობის შესახებ. ცნობილია თუ არა თქვენთვის ოლბრაიტის პოზიცია თბილისში მომხდარი რევოლუციის შესახებ?**

- ოფისს ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ, როგორც ვიცი, NDI-ში ყველა გახარებულია იმით, რაც საქართველოში ხდება, იმით, რასაც ქართველმა ხალხმა ოპოზიციასთან ერთად მიაღწია. ასევე ედუარდ შევარდნაძის საქციელით.

**- რა ელოდა საქართველოს, ამ შედეგებით რომ არ დასრულებულიყო განვითარებული მოვლენები. საერთაშორისო არენაზე, ბოლო ხანებში, ჩვენი ქვეყნის ღირსება სასწორზე იდო.**

- საქართველო საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა სტაგნაციას. 2 ნოემბრის არჩევნებით მოსული პარლამენტი არ იყო ის პარლამენტი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეებმა მისცეს ხმა. ამიტომ საერთაშორისო საზოგადოება შიშობდა, რომ ეს პარლამენტი აღმასრულებელ ხელისუფლებაში სათანადო ცვლილებებს ვერ მოახდენდა. აღმასრულებელი ხელისუფლება კი, თავის მხრივ, ისე ვერ განვითარდებოდა, რომ სტაგნაციის პერიოდი შეეწყვიტა, ან თავიდან აეცილებინა.

**- რამდენად ახლოს იყო საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია?**

- საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო დახმარება რამდენიმე ასპექტს მოიცავდა. ერთ-ერთი მთავარი 90-იანი წლების შუა პერიოდში დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯები გახლდათ. მაგრამ, შემდეგ ეს ნაბიჯები შეჩერდა, აღარ განვითარდა.

სტაგნაციის გაგრძელება საერთაშორისო საზოგადოებისგან აგრესიულ ქმედებებს არ გამოიწვევდა, მაგრამ შეიძლებოდა საერთაშორისო თანამეგობრობას ინტერესი განელებოდა და დახმარება შეემცირებინა.

გასული კვირის მოვლენებმა საქართველოს ეს თავიდან ააცილა და მისდამი ინტერესი კვლავ დიდია.

**- გუშინ ამერიკის პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძეს ძალიან კეთილგანწყობილად ესაუბრა. მანამდეც იყო მხარდაჭერა. რა პერსპექტივები ელის საქართველოს?**

- აქამდე საქართველოს ხალხს თავის ხელისუფლებაზე პასუხისმგებლობა არ ჰქონდა აღებული. მთავრობაში ძალიან ბევრი თანამდებობა იყო დანიშვნითი და მცირეოდენი - არჩევითი. არჩევით თანამდებობებზე მომუშავე ადამიანებს დიდი ძალაუფლება და მოქმედების თავისუფლება არ გააჩნდათ. დანიშვნით თანამდებობებზე მომუშავეთ კი მართლაც ჰქონდათ მინიჭებული მოქმედების თავისუფლება და საკუთარი თავის გამდიდრების კარგ საშუალებებს ფლობდნენ.

ახლა კი ნამდვილი სამუშაო იწყება. საქართველოს შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც ნამდვილ ქვეყანას შეეფერება. ახლა უკვე ქართველებზეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა საკუთარი ქვეყნის ბედის ისე წარმართვას, როგორც მათ სურთ.

**- ერთ-ერთმა რუსულმა გამოცემამ (ВЛАСТЪ-КОМЕРСАНТ) გამოაქვეყნა დოკუმენტი, სადაც თითქოსდა თბილისში მომხდარი მოვლენების სრული გეგმაა ასახული და მის ავტორად მადლენ ოლბრაიტი მოიხსენიება. თქვენ რას იტყოდით ამის შესახებ?**

- მასმედიის ზოგიერთი საშუალება მეტისმეტად შემოქმედებითად უდგება საქმეს და ფანტაზიას დიდ გასაქანს აძლევს - სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**- რა ტიპის ურთიერთობები გქონდათ წინასაარჩევნო პერიოდში ცესკო-სთან?**

- ცესკო-ს წარმომადგენლებს ვხვდებოდით. სამწუხაროდ, ყოველგვარი დახმარების, იმედების და მოლაპარაკებების მიუხედავად, ცესკო-მ არჩევნების ადმინისტრირების მიუკერძოებლად განხორციელება და შედეგების დათვლა ვერ შეძლო.

**- რა ბედი ეწევა ძველ ცესკო-ს და თუ მიმდინარეობს კონსულტაციები თქვენს ოფისთან ახალი ცესკო-ს შეკრების თაობაზე?**

- უკანასკნელ პერიოდში პრეზიდენტმა შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ უზარმაზარი წარმომადგენლობა ჰქონოდა იმ ცესკო-ში, რომელმაც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ჩაატარა. იმედი მაქვს, რომ ახალი ცესკო მის წინამორბედზე უფრო მიუკერძოებელი იქნება.

არ ვიცი, კონკრეტულად როგორ გადაწყდება ცესკო-ს საკითხი და რა მოლაპარაკებები მიმდინარეობს ხელისუფლებაში ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, არჩევნების ადმინისტრირებას ერთ კონკრეტულ პიროვნებას დავავალებდი; პარტიის წარმომადგენლები მხოლოდ დამკვირვებლები იქნებოდნენ, რადგან, ჩვეულებრივად, ძალიან დიდ სირთულეებს და გართულებებს იწვევს პარტიების კვოტების საკითხი.

**- თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, თავმჯდომარის პოსტზე იმ ერთ კონკრეტულ პიროვნებას ხომ ვერ დაასახელებდით?**

- ამ გასული დღეების გაკვეთილთაგან ერთ-ერთი მთავარი ის არის, რომ საქართველოში საკმაოდ ბევრი განათლებული, ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანია.

**- 45 დღეში არჩევნებისთვის სრულყოფილად მომზადებას ბევრი სკეპტიკურად უყურებს. რას იტყვის NDI?**

- ჯერ კიდევ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დეტალია დასამუშავებელი და გამოსასწორებელი - ასე ამბობს ყველა, ვისაც საქართველოში მიმდინარე არჩევნებზე მუშაობის გამოცდილება ჰქონია.

რაც შეეხება 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ გადაწყდება ამომრჩეველთა სიების საკითხი და ის, თუ რა წესით იქნება დაანგარიშებული ამომრჩეველთა აქტივობა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან სიები ძალიან ბევრ პრობლემას წარმოშობს.

**- ამ სირთულეების მიუხედავად, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საპრეზიდენტო არჩევნების 40 დღეში ჩატარების საკითხი.**

- სავსებით შესაძლებელია.

წინა შემთხვევაში ხელისუფლება და მთავრობა სამართლიანი არჩევნების ჩატარებით დაინტერესებული არ იყო. თუკი ახალი ხელისუფლება არჩევნების სამართლიანად ჩატარების ნებას გამოიჩენს - ორგანიზაციულ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აღარ მიენიჭება, ისინი ადვილად გადაიჭრება.

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის რა უნდა იყოს წარმატების შემდგომი კომპონენტები?**

- ახალი ადმინისტრაცია თავად უკეთ გაარკვევს, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. მე უფრო არჩევნებზე ვარ კონცენტრირებული. ალბათ, პირველ რიგში, სახელმწიფო მოწყობის გაუმჯობესება და ძირფესვიანი რეფორმებია საჭირო. საქართველოს მართლაც არ აკლია მძიმე პრობლემები, და რომელი რომლის შემდეგ უნდა მოგვარდეს, ამას ხელისუფლება გადაწყვეტს.

**- როგორც ვიცი, "ვეფხისტყაოსანი" გაქვთ წაკითხული და იცით, რას ნიშნავს ჩვენთვის ეს ნაწარმოები. შეუძლიათ თუ არა ქართველებს ამ რევოლუციით ისევე იამაყონ, როგორც აქამდე ამაყობდნენ უძველესი ლიტერატურული და არქიტექტურული ძეგლებით?**

- ქართველები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავის ისტორიას, წარსულ დიდებას და გასული საუკუნის მიღწევებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მსოფლიოში ამ ისტორიას სათანადოდ არ იცნობენ.

რაც შეეხება ახლანდელ მოვლენებს - მას მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს და იცის, თუ რა ხდებოდა საქართველოში. ელექტრონული ფოსტით მთელი მსოფლიოდან, ყველა კონტინენტიდან მომდის უამრავი წერილი, სადაც ადამიანები თავიანთ აღფრთოვანებას და იმ დიდ შთაბეჭდილებას გამოხატავენ, რაც მომხდარი რევოლუციით მიიღეს, რასაც რამდენიმე დღის წინ ქართველებმა მიაღწიეს. ასე რომ, ისტორიაში ახლა ეს დარჩება.

ამ არჩევნებამდე წლობითა და დღეებით ადრე საკუთარ თავში ქართველებს ეჭვი ეპარებოდათ. ისინი ამბობდნენ, რომ აქვთ კომუნისტებიდან გამოყოლილი მენტალიტეტი, რომ ცვლილებების მისაღწევად თაობები იყო საჭირო, რომ დაყოფილი ქვეყნის შვილები იყვნენ, რომ მეფობს კორუფცია, რომ ხალხის ნაცვლად გადაწყვეტილებებს სადღაც მოსკოვში ან ვაშინგტონში იღებენ და ა.შ. ხალხს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა არ ჰქონდა. გასული ორი კვირის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას თავისი ქცევით ყველა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით შეუძლია, იამაყოს.

სულ სხვაა, როცა ამბობ - "ჩემმა წინაპრებმა 8 საუკუნის წინ გმირობა ჩაიდინეს" და სულ სხვა - "მე ვიყავი ამ უდიდესი ამბების მონაწილე და მე თავად მივაღწიე რაღაცას". ამაში უდიდესი განსხვავებაა და საქართველომ ამ განსხვავებას მართლაც მიაღწია.

ახლა კი ნამდვილი სამუშაო იწყება. საქართველოს შეუძლია, ისე მოიქცეს, როგორც ნამდვილ ქვეყანას შეეფერება.

თუკი ახალი ხელისუფლება არჩევნების სამართლიანად ჩატარებას გადაწყვეტს, ორგანიზაციულ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აღარ მიენიჭება, ისინი ადვილად გადაიჭრება.

სულ სხვაა, როცა ამბობ - "ჩემმა წინაპრებმა 8 საუკუნის წინ გმირობა ჩაიდინეს" და სულ სხვა - "მე ვიყავი ამ უდიდესი ამბების მონაწილე და მე თავად მივაღწიე რაღაცას."

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

სვეტი



## პირადი ბიბლიოთეკა

არტურო პერეს-რევერტე, "სადოლე ტყავი" (1995)

მალხაზ ხარბედია

ოთხი დღე გავიდა "ვარდების რევოლუციიდან" და მკითხველიც, იმედია ნელ-ნელა დაუბრუნდება წიგნს. დავიწყებულ თუ გადადებულ, ან შუა გზაში მიტოვებულ რომანებს. რევოლუციის სახელის შესაბამისად, კარგი იქნებოდა, დღევანდელ სვეტში, ვთქვათ, უმბერტო ეკოს "ვარდის სახელზე" დაგვეწერა, მაგრამ არაუშავს, ამჯერად მის "მოსწავლეს", არტურო პერეს-რევერტეს მივხედოთ, შემდეგ კი, როცა რევოლუციის პირველ, მნიშვნელოვან შედეგებს ვნახავთ, უმბერტო ეკოსაც გამოვუძებნით ადგილს.

დღეს ჩვენში ბევრი კითხულობს არტურო პერეს-რევერტეს რომანებს და ზოგს, შესაძლოა მისი ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ფილმიც უნახავს (რომან პოლანსკის "მეცხრე კარიბჭე", ჯონი დეპით მთავარ როლში). აზარტული მკითხველი გატაცებულია მისი "დეტექტივებით" და ამ ინტელექტუალურ საცდურს აყოლილნი, ღამეებსაც ათენებენ, რათა მალე, ისევ იმავე ავტორის მორიგი წიგნი შთანთქონ. ერთი ხანობა მეც სიამოვნებით ვკითხულობდი მის რომანებს, ამიტომაც, ვიდრე დღევანდელი სვეტის კანდიდატს ამოვარჩევდი, ბევრი ვიფიქრე... საბოლოოდ კი ამ რომანზე შევჩერდი.

"სადოლე ტყავი" თავიდანვე ჩაგითრევთ, რადგან რომანის პირველივე გვერდებიდან დევნა იწყება, ოღონდ არა რეალური, არამედ ვირტუალური: საქმე იმაში გახლავთ, რომ ვატიკანის ცენტრალურ კომპიუტერულ სისტემაში ხაკერი შეძვრება და იეზუიტი მამები სხვადასხვა ხრიკით ცდილობენ მის გამოჭერას. მორწმუნე პროგრამისტები ბევრს ეცდებიან, მაგრამ ხაკერი (რომელსაც "მწუხრისა" შეარქვეს, რადგან ზუსტად შუაღამეს გატეხა სისტემა) მაინც მოახერხებს მესიჯის დატოვებას, თანაც სად? არც მეტი, არც ნაკლები, პაპის პირად კომპიუტერში!

ასეთი რამ თურმე საკმაოდ ხშირი ყოფილა ვატიკანის სისტემაში; ხან ახალგაზრდა მორმონები (სოლთ-ლეიკ-სითიდან) ტეხავდნენ "პასვორდებს", ხან კი ისლამისტ-ინტეგრისტები იმუქრებოდნენ სტამბოლის შტაბ-ბინიდან. ერთხელ სულაც გადარეულმა მღვდელმა შეაღწია სისტემაში (ფსიქიატრიული საავადმყოფოს კომპიუტერით სარგებლობდა თურმე) და ძალზე უცნაური ვირუსი ჩანერგა ვატიკანურ ფაილებში, რის შედეგადაც კომპიუტერის მონიტორზე მამა-პაპური, ლათინური გინება გამოდიოდა ხოლმე. ამათგან განსხვავდებოდა ეს ბოლო ხაკერი, რომელიც იუწყებოდა, რომ "სევილიაში არის ადგილი, სადაც ყველასგან მიტოვებული XVII საუკუნის ერთი პატარა **ეკლესია კლავს**, რათა თავი დაიცვას."

რას ნიშნავს ეს ყველაფერი? როგორ შეიძლება ეკლესია (თანაც პატარა) კლავდეს? მოკლედ, ვატიკანში დაფაცურდებიან და პირადად პაპისა და ერთი ვინმე გიჟმაჟი კარდინალის (ძველი ინკვიზიტორების ჭეშმარიტი მემკვიდრის), ეჟი ივაშკევიჩის უშუალო დავალებით, გამომძიებელს გააგზავნიან სევილიაში.

ეს გამომძიებელი ლორენსო კუარტი გახლავთ. ჩესტერტონის მამა ბრაუნივით, ისიც სასულიერო პირია, თუმცა თავისი ლიტერატურული წინაპრისგან განსხვავებით კუარტი ახალგაზრდა, ჟორჯო არმანის ტანსაცმელში გამოწყობილი სიმპათიური მამაკაცია, მაჯაზე როლექსითა და სხვა თანამედროვე ატრიბუტიკით. უყვარს ძველი კაფეები, ერთი სიტყვით, ჯერემი აირონსის კინოგმირებსა ჰგავს.

ჰოდა, ჩადის ეს კაცი სევილიაში და იწყება ნამდვილი "ექშენი", ოღონდ ეს მოქმედება შედარებით მდორედ მიედინება, როგორც ე.წ. ინტელექტუალურ დეტექტივს შეეფერება. რომანში რიგ-რიგობით ჩნდებიან გმირები და ჩვენც ვმარჩიელობთ, ვცდილობთ, ერთი მხრივ "მკვლელი ეკლესიის" საიდუმლო ამოვხსნათ, მეორე მხრივ კი ის ხაკერი ამოვიცნოთ, რომელმაც მთელი ვატიკანის სიმშვიდე დაარღვია. პირველ რიგში ეჭვს იწვევს ეკლესიის წინამძღვარი, ძველი გვარდიის წარმომადგენელი, ოდესღაც პროვინციიდან სევილიაში ჩამოსული მამა პრიამო ფერო, ვინც არ ემორჩილება თანამედროვე კათოლიციზმს მთელი მისი "გებელსის ტექნიკით, როკ-მუსიკით, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების დიალექტიკითა და ნაკურთხი წყლის ელექტროსაპკურებლებით". სწორედ მისი სიტყვებიდან მოდის რომანის სათაურიც, "ჩვენ ძველი, ათასჯერ გადაკერებული სადოლე ტყავი ვართ, იმ დოლისა, რომელიც ჯერ კიდევ ხმიანობს ღვთის სადიდებლად". ასევე ეჭვს იწვევს მამა ფეროს მორჩილი, ახალგაზრდა ყმაწვილი, ვისაც კომპიუტერის ატრიბუტები აღმოაჩნდება სახლში გადამალული; იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნებათმცოდნე გრის მარსალაზეც - ესპანური წარმოშობის ამერიკელ მეცნიერზე, მთელი ცხოვრება რომ მიუძღვნა ამ ტაძარს და მდიდარ ჰერცოგინიაზეც - ტაძრის ქტიტორთა შთამომავალ ახალგაზრდა ქალბატონზე. ერთი სიტყვით, ტრადიციული ლაბირინთი სახეზეა.

რა თქმა უნდა, ახლა მე არ მოვყვები რომანის შინაარსს, მით უმეტეს, როცა საუბარი დეტექტივს ეხება, არამედ მხოლოდ რამდენიმე საინტერესო დეტალით გაგიღვიძებთ აპეტიტს ლიტერატურული სასუსნავის მოყვარულებს.

რომანში ერთი უცნაური პერსონაჟია, დონ იბრაიმი, ძველი აფერისტი, წარმოშობით კუბელი. ეს კაცი ლამის ყველა ცნობილი ადამიანის მეგობრობას იჩემებს და ხშირად აჩვენებს ხოლმე თავის "ბანდის" წევრებს სამახსოვრო ნივთებს. ხან ორსონ უელსის ნაჩუქარ სიგარის საჭრელ დანას დააძრობს, ხან კი ოქროს სანთებელათი უკიდებს სიგარას და დასძენს, ეს სანთებელა გარსია მარკესმა მაჩუქაო. თავმომწონე კუბელს - რომელსაც წარამარა ეფერფლება თეთრ, გაქათქათებულ პიჯაკზე - ლათინური ფრაზების ჩართვაც ეხერხება ბრძნულ მეტყველებაში. ერთგან ამბობს, Gallis est omnia divisa in partibus infidelibus-ო და შემდეგ თარგმნის კიდეც ამ უაზრო "ხატოვან სიტყვა-თქმას", სადაც დომხალში იულიუს კეისრის "გალებთან ომის" პირველი ფრაზა შეიძლება ამოვიცნოთ; თავად "თარგმანი" კი ასე ჟღერს: "სანამ რამეს იზამდე, აუცილებელია ოპტიკური რეკოგნოსცირება"-ო. მოგვიანებით კი გულაჩუყებულს წამოცდება: "ოდესღაც სწორედ აი ასე იდგა ღამის წყვიადში ჩაფლული ოდისევსი თავის გემზე, კაპიტნის კაიუტასთან და არგონავტების რწმენითა და იმედით აღსავსე მზერას გრძნობდა"-ო. შეუძლებელია ამ სიტყვების წაკითხვისას ზოგიერთი თანამედროვე ქართველი "მწერალი" არ გაგახსენდეს, თუმცა მწერლობა რა სახსენებელია, როცა რომანში ერთი ისეთი დეტალიც მოიძებნება, პირდაპირ რომ ასახავს ჩვენში შექმნილ სიტუაციას. საუბარია ძალზე საინტერესო ცერემონიალზე, რომელიც პაპის არჩევას ახლავს ხოლმე თან. საქმე ისაა, რომ ამომრჩეველი კარდინალები, გარესამყაროსგან სრულიად მოწყვეტილნი, ხმის მიცემას კვამლის ფერით ამცნობენ ხალხს. თუკი ბუხრის მილიდან შავი კვამლი ამოდის, ეს ნიშნავს, რომ პაპი ჯერ არ აურჩევიათ და მხოლოდ თეთრი კვამლი ამცნობს საზოგადოებას კარდინალთა კონკლავის გადაწყვეტილებას, შემდეგ კი პაპის ვინაობასაც იუწყებიან წმინდა პეტრეს ტაძრის აივნიდან.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენში, ჯერჯერობით, შავი კვამლის ხანა დგას და "ქართველ კარდინალთა კონკლავი" კიდევ ორმოც დღეს ეცდება იმ ცეცხლის გაღვივებას, საიდანაც თეთრი კვამლი უნდა ამოვიდეს.

# კულტურის სტრატეგია საქართველოში

**1. რა უნდა იყოს კულტურის სამინისტროს ფუნქცია?**
**2. რა ცვლილებებს მოელით, ამ მხრივ, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ?**

### ნოდარ ანდღულაძე
*მომღერალი*

**1.** ალბათ, კულტურული ცხოვრებისა და კულტურული პროცესების სახელმწიფო დონეზე ორგანიზაცია. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სისტემაში ისეთი სტერეოტიპი ჩამოყალიბდა, რომ გარკვეული ორგანოები თუ სახელმწიფო სისტემა ხალხს კი არ ემსახურება, არამედ იმსახურებს. ეს არის მანკიერი სისტემა, ყოველთვის მანკიერი იყო და მანკიერად დარჩა, იმიტომ, რომ არავის არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ყველაფერს, ყველა სფეროში იყენებდნენ თავისი პროპაგანდისათვის და გამორჩენისათვის. ამდენად, ასეთი ორგანოები არ არის საჭირო, თუკი კულტურის სამინისტრო იქნება, ის უნდა ემსახურებოდეს კულტურის მუშაკებს, იცავდეს მათ ინტერესებს, ზრუნავდეს მათი ხელოვნების გაფურჩქვნისა და გაშლისათვის, ერკვეოდეს ხელოვნების ყველა დარგში და არა რომელიმეში ცალკე. ყველგან უნდა იყვნენ ავტორიტეტული განყოფილების გამგეები, შემთხვევითი ხალხი არ უნდა იყოს. ასეთი წარმოමიდგენია ეს სტრუქტურა, ასეთ შემთხვევაში აქვს აზრი, რომ მას სამინისტრო დაერქვას. აქედან გამომდინარე, მასთან ურთიერთობა და თანამშრომლობაც შეიძლება. ინტრიგები ყოველთვის არის, მაგრამ ამოსავალი სტრატეგიული პოზიცია ასეთი უნდა იყოს - ემსახუროს და არა იმსახუროს. ჯერჯერობით, ჩვენ ამის კულტურა არ გვაქვს და ოდესმე გვექნება თუ არა, არც ამაში ვარ დარწმუნებული, ისეთი ისტორიული ტვირთი გვაქვს. ამის გამოსწორებას თაობები დასჭირდება, თუ, საერთოდ, რამე გამოსწორდა.

**2.** ხელოვნება არის რელიგიასთან ერთად სიყვარულის მომტანი, მაშინაც, როცა ის იუმორში, სარკაზმსა თუ სატირაში გადის. ე.ი. როდესაც დასცინის, ეს მხოლოდ სიყვარულიდან გამომდინარე ხდება, ხელოვნება ასეთი რამაა, ისევე, როგორც რელიგია და, საერთოდ, კულტურა. ადამიანს ადამიანობას უმკვიდრებს და უვითარებს, თუ შესაძლებელია. ამაზე ჩვენი გენიალური ფილოსოფოსი მამარდაშვილი ბევრს წერდა. რადგან ასეთი რევოლუცია მოხდა, ჩემი აზრით, საერთოდ, სიძულვილი უნდა დაიშალოს, არც ერთმანეთი უნდა გვძულდეს, არც ცხოვრება, პირიქით, გვიხაროდეს. ხელოვნება ამას უნდა უწყობდეს ხელს, სულ უფრო მეტი აღმოჩენა უნდა გაუკეთოს ადამიანის სულს და მის სულიერ სამყაროს. მაგრამ, ეს ყველაფერი სიყვარულზე უნდა აღმოცენდეს. ეს ჩვენს მოქმედებას უნდა დაედოს საფუძვლად შემოქმედებაშიც და ურთიერთობაშიც. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ჩვენი მემკვიდრეობის გამო, ვაი, რომ ამას ძალიან ძნელად მივაღწევთ.

### მარი ჯანაშია
*მსახიობი*

**1.** ამ შემთხვევაში ძალიან ნაკლებად მაღელვებს კულტურის სამინისტროს საკითხი.

**2.** რევოლუციის შემდეგ არანაირ ცვლილებებს არ მოველი. ჩემი აზრით, ეს სრულებითაც არ იყო "ვარდების რევოლუცია", ყველა მოწოდება და შეჭრა შენობაში კარგად მახსოვს, თუნდაც მოწოდება ტელევიზიის პირველი არხის დახურვის შესახებ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვინმეს მხარეზე ვარ კონკრეტულად. ეს იყო ამაზრზენი, ჩვეულებრივი წითელი რევოლუცია, რუსის ხელით მოწყობილი. მოკლედ, ოპტიმისტურად ნამდვილად არა ვარ განწყობილი.

### ნოდარ მალაზონია
*მხატვარი*

**1.** ამჟამად კულტურის სამინისტროს არ აქვს ფუნქცია, რადგანაც არ არის ფული. თუმცა, არის მეორე მხარეც. რენესანსის დროს სულ არ არსებობდა ეს დაწესებულება, მაგრამ რენესანსმა სამი საუკუნე იარსება. 50 ფუნტზე ძვირად არ გაუყიდია სეზანს საკუთარი ნახატი. რომ გადავავლოთ თვალი იმ დროის პრესას, რომელიც პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ინახება, ვნახავთ, როგორ აფასებდნენ მხატვარს თანამედროვეები. მაგრამ, ასევე რეალობაა - ხელოვნების შექმნას ფული ხომ აუცილებლად სჭირდება?

**2.** კულტურის მინისტრიცა და სამინისტროში მის გარშემო მყოფი ადამიანები კარგად უნდა ერკვეოდნენ ხელოვნების დარგებში, მაგრამ კულტურის მინისტრისთვის მარტო ეს არ არის საკმარისი. გვყავდა კულტურის მინისტრი მხატვარიც, მუსიკოსიც, მწერალიც, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კულტურის მინისტრს უნდა შეეძლოს მართვაც. მე შორს ვარ იმ იდეალებისაგან, რომ ხვალიდან სიკეთისა და სიუხვის მზე ამობრწყინდება, მაგრამ ერთი რაღაცის მჯერა: თუკი ვინმე რამეს დაგვეხმარება და ქვეყნის სასიკეთოდ რაიმეს გაიღებს, იმას ჯიბეში ვერავინ ველარ ჩაიდებს და მართლა იმ საქმეს მოხმარდება, რისთვისაც არის. ეს კი უკვე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის სრულყოფილებისათვის.

### ზაალ სამადაშვილი
*მწერალი*

**1.** პირველ რიგში, სამინისტრო უნდა მართავდეს სახელმწიფო მმართველების შემუშავებულ კულტურულ პოლიტიკას. მის ფუნქციაშია, უპირველესად, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და გაფრთხილება.

**2.** სამინისტროში უნდა შედიოდეს პროექტები, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით კი არ დაფინანსდება, არამედ სამინისტროს მიერ სხვა გზით მოპოვებული თანხებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისთვის.

### გურამ ფირცხალავა
*მსახიობი*

**1.** ბოლო ხანებში არსებობდა თუ არა კულტურის სამინისტრო, არც მახსოვდა, იმდენად უფუნქციო იყო. მე თუ მკითხავთ, ამ სახით კულტურის სამინისტრო საერთოდ არ არის საჭირო. კულტურის მუშაკები - მწერლები, მხატვრები თუ ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლები, ყოველგვარი სამინისტროს გარეშეც აკეთებენ თავის საქმეს. ჩემი აზრით, კულტურის მინისტრი მაინც კულტურის სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს. ბრწყინვალე ქალბატონი იყო ჩვენი მინისტრი – სესილი გოგიბერიძე, მაგრამ რა უნდა ქნას მინისტრმა, თუ სახელმწიფომ სათანადო თანხები არ გამოუყო. მე მშვენიერი მანქანა მყავს, მაგრამ ბენზინი თუ არ ჩავასხი, ხომ ვერ დავძრავ ადგილიდან. გარდა ამისა, სამინისტროს რაღაც გარკვეული შემოსავლები ხომ უნდა ჰქონდეს, თუნდაც ათი ფილმის გადაღების და კინოჩვენების შემდეგ, სამინისტრომ რაიმე არ უნდა მიიღოს? მართალია, ჩვენში თითებზე ჩამოსათვლელი კინოთეატრია, სადაც ნორმალურად შეიძლება ფილმის ჩვენება, მაგრამ მაინც ხომ შეიძლება რაიმეს გაკეთება. აქედან კი სამინისტროს პროცენტების მიღება შეუძლია. კულტურის სამინისტროს, სახელმწიფომ უნდა მისცეს ისეთი რამ, რაც მას შემოსავალს მოუტანს, თუ რა უნდა იყოს ეს, მე არ ვიცი.

ჯერჯერობით კი, კულტურის სამინისტრო თავისი შტატებით და თანამშრომლებით, ზედმეტი ხარჯია სახელმწიფოსთვის. უმჯობესი იქნება სამინისტრო გარკვეული დროის მანძილზე გაყინული ბაყაყივით დააკონსერვონ და ქვეყანაში დათბობის შემთხვევაში გააღვიძონ და ძალები მოაკრებინონ. საერთოდ ცოტა ხანი უნდა გავიყინოთ, სანამ ქვეყნის სათავეში ვინმე ჭკვიანი კაცი არ მოვა და არ გაგვალღობს.

**2.** ვერავინ დამაჯერებს, რომ რაიმე სახის რევოლუცია კარგია. ჩემი აზრით, სერთოდ დაიღუპა ქვეყანა, ყოველგვარ რევოლუციას ბანდიტიზმი მოსდევს. ჯერ მხოლოდ ხუთი დღეა გასული რევოლუციიდან, ამის შემდეგ ვნახოთ რა მოხდება. გარდა ამისა, ბანკში ფული არ არის რომ ხელფასები დაარიგონ, ამერიკელების იმედზე ვართ. ერთი რამ მაკვირვებს, ეს ამერიკა საქართველოში თითქმის ყველა დარგს ეხმარება, კულტურის სფეროში მათი დახმარება კი ჯერ არავის უნახავს. ამერიკული "ხლამი" ფილმების გარდა, რომლებიც მხოლოდ სექსს და ძალადობას უწევენ აგიტაციას, ჩვენში არაფერი შემოდის. კულტურის სამინისტრომ ამ მხრივ არაფერი არ უნდა იღონოს? მოკლედ, არავითარი იმედი არა მაქვს. ხალხს ჰგონია, რომ ახალი არჩევნები ჩატარდება და რაიმე შეიცვლება. რა უნდა შეიცვალოს, არტისტებს ხელფასები არა აქვთ, კულტურა თითქმის იგნორირებულია, არაფერი ამ ხალხს არ აინტერესებს, არადა, კულტურას მოფერება უნდა.

გახსოვთ ალბათ რა ამბავი იყო თავის დროზე ეროვნული კინოცენტრის გახსნის შესახებ. გაიხსნა როგორც იქნა, ეხლა თუ ახსოვს ვინმეს? ქართული კინო კვდება, მხოლოდ ტელესერიალების იმედზეღა დავრჩით. არადა, ტელესერიალი მსახიობის გემოვნებას აკნინებს.

ჩემი აზრით, ქვეყანაში ასპარეზი კულტურის მოღვაწეებს უნდა დაუთმონ. ამ სფეროში უფრო პატიოსანი ხალხია, ვიდრე პოლიტიკაში. რაც შეეხება ახალი კულტურის მინისტრის არჩევას და კულტურის სამინისტროს ფუნქციას, უკეთესი იქნება ამ სამინისტრომ დროებით შეწყვიტოს ფუნქციონირება და საცოდავ პენსიონერ არტისტებს პენსიები დაურიგოს. წლების შემდეგ, როცა ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსება, ალბათ სამინისტროს ფუნქციაც დაუბრუნდება. მანამდე კი, მხოლოდ კულტურის სამინისტროს შენობა შევინარჩუნოთ ხელუხლებლად.

საერთოდ არ მწამს არანაირი რევოლუციის და ნამდვილი რევოლუციის მოწყობა მხოლოდ ღვინოს შეუძლია, კარგ ხასიათზე გაყენებს. თუმცა, ღვინო ზოგს აგიჟებს კიდეც. მოკლედ, ღვინო რევოლუციონერია. ღვინის რევოლუცია მომწონს, დანარჩენი – არა.

### გოგი დოლიძე
*კინომცოდნე, პროფესორი*

**1.** კულტურის სამინისტრო ვერაფერში ვერ გვეხმარება. წარმოიდგინეთ, ჯერ მე პრეზიდენტთან, სახელმწიფო მინისტრთან, პარლამენტში, ქალაქის მერიაში და კულტურის მინისტრთან ნამყოფი არ ვარ. თქვენ ნორმალურად მიგაჩნიათ ეს ამბავი? აქვე ვართ, რუსთაველის გამზირზე და მინისტრი ერთხელ არ უნდა შემოსულიყო? არადა, ქართულმა კინოსკოლამ, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, პირველმა მოიპოვა საერთაშორისო ასოციაციის წევრის ოფიციალური სტატუსი. რაღაცას ვწვალობთ, წარმატებებს ვაღწევთ, არანაირი დახმარება არც ფულის და არც შემოქმედების მხრივ ჩვენ არ გვაქვს. კულტურის წინანდელმა მინისტრმა ვალერი ასათიანმა 2 ათასი ლარის ღირებულების ერთი კომპიუტერი გვაჩუქა. ტელევიზორი და კიდევ ერთი კომპიუტერი, ჩემმა მეგობრებმა მათხოვეს. რაიმეს თუ ვაკეთებთ, ისევ პირადი "მარიფათის" ხარჯზე. თქვენი აზრით შეიძლება კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს კინოსა და ტელევიზიის დარგში, ერთი ტელევიზორი არ ჰქონდეს ოთახში, რომ სტუდენტს ფილმი აჩვენოს?

**2.** თუკი გადატრიალდა ქვეყანა, ამ პოლიტიკურმა სამეულმა უნდა მოკიდოს ხელი სახელმწიფოს. თითქმის ჩვენ ხელში არიან გაზრდილები. ნინო ბურჯანაძე უაღრესად წიგნიერი ქალბატონია, მიხეილ სააკაშვილიც და ზურაბ ჟვანიაც ძალიან განათლებული ხალხია, მარტო მათი უცხო ენების ცოდნას არ ვგულისხმობ. მე მწამს მათი, რომ რაღაცას გააკეთებენ.

კულტურის მინისტრად ერთი ახალგაზრდა, ენერგიული, გულანთებული კაცი უნდა მოვიდეს, როგორიც მაგალითად, დათო მაღრაძეა. თან უნდა ჩანდეს, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრი კი არ არის, არამედ, კულტურის მინისტრია. კულტურაში სხვა განზომილებებია, ვნახოთ რა იქნება. ამ ერთ თვესაც გადავაგორებთ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტსაც ავირჩევთ, მერე უნდა მივხედოთ საქმეს.

კულტურის სამინისტროს ფუნქცია აბსოლუტურად დაკარგული აქვს. შეიძლება რაღაც ოფიციალური ქაღალდი მოგცენ, ეგ არის და ეგ, ამაში თუ გამოგადგებიან.

შარშან, აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობასთან დაკავშირებით, 90 წლის იუბილე რაჭაში მოგზაურობით აღვნიშნეთ, რომელშიც 150 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. არც კულტურის და არც განათლების მინისტრს არაფერი უთქვამს, სად წაიყვანე სტუდენტები და ერთი კვირა სწავლა შეწყვიტეო. თუ კარგი გავაკეთე, უნდა მომიწონო, თუ ცუდი, მაშინ რაიმე ხომ უნდა მითხრა. ამერიკის კოდაკის ვებ-საიტზე, ჩვენს შესახებ ამგვარი ინფორმაცია გავრცელდა – "თუ ამერიკა ტრაბახობს გრანდიოზული ტელეგადაცემებით (იგულისხმება ოსკარის ცერემონიალი), ხოლო საფრანგეთი უდიდესი კინოფესტივალებით, საქართველო ალბათ ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ფილმის იუბილე ეროვნულ დღესასწაულად აქცია".

ჩვენს კულტურის მინისტრს საერთოდ არ გაუგია არაფერი. არ დაგწყდება გული? აი ასეთი მდგომარეობაა.


ნოდარ ანდღულაძე


მარი ჯანაშია


ნოდარ მალაზონია


ზაალ სამადაშვილი


გურამ ფირცხალავა


გოგი დოლიძე

# გაპრიალებული სექსი

**არტიომ ტროიცკი - რუსული "ფლეიბოის" პირველი რედაქტორი**

*დეკემბერში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალი, "ფლეიბოი", თავის 50-ე იუბილეს აღნიშნავს. ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც სრულიად უცნობი ჰიუ ჰეფნერი ნიუ იორკში თავის ჟურნალის გამოცემისთვის ფულის საშოვნელად დარბოდა. პირველი ჟურნალი ნომრის მითითების გარეშე გამოვიდა: არცერთ კრედიტორს და თავად ჰეფნერსაც კი "ფლეიბოის" მომავლისა არ სჯეროდათ. მაგრამ მხიარული ბაჭია, "ფლეიბოის" სიმბოლო, ძალიან სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. დღეს მის უკვდავებაში ეჭვი აღარავის ეპარება. "ფლეიბოის" რუსული ვერსია უკვე რამდენიმე წელია საქართველოშიც იყიდება. ქართველი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს "ბელორუსკაია გაზეტაში" გამოქვეყნებული ინტერვიუ რუსული "ფლეიბოის" პირველ რედაქტორთან, ცნობილ როკ-კრიტიკოსთან არტიომ ტროიცკისთან. მით უმეტეს, რომ დამოკიდებულება ჟურნალისადმი ბელარუსში და საქართველოში ანალოგიურია.*



*"ფლეიბოიმ" 50 წლის წინ სექსუალური რევოლუცია დაიწყო.*


*ჟურნალის დამაარსებელი ჰიუ ჰეფნერი.*


*რუსული "ფლეიბოის" პირველი რედაქტორი არტიომ ტროიცკი.*

**- გამოიწვია თუ არა 1995 წელს რუსული "ფლეიბოის" გამოჩენამ რამე პრობლემები და სკანდალები?**

- "ფლეიბოის" არსებობის პირველ ორ წელს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში სკანდალები ახლდა თან. მაგალითად, კრასნოიარსკში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჟურნალის გაყიდვიდან ამოღების განკარგულება გასცა. ჩვენ მათ სასამართლოში ვუჩივლეთ და იოლად მოვიგეთ. უცნაურია, მაგრამ ჟურნალთან დაკავშირებით სკანდალი პიტერშიც მოხდა. ნოვოსიბირსკის ქალაქის საბჭოში დებატები გაიმართა – კომუნისტები მოითხოვდნენ, რომ "ფლეიბოი" ინტიმური დანიშნულების საქონლის მაღაზიებში გაყიდულიყო. საერთოდ კი, ამ პატარ-პატარა, ნახევრად ანეკდოტური ამბების გარდა, "ფლეიბოის" სერიოზული პრობლემები არ ჰქონია. ეს იმით აიხსნება, რომ მე თავიდანვე ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რომ რუსული "ფლეიბოისთვის" რესპექტაბელური გამოცემის სახე მიმეცა. პირველივე ნომერიდან ჩვენთან ცნობილი მწერლები და ჟურნალისტები თანამშრომლობდნენ: ვასილი აქსიონოვი, ანდრეი ვოზნესენსკი, ვიქტორ ეროფეევი, ვიქტორ პელევინი. ჩვენ კულტურის მოღვაწეებს და პოლიტიკოსებსაც კი ვართმევდით ინტერვიუს. დიდი ძალისხმევა გავწიეთ ერთადერთი მიზნით: გვეჩვენებინა და დაგვემტკიცებინა, რომ "ფლეიბოი" სექსუალურად აღგზნებულებისა და მასტრუბატორებისთვის არსებული გამოცემა კი არაა, არამედ რესპექტაბელური ჟურნალია თანამდროვე შეძლებული მამაკაცებისთვის, რომლებიც ცხოვრებას მსუბუქად, მხიარულად და ავანტიურულად უდგებიან, უყვართ ლამაზი ცხოვრება და საერთოდ, ყველაფერი ლამაზი: ქალები იქნება ეს (მამაკაცის ბეჩავი ყოფის მთავარი დამამშვენებელი), ავტომანქანები, ტანსაცმელი თუ მოგზაურობა.

**- მას შემდეგ, რაც ბელორუსში ეროტიკული ბიზნესის ლიცენზირება გააუქმეს, ჩვენ ამ ბაზარზე ცვლილებებს მოველით, თუმცა ის, ჯერჯერობით, ყველა სეგმენტში ძალიან მწირია. როგორ გესახებათ ბელორუსული "ფლეიბოის" გამოჩენა?**

- პირველ რიგში, მინდა მოგახსენოთ, რომ ბელორუსში ლიცენზიებისა და სხვა ცენზურული წინააღმდეგობების გაუქმება მახარებს. ამ ბიზნესში, უკვე დიდი ხანია, ჩართული ვარ და მტკიცედ შემიძლია ვთქვა: ამ სფეროში ყოველგვარი ცენზურა უსაფუძვლოა. რუსეთშიც არსებობდა ათასგვარი კომისია, რომლებიც, მართალია, ბეჭდვითი პროდუქციის კი არა, კინო და ვიდეოპროდუქციის ლიცენზირებით და სერტიფიცირებით იყო დაკავებული. ისხდნენ ვიღაც ძიები და წყვეტდნენ, სად იყო ეროტიკა და სად – პორნოგრაფია. ყველა ეს გადაწყვეტილება გემოვნების ამბავი იყო – ეროტიკისა და პორნოგრაფიის განმასხვავებელი არავითარი სამეცნიერო, ფსიქოლოგიური თუ სხვა კრიტერიუმი არ არსებობს და ვერც იარსებებს. ხოლო თუ მკაფიო კრიტერიუმები არ არსებობს, ჩემი აზრით, ამას ხელი არც უნდა მოჰკიდო, რადგან ამგვარი გაურკვევლობა ქრთამისა და ბოროტად გამოყენების მიზეზი ხდება.

"ფლეიბოის" ბელორუსში გაჩენა იმდენად პოლიტიკური არა, რამდენადაც ეკონომიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. რამდენად განვითარებულია ბელორუსიაში პრიალა ჟურნალების ბაზარი, სარეკლამო ინდუსტრია, რამდენად მაღალი შესყიდვის უნარი აქვს მოსახლეობას. "ფლეიბოის" ერთი ნომრის თვითღირებულება ორ დოლარს ოდნავ აღემატება, შესაბამისად, ფასი 3, 4,5 დოლარს შეადგენს. გაუძლებენ თუ არა ბელორუსი გამომცემლები ასეთი ჟურნალის გამოშვებას, გაიყიდება ის თუ არა? რამდენად ძლიერია ბელორუსში სარეკლამო სააგენტოები, იქნება თუ არა საკმარისი რეკლამა? ვთქვათ, მაშინ, როცა "ფლეიბოის" მთავარი რედაქტორი ვიყავი, რეკლამას ჟურნალის 130 გვერდიდან 50-60 გვერდი მიჰქონდა. ერთი გვერდი, საშუალოდ, 5-6 ათასი დოლარი ღირდა, ყოველ ნომერში, სულ მცირე, 100 ათასი დოლარის რეკლამა უნდა ყოფილიყო განლაგებული.

ბელორუსის ბაზრის შესახებ არაფერი ვიცი. წარმოდგენა არა მაქვს, რა პრიალა ჟურნალები არსებობს, რა ღირს, საშუალოდ რა ჯდება რეკლამა ბელორუსულ პრიალა ჟურნალში. ვინაიდან ბელორუსი მეტ-ნაკლებად რუსულენოვანი ქვეყანაა, და რამდენადაც ვიცი, რუსული "ფლეიბოი" ბელორუსში ყოველთვის კარგად იყიდებოდა, ჩემი აზრით, სავსებით ლოგიკური იქნება, თუ ბელორუსული "ფლეიბოი" რუსულენოვანი გამოცემის დამატება იქნება. ასე ვაკეთებთ უკრაინულ "კოსმოპოლიტენსაც", რომელიც შინაარსის 90 პროცენტით რუსულ "კოსმოპოლიტენს" ემთხვევა. ბელორუსი გამომცემლებისთვის ასეთი ვარიანტი ბევრად უფრო იაფი დაჯდებოდა.

**- თქვენ სასტიკად აკრიტიკებთ ხოლმე პრიალა ჟურნალებს – რატომ?**

- "პრიალა" ბიზნესმა იმედები გამიცრუა. ამის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ "ფლეიბოიში" მუშაობა შევწყვიტე და ჟურნალიდან წავედი. მე მივხვდი, რომ ამ ბიზნესში შემოქმედებითი ელემენტი ძალიან მცირეა. საქმე ცენზურა თუ მკითხველთა მდაბიური მოთხოვნები როდია. არსებობს რეკლამების განმთავსებელთა დიქტატი. "პრიალა" ბიზნესში ისინი რეალური კანონმდებლები არიან და ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. როცა ისინი მთავარ რედაქტორს კარნახობენ, რა სჭირდებათ და რა არ აწყობთ – ეს ძალიან სამწუხაროა.

ცენზურისთვის გვერდის ავლა ყოველთვის შეიძლება. სახალისოც კია ცენზურასთან კატა-თაგვობანას თამაში. თუ მკითხველს რამე არ მოსწონს, შეგიძლია რამენაირად მიიზიდო, რაღაცნაირად გაანათლო, აღზარდო, გადააკეთო – ესეც საინტერესოა. რეკლამის განმთავსებლებს კი ვერ გაუმკლავდები. რამე თუ არ მოსწონთ, რეკლამა მიაქვთ, ბიზნესის კორპორატიული წესები კი ამას სასტიკად კრძალავს.

სულ მათ ფეხთით ხარ განთხმული, ეს კი ძალიან მოსაბეზრებელი და უსიამოვნო რამაა. რადგან სარეკლამო სააგენტოებში, ჩვეულებრივ, დიდად განათლებული ხალხი არ მუშაობს. რამე რომც იცოდნენ, მათ სრულიად უტილიტარული, კორპორატიული მიზნები აქვთ. ისინი რომ არა, "ფლეიბოის" სულ სხვანაირად გავაკეთებდი.

ის უფრო ინტელექტუალური და უფრო სექსუალური იქნებოდა, იმიტომ რომ მე სექსი შესანიშნავ საქმედ მიმაჩნია. მაგრამ რეკლამის განმთავსებლებს ეს არ სჭირდებათ. ისინი ყველაფერს საშუალოდ ზომავენ. სწორედ ამიტომაა, ყველა მამაკაცების ჟურნალი ერთნაირი. ქალთა ჟურნალებსაც იგივე სჭირს, ყველა ერთმანეთს ჰგავს.

**- მიუხედავად ამისა, მათზე მოთხოვნა არსებობს. რატომ?**

- თუნდაც იმიტომ, რომ მოცალეობის ჟამს ადამიანებს ზოგჯერ კითხვა უყვართ. მე ამ ჟურნალებს არ ვკითხულობ. ზოგჯერ გადავხედავ ხოლმე, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდე: ერთფეროვანი და არცთუ ხარისხიანი საკითხავია. გამონაკლისი, პრაქტიკულად, არ არსებობს.

ზოგჯერ ვიღაც ავანტიურისტი ინვესტორი გამოჩნდება ხოლმე და ამბობს: საინტერესო ჟურნალის გაკეთება მინდა. მაგრამ ასეთი ჟურნალები ბაზარზე ერთ წელიწადზე დიდხანს ვერ ძლებს.

**- თავის დროზე, რუსული "ფლეიბოის" ამოცანების განმარტებისას თქვენ ამბობდით, რომ ჟურნალი "ეფექტური" უნდა იყოს. ამ ცნებას თქვენ მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით იხილავდით თუ საგანმანათლებლო ფუნქციასაც გულისხმობდით?**

- თავის არსებობის საწყის სტადიაზე რუსული "ფლეიბოი" მრავალი კუთხით მართლაც საგანმანათლებლო ორგანო იყო: ის რუს მამაკაცში ქალის მიმართ თანამედროვე, გალანტურ დამოკიდებულებას ნერგავდა. თქვენ, როგორც ქალს, მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ სლავი მამაკაცები არასოდეს ყოფილან ნატიფი რომანტიკოსები, მაცდურები და დახვეწილი სექსის ოსტატები. მართალია, მათ შეუძლიათ სექსუალური ჩემპიონები იყვნენ, მაგრამ დახვეწილობით და ქალის მიმართ ნატიფი დამოკიდებულებით არასოდეს გამოირჩეოდნენ. სლავ მამაკაცებს ეს არ ახასიათებთ. ამიტომ, "ფლეიბოის" მნიშვნელოვან ამოცანად ის მესახებოდა, რომ ჩვენი კაცები, რუსი მაჩოები, როგორმე შემეცვალა. ეგრეთ წოდებული "ნამდვილი მამაკაცები" სინამდვილეში თავდაჯერებული, გაუთლელი ხალხია და სრულიად ცინიკურად მოიხმარენ ქალებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქცევის ასეთი კონცეფცია ჩამორჩენილია და კომიკურადაც კი გამოიყურება. თანამედროვე მამაკაცი სხვანაირი უნდა იყოს.

# სექსუალურობის ტრიუმფი

**ბილ კლინტონის ინტერესი მოწინააღმდეგე სქესისადმი ბავშვობიდან მოდის**

*"ბილ კლინტონი: ამერიკული თავგადასავალი"*
*ავტორი ნაიჯელ ჰამილტონი*
*გამომცემლობა: "სენჩური", 784 გვ.*
*ფასი: 25 გირვანქა სტერლინგი*

პრეზიდენტ კლინტონის დედას ვირჯინია ერქვა, სხვათა შორის, ძალიან შეუფერებელი სახელი. ის ქალი-რევოლუცია იყო, სექსუალური რევოლუცია: ჯერ კიდევ 1930-იან წლებში თავისუფალ სიყვარულს ქადაგებდა, და მერე სახელიც გადაირქვა, უცებ რატომღაც ჰოუპი – იმედი გახდა. საავადმყოფოში მედდად მუშაობდა და ექიმი მამაკაცების მზა მარაგიც მუდამ მის განკარგულებაში იყო. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მას უილიამ ჯეფერსონ ბლაიტ მესამე არ შეუყვარდა და ცოლად არ გაჰყვა. ჯეფერსონს ჰოუპამდე კიდევ ოთხი ცოლი ჰყავდა, ამტკიცებდა გაყრილი ვარო, მაგრამ ყველასგან განქორწინება მაინც არ ჰქონია მიღებული.

შემდეგ ბლაიტი ევროპაში საომრად გაემგზავრა, ვირჯინიამ კი საავადმყოფოში საქმიანობა შეწყვიტა. ომიდან დაბრუნების შემდეგ ჰოუპი კვლავ მასთან გადასახლდა. მალე დაფეხმძიმდა კიდეც, მაგრამ ხვდებოდა, რომ ბავშვის მამა ბლაიტი არ იყო. სანამ ჰოუპი მდუმარედ და შიშით ელოდა ქარიშხალს, რომელიც საიდუმლოს გამოაშკარავებას უნდა მოჰყოლოდა თან, ბლაიტი გზიდან გადაიჩეხა და წყალში ჩაიხრჩო.

ბავშვი 1946 წელს დაიბადა. ის იმდენად ჭკვიანი და საზრიანი გამოდგა, რომ აშკარა იყო, ბლაიტი მისი მამა ნამდვილად არ გახლდათ. ასეა თუ ისე, პატარას უილიამ ჯეფერსონ ბლაიტ მეოთხე დაარქვეს.

რამდენიმე ხანში ვირჯინია როჯერ კლინტონზე გათხოვდა; ლოთზე, რომელიც მას დღედაღამ სცემდა, ერთხელ კი ტყვიაც ესროლა.


*ბილ კლინტონისთვის მონიკა ლევინსკი ყველაზე სკანდალური ქალი გამოდგა.*

ბიჭუნა ბილი ამ ოჯახური სკანდალების შესახებ მეგობრებს არაფერს უყვებოდა. თუმცა, სწორედ დიდი ტრავმით იყო გამოწვეული ის, რომ ბილს თავიდანვე პოპულარობა და ლიდერობა სურდა. ის ბიჭების ყოველ ჩხუბში ჰყოფდა ცხვირს და საქმის მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობდა. თავიდან მეგობრები მას ამ მცდელობას არ უფასებდნენ, ერთი-ორჯერ კი გვარიანადაც სცემეს, კინაღამ ფეხი მოამტვრიეს.

13 წლისა უკვე ძალიან მაღალი იყო. ერთხელ ღამით, როდესაც საშინლად მთვრალი როჯერ კლინტონი ჰოუპს სცემდა, ბილმა ვეღარ მოითმინა და მათ საძინებელ ოთახში შევარდა. საცვალისამარა როჯერი იატაკზე იწვა. ბიჭმა მას წამოდგომა უბრძანა, რჩევა უნდა მოგცეო, შემდეგ კი მტკიცე ხმით მიმართა, აღარასდროს გაბედო, დედაჩემს ხელი ახლოო (გაითვალისწინეთ: ის არ დასჯერდა უბრალოდ მოთხოვნას, რომ როჯერს აღარასდროს ეცემა დედამისი. მან მამინაცვალი გააფრთხილა, დედაჩემს საერთოდ აღარ შეეხოო). ამ შემთხვევიდან მალევე ბილს ოიდიპოსის კომპლექსი გაუმწვავდა – როჯერი სახლიდან გააგდეს და ბიჭმაც სახელი ვილიამ ჯეფერსონ კლინტონად გადაიკეთა!


*1992წ. არკანზასის გუბერნატორი და პრეზიდენტობის კანდიდატი საარჩევნო კამპანიის დროს თავს იფხიზლებს.*

...კლინტონის ამ ახალი ბიოგრაფიის კითხვა ძალიან სახალისოა. ავტორი ფეხდაფეხ მიჰყვება კლინტონის გზას მანამ, სანამ ის თეთრ სახლში გადასახლდებოდეს. აღფრთოვანებული დარჩებით ამ პოლიტიკოსით, რომელიც თავისი ინტელექტისა და ქარიზმის წყალობით ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს კომუნიკატორად იქცა.

პრეზიდენტზე დაწერილმა წინა ბიოგრაფიამ "კლინტონის ომები" საერთოდ ვერ აუხსნა მკითხველს, თუ რა არის კლინტონის საარაკო მომხიბვლელობის საფუძველი. ნაიჯელ ჰამილტონს კი კლინტონის ცხოვრებისეული გზის არც ერთ ვიწრო ბილიკი არ დარჩენია შეუმჩნეველი. მან მოახერხა, პრეზიდენტის პიროვნება საფუძვლიანად გამოეკვლია.

რელიგიის თვალსაზრისით ძალზე კონსერვატორულ სამხრეთში ვირჯინიას, ცხადია, მეძავს ეძახდნენ, მაგრამ შემდეგ ის როჯერთან ერთად ჰოტ სპრინგსში გადასახლდა და ბილიც არკანზასის ბიწიერებისა და კაზინოების ქალაქში აღზარდა.

ბავშვობაში ბიჭუნა დიდ დროს ატარებდა ბაბუის მაღაზიაში. ეს იყო იმ იშვიათ ადგილთაგანი, სადაც თეთრკანიანებსაც და შავკანიანებსაც ერთნაირად ეპყრობოდნენ. ბილმაც სწორედ იქ გამოიმუშავა ბუნებრივად რასობრივი თანასწორობის გრძნობა.

1957 წელს მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქუჩის ძალადობრივ შემთხვევებს. მაშინ ხომ შტატის გუბერნატორმა მხარი დაუჭირა იმ ფანატთა დაჯგუფებას, რომლებიც ლიტლ როკის საშუალო სკოლაში შავკანიან სტუდენტებს არ უშვებდნენ.

ჰამილტონის ამ ბიოგრაფიულ "ანგარიშში" კიდევ ბევრ საინტერესო დეტალს ვპოულობთ. ირკვევა, რომ კლინტონი უპრეტენზიო კაცია, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური მიღწევებიცა და ინტელექტიც საკმარისი აქვს. ის ნამდვილი მეგობარია, რომელსაც არასდროს ავიწყდება ავადმყოფი კლასელის მონახულება. მექალთანეა, მაგრამ ამასაც დონ ჟუანის პროპორციებით აკეთებს და თან გაცილებით უკეთ, ვიდრე პრეზიდენტი კენედი.

თუ ეს უკანასკნელი ქალებს თითქმის ყოველდღე იცვლიდა, კლინტონი მანდილოსნებთან სარეცელს იმიტომ იყოფს, რომ მათი უკეთ გაცნობის ცნობიმოსყვარეობა არ ასვენებს. ცდუნების ხერხებიც ძალზე პასიური აქვს. მოსწონს, როცა ძველ საყვარლებთან ურთიერთობას აგრძელებს და ვერ ხვდება, რატომ უნდა უშლიდეს ხელს მეგობრობას სექსი. მექალთანეობის მიზეზი არასრულფასოვნების კომპლექსი უნდა იყოს – მას სურს, რომ საზოგადოებამ მიიღოს; რომ გულის სიღრმეში აღარ ეშინოდეს, ერთი თეთრკანიანი ნაგავი ვარო.

როგორც ჩანს, რაღაც ილუზიები მომავალ ქმართან დაკავშირებით არც ჰილარის აქვს. ის ბილისგან ერთადერთ რამეს ითხოვს: რომ იქნება დედა ფუტკარი და ბილი მას საქვეყნოდ არ შეურაცხყოფს.

როგორც ასეთი ქამელეონების შემთხვევაში ხდება ხოლმე, ბიოგრაფს კლინტონის ხასიათის დანარჩენი შტრიხების რეალურად აღსაწერად ადგილი აღარ რჩება. საქმე მხოლოდ ის არ გახლავთ, რომ კლინტონმა (როგორც ბევრმა სხვამ, მაგალითად, უმცროსმა ბუშმაც) ვიეტნამში არ იბრძოლა და ეს მის ნაკლად ითვლება; რომ მეგობრებს ატყუებდა; რომ სამარცხვინოდ გაიქცა ინგლისში და იქ თავისი ნამდვილი სახე წვერითა და გრძელი თმით დაიფარა.

როდესაც არკანზასის გუბერნატორობის პირველივე ვადის დროს შეცდომები დაუშვა და ორიოდე წელიწადში პოსტის დატოვება მოუხდა, მან დამარცხება ღირსეულად მაინც არ სცნო. და როდესაც მიხვდა, რომ წააგო, ბავშვივით ალუღლუღდა.

ამ კაცის ცხოვრება სავსე იყო ტყუილებით და საოცარი რისკით. ის გუბერნატორის ოფიციალური მანქანით თავის ძმასთან, როჯერთან ერთად ორგიებზე დადიოდა და თავს კოკაინითა და თინეიჯერი გოგონებით ირთობდა (რისთვისაც როჯერი დააპატიმრეს კიდეც). ვითომ სპორტულად ცხოვრობდა, დილაობით დარბოდა, სინამდვილეში კი ჯენიფერ ფლაუერსს სტუმრობდა ხოლმე. პარალელურად ასობით სხვა გოგონასთან ჰქონდა კავშირი...

პრეზიდენტის თავგადასავლები იმდენად სულისშემძვრელად გაბედული იყო, რომ მისგან კარგი თრილერიც გამოვიდოდა.

თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, მაინც საოცარია, როგორ მიაღწია ამ უზრუნველმა კაცმა თეთრ სახლამდე და როგორ დარჩა იქ მთელი ორი ვადით. ეს ალბათ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტელევიზიის ეპოქაში სექსუალურობა ყოვლისშემძლე ძალა გახლავთ. ამერიკელები შეიძლება არც ამაყობდნენ ბილ კლინტონით, მაგრამ კაცობრიობა მაინც ტაშს უკრავს იმ საზოგადოებას, რომელშიც ნიჭიერ ადამიანს შეუძლია დაბალი სოციალური წარმომავლობის მიუხედავად, მაღლა და მაღლა იმოგზაუროს და დიდ პოლიტიკურ ოფისამდე მიაღწიოს.

# სამი ვაკანსია და ხუთი პრეტენდენტი


მცხეთელ მეკარე ოდიკაძეს საქმე არ მოჰკლებია.

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე 2 ტური დარჩა. გუშინ მე-20 ტურის მატჩებმა გამოავლინა ის სამი გუნდი, რომელმაც საუკეთესო ექვსეულში გაინაღდა ადგილი. დარჩენილ სამ ვაკანსიაზე 5 გუნდი აცხადებს პრეტენზიას. ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობა, ალბათ, ის არის, რომ ამ ხუთეულში მე-7 ადგილის ბარიერის დაძლევის ყველაზე ნაკლები შანსი აქვს საქართველოს ვიცე და ექსჩემპიონს, ქუთაისის "ტორპედოს".

ამ გუნდმა ძალიან ცუდი სტარტი აიღო და პირველი ეტაპის ფინიშზე ცდილობს ვითარების გამოსწორებას. გუშინ "ტორპედომ" მეორე ადგილზე მყოფ "სიონს" უმასპინძლა. ბოლნისური კლუბი პირველ 18 ტურში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, მეორე მარცხი კი სწორედ წინა ტურში, "დინამოსთან" მატჩში იწვნია. ზედიზედ მეორედ ფერ-ხმალის დაყრა საკმაოდ ძნელი იყო "სიონისთვის", თუმცა, ქუთაისელებმა ეს მაინც მოახერხეს და 28 ქულით მე-8 პოზიციას იკავებენ. იმისთვის, რომ "ტორპედომ" მაინც შეძლოს ექვსეულში შეღწევა, დარჩენილ ორ მატჩში უნდა გაიმარჯვოს, თუმცა, არც ეს უშველის, თუ უშუალო კონკურენტებმა არ წაიფორხილეს.

უშუალო კონკურენტების მატჩი გაიმართა ბათუმში, სადაც ადგილობრივმა "დინამომ" გორის "დილას" უმასპინძლა. 3 ქულის ბედი ერთადერთმა ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა. ფირცხალაიშვილმა მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე გაიტანა გოლი და ბათუმელთა იმედს ექვსეულში მოხვედრაზე რეალური საფუძველი შეუქმნა. აჭარლებს 29 ქულა აქვთ და მე-7 პოზიციას იკავებენ. გასათვალისწინებელია, რომ "ბათუმმა" შინ უნდა გამართოს ერთი გადადებული მატჩი ექვსეულში ადგილდაბევებულ "ვიტ ჯორჯიასთან" და თუ მოიგო, მე-5 ადგილზე გადაინაცვლებს.

თბილისის "დინამოსა" და "მცხეთის" დაპირისპირება იმით იყო საინტერესო, რომ პირველი წრის მატჩში "მცხეთამ" სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

ანგარიში ამჯერადაც "მცხეთის" ფეხბურთელებმა გახსნეს. მე-18 წუთზე ავალიანმა დრიბლინგით გაიარა "დინამოს" მთელი დაცვა და საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან ზუსტადაც დაარტყა. მიღებული გოლის შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და პირველივე ტაიმში საგრძნობი უპირატესობით დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ 3 აშკარა საგოლე მომენტიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენეს: დარასელიას და ალექსიძის ზუსტი დარტყმების შემდეგ საიმედოდ ითამაშა მცხეთელთა მეკარემ, ოდიკაძემ, წერეთელმა კი ხელსაყრელი პოზიციიდან თავად ააცილა ბურთი კარს. თუმცა, ტაიმის მიწურულს ბურდულის ზუსტი პასის შემდეგ "დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელს, სანდრო იაშვილს ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია.

მეორე ნახევარში ჩემპიონის უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, თუმცა, ეს მხოლოდ 2 გოლში გამოისახა. 69-ე წუთზე, სტანდარტული მდგომარეობის გათამაშების შემდეგ, დარასელიამ "დინამო" დააწინაურა, ხოლო 89-ე წუთზე ალექსიძემ ზუსტი თავური დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

### მე-20 ტური

| | |
|---|---|
| დინამო – მცხეთა | 3:1 |
| ბათუმი – დილა | 1:0 |
| ტორპედო – სიონი | 2:1 |
| ვიტ ჯორჯია – ოზურგეთი | 2:0 |
| თბილისი – კოლხეთი | 6:0 |
| ლოკომოტივი – სპარტაკი | 2:0 |

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 14 | 4 | 2 | 43-8 | 46 |
| სიონი | 20 | 10 | 7 | 3 | 28-15 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 10 | 5 | 4 | 22-13 | 35 |
| დილა | 20 | 10 | 3 | 7 | 28-19 | 33 |
| თბილისი | 20 | 9 | 4 | 7 | 39-25 | 31 |
| ლოკომოტივი | 20 | 9 | 4 | 7 | 30-22 | 31 |
| ბათუმი | 19 | 9 | 2 | 8 | 23-19 | 29 |
| ტორპედო | 20 | 8 | 4 | 7 | 21-23 | 28 |
| კოლხეთი | 20 | 6 | 3 | 11 | 18-29 | 21 |
| მცხეთა | 20 | 6 | 2 | 12 | 22-48 | 20 |
| სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 11-45 | 13 |
| მერცხალი | 20 | 2 | 4 | 14 | 17-41 | 10 |

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 27 ნოემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი" – "სპარტა"
15:20 ჩემპიონთა ლიგა. "ლაციო" – "ბეშიქთაში"
17:15 თავისუფალი დარტყმა
17:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:30 ჩემპიონთა ლიგა. "შტუტგარტი" – "გლაზგო რეინჯერსი"
20:25 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 საუიკენდო მატჩების ანონსი
22:30 ჩემპიონთა ლიგის დღიური
00:30 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
01:00 "FUTBOL MUNDIAL"
01:30 თავისუფალი დარტყმა
01:45 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:40 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
06:00 NBA TV. NBA- მიმოხილვა
06:30 NBA TV. დღიური

**НТВ + СПОРТ**

07:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "MIGHTY DUCKS OF ANAHEIM" - "NEW JERSEY DEVILS". პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:15, 19:50 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "MIGHTY DUCKS OF ANAHEIM" - "NEW JERSEY DEVILS"
14:40 ათენის გზაზე
15:45 "ყველაზე ძლიერი ადამიანი". ჰოლანდია. მესამე ნაწილი
16:15 "მუზარადის გარეშე"
17:15 "Power week - NHL-ის კვირა"
17:45 "თოვლის სამყარო"
18:15 "ჩქაროსნული სამყარო"
18:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:45 "მოტოვებული კვირა"
21:30 "ყველაზე ძლიერი ადამიანი". ჰოლანდია. მეოთხე ნაწილი
22:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "MIGHTY DUCKS OF ANAHEIM" - "NEW JERSEY DEVILS"
00:45 ახალი ამბები
01:00 ამერიკული ფეხბურთი. "DALLAS COWBOYS" - "MIAMI DOLPHINS". პირდაპირი ტრანსლაცია
03:55 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ავსტრალია – ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 "ოლიმპიური თამაშები"
12:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
14:00 სნუკერი. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
16:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
17:00 სნუკერი. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
22:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:00 სნუკერი. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
04:15 ახალი ამბები
04:30 04:30-დან 11:30-მდე შესვენება
04:45 ახალი ამბები

ფეხბურთი

# დარჩა ლიგა შოთას გარეშე

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ტურნირს ორი ქართველი ფეხბურთელი შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი გამოაკლდნენ. დამარცხებულის სტატუსი "რეინჯერსელმა ქართველებმა" ოფიციალურად მას შემდეგ გაიფორმეს, რაც ალექს მაკლიშის "რეინჯერსი" შტუტგარტში დამარცხდა.

შოტლანდიელებს "შტუტგარტთან" შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს და ამ შემთხვევაში ისინი მერვედფინალში გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე გერმანელი ვენზელის გოლმა ალექს მაკლიშის ოცნებას ცივი წყალი გადაასხა.

"შტუტგარტი" წელს ფენომენალურ შედეგებს აღწევს. გუნდი ახალგაზრდული და ორგანიზებულია, რაც მისი წარმატების მიზეზი ხდება. როგორც ჩანს, ფელიქს მაგათის ბიჭებს დიდი ენერგია აქვთ. ჩვენ აშკარად არ გაგვიმართლა," - განაცხადა ალექს მაკლიშმა. "რეინჯერსს" ისღა დარჩენია, "პანათინაიკოსთან" უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლოს. რაც შეეხება ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობას, ის ბოლო ტურში მანჩესტერში გაირკვევა, როცა ერთმანეთს "იუნაიტედი" და "შტუტგარტი" დაუპირისპირდებიან.

"შტუტგარტისა" და "მანჩესტერის" არ იყოს, უმტკივნეულო პროცესები, ოღონდ მადრიდის "რეალისა" და პორტუგალიის "პორტუსთვის", F ჯგუფშიც გაგრძელდა. ტურნირის დაწყებიდანვე ნათელი იყო, რომ "რეალი" და "პორტუ" ჯგუფის ფავორიტები იქნებოდნენ. ისინი მეტოქეებზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ და ეს გუშინაც დაამტკიცეს. "რეალმა" ბექჰემისა და რონალდოს გოლებით სტუმრად მოუგო "მარსელს", ხოლო "პორტუმ" მაკარტის დუბლით აკადემიურ სტილში აჯობა "პარტიზანს" და ჯგუფში მეორე, გამსვლელი ადგილი დაიბევა.

ლონდონის "ჩელსისგან" განადგურების შემდეგ რომის "ლაციოს" ჩემპიონთა ლიგაში აშკარად უიღბლობა დასჩემდა. რომაელთათვის "ბეშიქთაშის" დამარცხებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ფერნანდო ორსის გუნდმა გააწბილა გულშემატკივართა იმედი და სიმართლე რომ ითქვას, ჯგუფიდან გაღწევა ძალიან გაუჭირდება. "ჩვენ ვერ გამოვიყენეთ შანსი, რომელიც ამ შეხვედრაში მოგვეცა, ამიტომაც აღმოვჩნდით უიმედო მდგომარეობაში, - ამბობს ორსი, - საწყენია, რომ მინდორზე არ იყო სინიშა მიხაილოვიჩი, რომელიც სტანდარტული სიტუაციების ოსტატია." მოგეხსენებათ, მიხაილოვიჩი ადრიან მუტუსთვის შეფურთხების გამო 8-მატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის. ფეხბურთელმა ისღა მოახერხა, რომ მატჩის წინ გულშემატკივრებსა და თანაგუნდელებს "ჩელსისთან" თამაშის დროს ღალატისთვის მოუბოდიშა. რაც შეეხება სტამბულის "ბეშიქთაშს", გუნდი 7 ქულით მეორე ადგილზეა და ჯგუფიდან გასვლის საკმაოდ რეალურ შანსს ინარჩუნებს. უკანასკნელ ტურში თურქები ლონდონის "ჩელსის" ხვდებიან, მაგრამ უეფას გადაწყვეტილებით, მატჩი თურქეთში ტერორისტული აქტების სერიის გამო ვერ ჩატარდება.


შევჩენკოს ამ გოლმა "მილანს" პირველობა გაუნაღდა.

ერთადერთი გუნდი, რომელმაც ვადაზე ადრე გაინაღდა თავის ჯგუფში პირველობა, კახა კალაძის "მილანია". კარლო ანჩელოტის გუნდისთვის გუშინ ყველაფერი კარგად აეწყო. "მილანმა" მინიმალური ანგარიშით - 1:0 ამსტერდამში დაამარცხა "აიაქსი". ვიგოში კი "სელტასა" და "ბრიუგეს" მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა და მილანელები, რომლებმაც 10 ქულა დააგროვეს, უახლოესი მდევრის, "აიაქსისთვის", მიუწვდომელნი აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ, ტრავმის გამო კახა კალაძემ არც ამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**E ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| შტუტგარტი | 1-0 | რეინჯერსი |
| პანათინაიკოსი | 0-1 | მანჩესტერი |

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შტუტგარტი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| 2 | მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-2 | 12 |
| 3 | რეინჯერსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 4 | პანათინაიკოსი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-12 | 1 |

**F ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| მარსელი | 1-2 | რეალი |
| პორტუ | 2-1 | პარტიზანი |

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 2 | პორტუ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 10 |
| 3 | მარსელი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-10 | 3 |
| 4 | პარტიზანი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-7 | 2 |

**G ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ლაციო | 1-1 | ბეშიქთაში |
| ჩელსი | 0-0 | სპარტა |

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 2 | ბეშიქთაში | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 3 | სპარტა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 4 | ლაციო | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |

**H ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| სელტა | 1-1 | ბრიუგე |
| აიაქსი | 0-1 | მილანი |

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 3-1 | 10 |
| 2 | აიაქსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| 3 | სელტა | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 4 | ბრიუგე | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |

# თურქები საზღვარგარეთ ითამაშებენ

უეფა შეშფოთებულია იმ ტერორისტული აქტით, რაც თურქეთის დედაქალაქ სტამბულში მოხდა. ამის გამო გადაიდო ორი მატჩი - ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა "გალათასარაისა" და "იუვენტუსს" შორის და უეფას თასის მატჩი ჰაიფას "მაკაბისა" და ესპანეთის "ვალენსიას" შორის. ეს მატჩები, შესაბამისად, 2 და 11 დეკემბერს გაიმართება, მაგრამ სად? ამას უეფა მოგვიანებით გადაწყვეტს.

უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო საბოლოო ვერდიქტი, რომელიც უეფას ხელმძღვანელობამ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიტანა. ახლახან გაირკვა, რომ 9 დეკემბერს დანიშნული ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი სტამბულის "ბეშიქთაშსა" და ლონდონის "ჩელსის" შორის თურქეთში არ გაიმართება. უეფას გადაწყვეტილებით, თამაში ნეიტრალურ მინდორზე ჩატარდება.

ეს გადაწყვეტილება უეფამ სტამბულში ტერაქტების სერიის განხორციელების შემდეგ მიიღო. უეფას შტაბ-ბინაში აცხადებენ, რომ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაცია, უბრალოდ, იძულებული გახდა, მიეღო ესოდენ მკაცრი ვერდიქტი.

"ეს არ იყო ერთჯერადი ლოკალური ტერაქტი, რომელიც შეიძლება განაწყენებულმა ადამიანმა ვინმეს მოუწყოს. ეს მიზანმიმართული ტერაქტების სერია გახლდათ. ამგვარი აქტები შეიძლება ნებისმიერ დროს განმეორდეს. ჩვენ უფლება არა გვაქვს, ფეხბურთელებს საფრთხე შევუქმნათ", - ამბობენ უეფას ჩინოვნიკები. "ბეშიქთაში"-"ჩელსის" მატჩის გამართვის ადგილი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

უეფას გადაწყვეტილებამ, ფეხბურთელთა უსაფრთხოების მიზნით, ქვეყნის ორ პოპულარულ კლუბს - "გალათასარაისა" და "ბეშიქთაშს" სამშობლოში თამაში აუკრძალოს, თურქეთის სპორტული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ამ თემას არც თურქეთის ხელისუფლება განუდგა განზე.

"უეფამ მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება. ის დათმობაზე მიდის საერთაშორისო ტერორიზმის წინაშე", - განაცხადა თურქეთის ვიცე-პრემიერმა მეჰმეთ ალი შაჰინმა. მან გაიხსენა, რომ თურქეთმა მოახერხა თურქეთისა და ლატვიის გუნდების მატჩის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს მატჩი სტამბულში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ შედგა. "ჩვენ ამის გაკეთება ახლაც შეგვიძლია", - ამბობს შაჰინი.

ვიცე-პრემიერმა გულისწყრომით აღნიშნა, რომ უეფამ ბრიტანეთის მთავრობის ზეწოლის შედეგად მიიღო ეს გადაწყვეტილება. შაჰინმა არგუმენტად გამოიყენა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეკ სტროს ვიზიტი. როდესაც სტრომ მოინახულა სტამბულში ტერაქტების ადგილი, გამოთქვა ზუსტად ისეთი სურვილი, როგორი გადაწყვეტილებაც უეფამ მიიღო. შაჰინმა აღნიშნა, რომ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულაჰ გიულია საქმის ყურში ჩააყენა, რომ უეფამ თურქეთისთვის მიუღებელი გადაწყვეტილება მიიღო და ეს საკითხი თურქეთის მთავრობის უახლოეს სხდომაზე განხილვის საგანი გახდება.

საკითხს წერტილი დაუსვა თურქეთის მთავრობის თავმჯდომარემ ტაიიპ ერდოგანმა, რომელიც წარსულში არცთუ ურიგო ფეხბურთელი იყო. მან უეფას გადაწყვეტილებას უსამართლო უწოდა. ერდოგანმა გაიმეორა, რომ ეს გადაწყვეტილება ახალი ტერაქტების მოწყობის სტიმულს აძლევს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს. პრემიერმა კი აღნიშნა, რომ თურქეთის ხელისუფლება ინერტული არ იქნება და ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რათა დაიცვას თურქული კლუბებისა და მათი გულშემატკივრების ინტერესები.

ჩოგბურთი

# გულდამწვარი მარი პირსი

*მოსკოვში, ფედერაციის თასზე, მარი პირსის გამოსვლამ საჩოგბურთო სამყარო გააოცა: ბევრი თაყვანისმცემელი და სპეციალისტი არ ელოდა მისგან ასეთ კარგ თამაშს. თავად ფრანგი ქალბატონი, რომელიც ჩოგბურთში ნამდვილად ძლიერია, აღიარებს, რომ სისუსტეებიც აქვს. პირველი: ძალიან უყვარს გემრიელად ჭამა, თუ წონაში მომატების პრობლემას დიეტით წყვეტს, მეორე პრობლემას ვერაფრით აგვარებს: როგორც ყველა ნამდვილ ფრანგს, მასაც ცხელი სისხლი უდუღს და სიყვარულისგან გული აქვს დამწვარი.*

სანდრო ნავერიანი

### მოკლე კაბაზე დადებული ტაბუ

ბავშვობაში მარი ძალიან მოკრძალებული გოგონა იყო. მამამისი, ბობი გლენი, ან, უბრალოდ, ჯიმი, ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავე, ოცნებობდა, რომ მისი შვილი სპორტის ვარსკვლავი გამხდარიყო და ამიტომაც მკაცრად ზრდიდა. აუკრძალა ტოლებთან ურთიერთობა, მოკლე კაბის, ჯინსის, საერთოდ, ვიწრო ტანსაცმლის ტარება და კოსმეტიკის გამოყენება. შესაძლოა, რაღაც თვალსაზრისით, მართალიც იყო: 16 წლის მარი უკვე ეარშიყებოდა იმდროინდელი საჩოგბურთო სამყაროს წამყვან ჩოგბურთელებს გორან ივანიშევიჩს, ტომეს ენკვისტს და ანდრე აგასის, მაგრამ მისი ფლირტი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ რომელიმე მათგანის ყურადღება მიეპყრო. 1992 წლის "როლან გაროზე" მარიმ ტრავმა მიიღო. ეჭვიანმა მამამ "სენ-ტროპეს" ოქროსფერ და მზიან პლაჟზე დასასვენებლად გაუშვა. იქ მარიმ თავისი შორეული ბიძაშვილი ფაბიენი გაიცნო... სასიყვარულო იდილია ექსცენტრიულმა ჯიმი პირსმა დაარღვია - ის შვილის მოსანახულებლად იყო ჩასული. ფაბიენის მკერდზე მიკრული შვილის მნახველი ჯიმი ისე გაცოფდა, რომ ფაბიენი საშინლად ცემა... მარი და ფაბიენი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. ფაბიენი უკვე ცოლქმრულ უღელში იყო შებმული, მარი კი სხვა კაცით იყო გატაცებული.

### სიყვარული დაცვის ქვეშ

სენტროპული ინციდენტი რომ არ გამეორებულიყო, ჯიმი პირსმა ქალიშვილს პირადი მცველი აუყვანა. "ბოდიგარდი" ყოფილი მეზღვაური ტედ ბენსონი იყო. ბენსონი სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა. მარისა და მას შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მერე გრძნობებზე დაიწყეს საუბარი. სულ ცოტა ხანში კი ნამდვილი რომანი გააბეს. მარი სიყვარულმა თავდაჯერებული გახადა. 1993 წელს, პალერმოში მიმდინარე ტურნირის დროს, მამას გაუმხილა თავისი რომანის შესახებ. გადარეულმა ჯიმიმ გადაწყვიტა, ორივე მოეკლა და ღამით, დანით ხელში, შეიპარა სასტუმროში, სადაც ბენსონს და მარის ეძინათ. გზა ტედმა გადაუღობა და გვარიანადაც ცემა. ჯიმი პირსს სასტუმროდან გაპარვა და მარის ცხოვრებიდან გაქრობა მოუხდა.

### ვნება "ჰარლი დევიდსონზე"

რვა თვის შემდეგ მარი ჩოგბურთელ მერფი ჯენსენზე გადაერთო. მორიგი საჩოგბურთო ტურნირის დამთავრების შემდეგ მერფიმ მარის "ჰარლი დევიდსონით" გასეირნება შესთავაზა. "ჰარლი დევიდსონით" სეირნობა მეორე საღამომდე გაგრძელდა. ამის შემდეგ კი მარი პირსს ველარ იცნობდით. მან არა მარტო ცხოვრების, ჩაცმის სტილიც კი გამოიცვალა. ტყავის ქურთუკი, ზედმეტი რკინები ტანსაცმელზე, დახეული ჯინსები, "ბენდენა"... პირსი ნამდვილი "როკერი", "ბაიკერი" გახდა, მაგრამ მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მარი, მართლაც, ძალიან ერთობოდა. არ არის გასაკვირი, რომ პირსი 1994 წელს გამოვარდა საუკეთესო ათეულიდან. მარის ძმამ და დედამ მოსთხოვეს, ჯენსენთან ურთიერთობა გაეწყვიტა. მარიმ შეასრულა მათი მოთხოვნა.

მომდევნო წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო და საფრანგეთის ნამდვილი გმირი გახდა. ცნობილი პარიზელი "ფლეიბოები" მარის ხელს და გულს სთავაზობდნენ, მაგრამ ამაოდ. "მე ის მარი აღარა ვარ", - ეუბნებოდა თაყვანისმცემლებს მარი პირსი.


ასეთი პირსიც არსებობს.

### "მთიელი" "ზეთმენმა" შეცვალა

მარიმ დიდხანს ვერ გაძლო "ბოიფრენდის" გარეშე, ვერ გაუძლო მსახიობ კრისტოფერ ლემბერტის შარმსა და თავაზიანობას. ლემბერტმა (ცნობილია ფილმით "მთიელი". ის გამოუსწორებელი მექალთანე და თითქმის ლოთია) მარი პირსი პარიზის მერის წვეულებაზე შეამჩნია. ორი საათის შემდეგ კი ელისეს მინდვრებზე, ერთ-ერთ სასტუმროში, ვნებიან სიყვარულს მიეცნენ. დილით, როცა კრისტოფერმა გაიღვიძა, მარი პირსს "გაბი" დაუძახა. მარი გაცოფდა, მაგრამ ამ გაცოფებას არავითარი შედეგი არ გამოუღია.

თითქოს ახლა მაინც უნდა დამდგარიყო ჩოგბურთის დრო, მაგრამ "უიმბლდონზე" პირსმა გაიცნო ცნობილი ბრიტანელი მომღერალი სილი და თავიც დაკარგა. საზოგადოება და პრესა შოკში ჩავარდა: სილი იყო ორმეტრიანი ზანგი, რომელსაც სახეზე უამრავი იარა ჰქონდა. სიყვარული კი ბრმაა. მაგრამ იყო კი ეს სიყვარული? პირსი სრულიად მოწყდა სამყაროს და მხოლოდ სილზე ფიქრობდა. როდესაც ჰკითხეს, მართლა უყვარხარ თუ არაო, პასუხად აჩვენა მობილურ ტელეფონზე სილის მიერ გამოგზავნილი SMS, სადაც ეწერა: dz.dz.m.m.ch.gb.a-zo. ეს გახლავთ სიყვარულის ასახსნელი, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოკლე ტექსტური შეტყობინება. მარი საცხოვრებლადაც კი გადავიდა სილთან. სილს ბევრი სახლი ჰქონდა და პირსს შეეძლო, აერჩია, თუ სად უნდოდა ცხოვრება - რომში, ლონდონში, მაიამიში თუ ნიუ იორკში. მათი ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ერთ დღეს მარი მიხვდა, რომ ეს სიყვარული არ იყო და ეს სილს უთხრა კიდეც. "საშინლად მომექცა, მაგრამ არა უშავს. მე ის მიყვარს და ყოველთვის გამიხარდება მისი ბედნიერება", - განაცხადა სილმა.

ასეთია ჩვენი მარი პირსი, რომელიც ახლა უკვე თავის ჰოლანდიელ მწვრთნელთან, სვენ გრენვალდთან ნებივრობს. "გვიან მივხვდი, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე გვერდით მყავდა ადამიანი, რომელიც მყვარებია", - განაცხადა მარი პირსმა.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** იტალიური “რეჯინას” ხელმძღვანელობამ კლუბის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელის ლილო ფოტის პირით მთავარი მწვრთნელის დათხოვნის შესახებ განცხადება გააკეთა. “თვითონ გადადგება კოლომბა თუ ჩვენ გავათავისუფლებთ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ დღეიდან ის “რეჯინაში” აღარ მუშაობს”, – განაცხადა ფოტიმ. როგორც ჩანს, გადადგომა უკავშირდება “რეჯინას” სამარცხვინო მარცხს მილანის “ინტერთან” – 0:6.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** “ლიდს იუნაიტედის” ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ვალების გამო კლუბმა შეიძლება გადაწყვეტილება მიიღოს გარეშე მმართველობის შემოღების შესახებ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კრედიტორებთან შეთანხმება ვერ მოხერხდება. ამ დღეისთვის “ლიდსის” ვალები დაახლოებით 79 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. თუ გუნდში გარეშე მმართველობას შემოიღებენ, სავარაუდოდ, ვალების დასაფარავად გაყიდიან ყველა ღირებულ ფეხბურთელს, რომლებიც იორკშირულ გუნდში ისედაც ცოტანი არიან. მაგალითად, ანალოგიური ღონისძიება გაატარეს შოტლანდიური “დანდის” მიმართაც, სადაც ერთბაშად 20 ადამიანი გაათავისუფლეს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი თანდათან სულ უფრო მეტ ქვეყანას მოიცავს. ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ, იმ ქალაქების გარდა, სადაც ოლიმპიური თამაშები ოდესმე გამართულა, ოლიმპიური ჩირაღდანი ბრაზილიას, სამხრეთ აფრიკასა და თურქეთსაც მოივლის. თუ ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე ვიზიტი მსოფლიოს ერთიანობის სურვილს უკავშირდება, თურქეთში ვიზიტმა უნდა აჩვენოს პლანეტის მთელი მოსახლეობის ლტოლვა ტერორიზმთან ბრძოლაში.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ერაყელ სპორტსმენთა ჯგუფი რუმინეთში გაივლის მომზადებას. ბუქარესტში ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ეროვნული სპორტული სააგენტოს წარმომადგენელმა მარია მალეანუმ. მისი თქმით, როგორც ამას სააგენტო “ფონეტი” იუწყება, მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, გაისად, იანვარში, ბუქარესტში ჩავა 11 ერაყელი სპორტსმენი. ერაყელ სპორტსმენთა შორის იქნებიან მძლეოსნები, ძალოსნები, ნიჩბოსნები და მშვილდოსნები. ერაყსა და რუმინეთს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ახლახან, ეროვნული სპორტული სააგენტოს წარმომადგენლის გეორგ ბოროის ერაყში სტუმრობისას დაიდო. რაც შეეხება ერაყელ სპორტსმენთა მასპინძლობისა და მზადებისთვის გათვალისწინებულ ხარჯებს, მას რუმინეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გაიღებენ. ამასთან, ერაყელი ოლიმპიელები მზადებას ერთობლივად გაივლიან იმ რუმინელ სპორტსმენებთან, რომლებიც ათენში იასპარეზებენ.

■ ■ ■

**აფროსნობა.** 2007 წელს ვალენსიის აკვატორია პრესტიჟული რეგატის – “ამერიკის” თასის გათამაშების მასპინძელი იქნება. ეს ინფორმაცია შვეიცარიული სინდიკატის Alinghi-ის წარმომადგენლებმა გუშინ გაახმაურეს. შეგახსენებთ, რომ გასული წლის რეგატის გამარჯვებული სწორედ შვეიცარიული სინდიკატია. იმასაც დავძენთ, რომ შვეიცარიელები პირველი ევროპელები არიან, რომლებიც ასპარეზობის 152-წლიანი ისტორიის განმავლობაში “ამერიკის” თასს დაეუფლნენ. იმის გამო, რომ შვეიცარიას საზღვაო საზღვრები არა აქვს, აწ უკვე გამარჯვებულებს ტიტულის დაცვა და, შესაბამისად, რეგატის სამასპინძლო არენის არჩევა რამდენიმე ევროპულ პორტს შორის მოუხდათ. ბოლოს ესპანეთის ქალაქ სევილიაზე შეჩერდნენ. რაც შეეხება ვალენსიის კონკურენტებს, მას “ამერიკის” თასის მასპინძლობაში ეცილებოდნენ საფრანგეთის მარსელი, იტალიის ნეაპოლი და პორტუგალიის დედაქალაქის გარეუბანი კაშკაიში.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** სამეფო რბოლების ბინადარმა “მაკლარენ-მერსედესმა” თავისკენ გადაიბირა “ფერარის” აეროდინამიკის განყოფილების აწ უკვე ყოფილი პატრონი ნიკ ტომბაზისი. უცნაურია, მაგრამ ტომბაზისი ინგლისურ-გერმანულ საჯინიბოში საკუთარ მოვალეობას, ანუ აეროდინამიკის მთავარი ინჟინრის მოვალეობას მას შემდეგ შეუდგება, როდესაც სამშობლოში, საბერძნეთში, სავალდებულო სამხედრო სამსახურს გაივლის. ჯარში სამსახურს კი მომავალი წლის აპრილში დაასრულებს. “ფერარიმდე” ტომბაზისი საკუთარ ნიჭს “ბენეტონს” ახმარდა.

■ ■ ■

**კრივი.** სუპერმძიმეწონოსან ჯო მეზის, მეტსახელად “ჩვილს”, ნაკლებ პრესტიჟული NABF-ის საჩემპიონო ქამარი ჩამოართვეს. მეზის დასჯის მიზეზი ტიტულის, უფრო სწორად, ამ ფედერაციის “შუალედურ” ჩემპიონთან, ელისერ კასტილოსთან დამცავ ორთაბრძოლაზე უარის თქმაა. საქმე ის არის, რომ ჯო მეზიმ 6 დეკემბერს ვიტალი კლიჩკო-კირკ ჯონსონის დაპირისპირების ანდერქარდში კასტილოსთან ორთაბრძოლას მონტე ბარეტასთან ჩხუბი არჩია, მით უმეტეს, რომ ამ ორთაბრძოლის ტრანსლირებას ტელეკომპანია HBO აპირებს.

---

*რაგბი*

# გამარჯვებული ინგლისი მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ

ნინო პირველი

22 ნოემბერს, თბილისის დროით დღის პირველ საათზე, რაგბის არაერთი ქართველი მოყვარული ამაოდ ელოდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ავსტრალიისა და ინგლისის ნაკრებებს შორის. საქართველოში იმ დღეს პოლიტიკური დაძაბულობა კულმინაციას აღწევდა და ტელეკომპანია “იმედმაც” პირდაპირ ეთერში რაგბის ჩვენებას პარლამენტის სხდომათა დარბაზის ჩართვა ამჯობინა. საქართველოში “ვარდების რევოლუცია” მოხდა, ავსტრალიაში კი ინგლისელებმა მასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული წაართვეს. რაგბის სამყაროს ახალი გამარჯვებული მოევლინა.

იმ შაბათს ინგლისში თავსხმა წვიმა მოვიდა, მაგრამ უამინდობის მიუხედავად, მატჩის შემდეგ ინგლისელებმა მაინც გრანდიოზულად იზეიმეს ნაკრების დიდი წარმატება. შაბათ დილით ინგლისური ქალაქების ქუჩებში მნიშვნელოვნად იკლო სატრანსპორტო მოძრაობამ, ინგლისელები ან სახლში უყურებდნენ თამაშს, ან რომელიმე პაბში იყვნენ მეგობრებთან ერთად. იმ დღეს ყველა პაბი დილის შვიდ საათზე გაიღო. თამაში უაღრესად დაძაბული იყო და უამრავი რამით ჰგავდა შორეული 1966 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს, როცა ინგლისელებმა მაშინდელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნულ გუნდს მოუგეს. მაშინაც ანგარიში მეტოქემ გახსნა. პირველი გოლი “უემბლიზე” გერმანელებმა გაიტანეს, მაგრამ ინგლისის ნაკრებმა მალე შეძლო წონასწორობის აღდგენაც და სტუმრების კარის მეორედ დალაშქვრაც. მეორე ტაიმის ბოლო წუთებიც საოცრად ჰგავდა 66 წლის საფეხბურთო ფინალს - მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე ავსტრალიელებმა ანგარიში გაათანაბრეს, სწორედ ისე, როგორც გერმანელებმა... მაშინაც დამატებითი დრო დაინიშნა და ინგლისი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში, წლეულს კი ბრიტანელებმა პირველად იმარჯვეს რაგბიში. ინგლისის ნაკრები 1991 წელსაც გავიდა მუნდიალის ფინალში, მაგრამ თორმეტი წლის წინ ავსტრალიის ნაკრები უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე ახლა და 12:6 მოუგო საკუთარ კედლებში მოთამაშე ინგლისელებს...

### “ეს ჩვენი გამარჯვებაა და არა ევროპის!”

ავსტრალიის ნაკრების დამარცხების შემდეგ ინგლისში საყოველთაო ზეიმი დაიწყო. ყველა ეიფორიამ მოიცვა. ხალხი ერთმანეთს ულოცავდა დიდ წარმატებას. გაზეთები მორაგბეებს გმირებს უწოდებდნენ. ეს დღე ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი იყო ინგლისელებისთვის. “ეს ყველაზე დიდებული დღეა 1966 წლის ფინალის შემდეგ. ეს შეხვედრა საოცრად ჰგავდა იმ დიდ მატჩს უემბლიზე, როცა ჩვენ გერმანელები დავამარცხეთ. მსგავსება იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ შიშიც კი მიპყრობს, ამ საქმეში ჯადოქრების ხელი ხომ არ ურევია-მეთქი. ავსტრალიაში ყველაფერი უცვლელად გამეორდა”, - წერდა “დეილი მეილის” კორსეპონდენტი. ინგლისელები ზეიმობდნენ - მათ ყველას აჯობეს, უძველესი მტერი, საფრანგეთის ნაკრები, ნახევარფინალში გაანადგურეს, ავსტრალიელებზე კი შური იძიეს 1991 წლის მარცხის გამო. ისინი საუკეთესონი იყვნენ. ინგლისელთა ნაციონალური სიამაყე სასტიკად შეილახა, როცა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა კლაივ ვუდვორდის გუნდის წარმატება საერთო ევროპულ გამარჯვებად მონათლა. როგორ თუ “ვიღაც ფრანგი” ტიტულში შეგვეცილაო, აღშფოთდნენ ინგლისელები და დამარცხებულ ფრანგს შეუთვალეს, სისულელეების როშვას შეეშვიო. “ეს არ არის საერთო ევროპული წარმატება, ეს არ არის გამარჯვება ევროპისთვის ან ევროკავშირისთვის, ეს ინგლისის გამარჯვებაა. ჟაკ შირაკს ურჩევნია, საკუთარ ნაკრებს მიხედოს”, - კატეგორიული იყო კონსერვატორი დეპუტატი ჯერალდ ჰოვარდი. ინგლისელები არ აპირებენ, ეს გამარჯვება ვინმეს გაუზიარონ.



ჯონი ვილკინსონი, მარტინ ჯონსონი და მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი მსოფლიო თასით ხელში.

### “აბრძანდით, სერ კლაივ!”

“ღმერთი ნამდვილად ინგლისელია!” - ხუმრობდნენ ბრიტანელები ავსტრალიელთა დამარცხების შემდეგ. ინგლისელ გამარჯვებულებს კი, თუ წმინდანებად არ შერაცხავენ, არისტოკრატიულ წოდებას მაინც აუცილებლად ანიჭებენ ხოლმე. ასე მოხდა 1966 წელს. როცა ინგლისის ნაკრები ჩემპიონი გახდა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დედოფალმა ელიზაბეტ მეორემ ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს, ალფ რამსეის რაინდის საპატიო ტიტული უბოძა. ახლა კლაივ ვუდვორდის ჯერია. კაცი, რომლის ხელმძღვანელობითაც ინგლისი პირველად გახდა ჩემპიონი რაგბიში, ნამდვილად იმსახურებს კეთილშობილის ტიტულს. სულ მალე, ალბათ, კლაივ ვუდვორდიც დაიჩოქებს დეოდოფლის ფერხთით და თავდახრილი მოისმენს ელიზაბეტ მეორის ბაგეთაგან წარმოთქმულ სიტყვებს: “აბრძანდით, სერ კლაივ!”

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ გამარჯვებას ერთი დიდი ნაკლიც აქვს. რაკი ყველა 1966 წლის წარმატებაზე ლაპარაკობს, არ შეიძლება, არ აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: 1966 წლის შემდეგ ინგლისის საფეხბურთო ნაკრებს აღარ მოუპოვებია მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ეს წარმატება პირველი და უკანასკნელი იყო. ინგლისში დღესაც ელიან იმ დღეს, როცა მათი ნაკრები კიდევ ერთხელ გახდება ჩემპიონი. ნუთუ რაგბიშიც ასე მოხდება?

---

*კალათბურთი*

# საბასი - სიცოცხლეშივე ლეგენდა

*იმ მომენტიდან, რაც არვიდას საბონისმა ვილნიუსის “ჟალგირისთან” კონტრაქტი გააფორმა, გაჩნდა ჭორები, რომ ნაცონალური საკალათბურთო ასოციაციის გუნდებმა მასზე ნადირობა დაიწყეს. კერძოდ, ლეგენდარული ცენტრის გადაბირება “დალას მავერიქსს”, მის ყოფილ გუნდ “პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსს” და “ლოს-ანჯელეს ლეიკერსს” უნდოდათ, მაგრამ საბონისმა ყველა ჭორს თავად მოუღო ბოლო და ჟურნალისტებს სიცილით განუცხადა: “შემომხედეთ, არც ფეხები მაქვს და ჩემი ტანიც ნაწილებად იშლება”. პრინციპში, თავიდანვე ცნობილი იყო, რომ საბონისი ამერიკაში არ დაბრუნდებოდა, მან ხომ საქვეყნოდ განაცხადა: “მე “ჟალგირისში” დავიწყე კარიერა და მინდა, რომ ამავე გუნდში, 11-ნომრიანი მწვანე მაისურით დავასრულო. მე შემეძლო, დავრჩენილიყავი პორტლენდში და კიდევ ერთი ან ორი სეზონი იქ გამეტარებინა, მაგრამ “ჟალგირისისთვის” უფრო მეტის გაკეთება შემიძლია”. ის, მართლაც, ბევრს აკეთებს თავისი გუნდისთვის. კაცი, რომელსაც ფეხები არა აქვს და ტანიც ნაწილებად ეშლება, ევროლიგაში mvp-ის ერთ-ერთი პრეტენდენტია. გთავაზობთ ინტერვიუს “საბასსთან” (საბონისის მეტსახელი-რედ.), რომელიც ლიტვურმა საკალათბურთო ჟურნალმა “კრეფსინისმა” გამოაქვეყნა.*

სანდრო კუპრავა

**- ყველაზე ხშირად რა გახსენდებათ ამერიკაში გატარებული წლებიდან?**

- ბევრი რამ. ძალიან საინტერესო იყო პირველი სეზონი (1996-97). 30 წლის ვიყავი და მეგონა, ყველაფერი ვიცოდი, ყველაფერი შემეძლო. მაგრამ უცებ ახალბედად ვიგრძენი თავი. ყველაფერი გაუგებარი იყო - ახალი ქვეყანა, ახალი სახეები, ახალი კალათბურთი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სხვა პლანეტაზე მოვხვდი.

ხშირად ვიხსენებ იმ პლეი-ოფს, როდესაც “ლეიკერსს” ვეთამაშეთ (დასავლეთ კონფერენციის ფინალი, 2000წ.-რედ.). მეშვიდე მატჩში, უკანასკნელ მეოთხედში, 15 ქულას ვიგებდით, მაგრამ დავმარცხდით. იმდენად საწყენი მარცხი იყო, რომ დღემდე მახსოვს. ჩვენ მხოლოდ ანგარიში უნდა შეგვენარჩუნებინა და პლეი-ოფის ფინალშიც მოვხვდებოდით. იქ კი, ვინ იცის, იქნებ ჩემპიონის ტიტულიც მოგვეპოვებინა.

**- თქვენ თითქმის ყველა საკალათბურთო ტიტული მოიპოვეთ: ოლიმპიური ოქრო, ბრინჯაო (ორჯერ), მსოფლიო ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, ინდივიდუალური ჯილდოები... მაგრამ, ალბათ, ვეღარასოდეს მოირგებთ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის ბეჭედს.**

- ვფიქრობ, ჩემზე მეტად თქვენ, ჟურნალისტებს გინდათ, რომ ამ ტიტულის მფლობელი გავხდე (იცინის). მე არ ვარ ამგვარი ნივთების კოლექციონერი. წარსულში მქონდა რაღაც ოცნებები, მაგრამ როდესაც რაიმეს მიაღწევ, საკუთარ თავს ეუბნები: “მორჩა. საქმე გაკეთებულია. ახლა დაწყნარდი და ცხოვრებით დატკბი.” მაგრამ გადის რაღაც დრო და ისევ იწყებ ფიქრს: “იქნებ ღირს, ესეც ვცადო?” და ჩნდება ახალი მიზანი, რომლის მისაღწევადაც ყველაფერს აკეთებ. ასე გადის მთელი ცხოვრება -ერთი მიზნიდან მეორემდე.

**- საბონისს კიდევ დარჩა რაიმე ოცნება?**

- რა თქმა უნდა. მაგრამ თქვენ არ გეტყვით (იცინის).

**- ახლა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში სულ უფრო მეტი ევროპელი მიდის, მაგრამ როდესაც თქვენ მიხვედით, მაშინ საქმე სხვაგვარად იყო - ევროპელები ძალიან ცოტანი იყვნენ.**

- პირველ ევროპელებს, ვინც ნაციონალურ საკალათბურთო ლიგაში მივიდნენ, ძალიან გაუჭირდათ. დრაჟენ პეტროვიჩი, შარუნას მარჩილონესი, ტონი კუკოჩი - ეს კალათბურთელები ევროპაში ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ, მაგრამ როდესაც nba-ში გადავიდნენ, კარგა ხანს სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. როგორ უნდა დაამტკიცო შენი კლასი, როდესაც სკამზე ზიხარ? ამიტომ მათ ძალიან გაუჭირდათ. ისინი იყვნენ პიონერები, რომლებმაც დანარჩენ ევროპას გზა გაუკვალეს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციისკენ. ამის შემდეგ ბევრმა ევროპელმა დააკაკუნა nba-ის კარზე. მხოლოდ ამის მერე დაიწყეს ამერიკული კლუბების მენეჯერებმა და მწვრთნელებმა იმაზე ლაპარაკი, რომ ევროპელებიც ისევე კარგად თამაშობენ კალათბურთს, როგორც ამერიკელები.

**- თქვენ შვიდი წელი იცხოვრეთ აშშ-ში და თამაშობდით “ბლეიზერსის” რიგებში. არ გიფიქრიათ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ სამუდამოდ ამერიკაში დარჩენილიყავით?**

- მე მქონდა სახლი პორტლენდში, მაგრამ ეს სახლი ძალიან შორს იყო ლიტვისგან. ეს ფაქტი არც მე და არც ჩემ ოჯახს არ მოგვწონდა. ახალი თაობა სხვანაირად ფიქრობს. ისინი სულ ახალგაზრდა ასაკში მიდიან იქ და ადვილად ეწყობიან ცხოვრების ახალ სტილს. მაგალითად, ჟიდრუნას ილგაუსკასი. ჩავიდა ამერიკაში, მალე შეეჩვია ყველაფერს და ახლა თავს მშვენივრად გრძნობს. მე ასე არ შემიძლია. შვიდი წელი ვიცხოვრე პორტლენდში, მაგრამ იქაურ კომფორტს მაინც ვერ შევადარებ იმას, რასაც ლიტვაში ვგრძნობ.




მეორე მიზეზი კი ოჯახია. მე და ჩემი ცოლი წლის უმეტეს დროს ესპანეთში ვატარებთ, იმიტომ რომ იქ ჩვენი შვილები სწავლობენ. როდესაც კაუნასში და ევროპაში ვთამაშობ, თავისუფლად შემიძლია შვილებთან ჩასვლა და მათი მონახულება. როცა ამერიკაში სეზონში 80-90 თამაშს ვატარებდი, ამის საშუალება არ მქონდა. შვილებთან შეხვედრაზე მხოლოდ უნდა მეოცნება.

**- ძნელია, შევაფასო თქვენი გავლენა “ჟალგირისსა” და, საერთოდ, ლიტვურ კალათბურთზე. თქვენს ფანებს კაუნასის სპორტის სასახლის წინ თქვენი ძეგლის დადგმაც კი უნდათ, როგორც ეს მაიკლ ჯორდანს გაუკეთეს ჩიკაგოელებმა.**

- ისინი ძალიან დიდხანს უყურებენ ტელევიზორს. ალბათ, ამიტომ მოუვიდათ ეს იდეა (იცინის).

**- რა მიზნები აქვს საბონისს და “ჟალგირისს” ამ სეზონში?**

- ლიტვის რეგულარული ჩემპიონატი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ეს “ჟალგირისის” ყოველწლიური მიზანია. ევროპაში? ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ვნახოთ...

---

*ფორმულა 1*

# კვამლი ავსტრალიამდე იგრძნობა

გიგა გურასაშვილი

სამ თვეზე ცოტა მეტი რჩება სამეფო რბოლების ახალ სეზონამდე, მაგრამ მსოფლიოს ყველაზე თავბრუდამხვევი შეჯიბრების წარმომადგენლები აქედანვე შეუდგნენ მზადებას. 1 მარტს ავსტრალიის გრან-პრი სტარტს მისცემს ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც გაცილებით რთული და მომთხოვნი იქნება თითოეული საჯინიბოსთვის. მეტიც, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა უკვე დაიწყო. თუმცა, 2004 წლის სეზონისთვის ჯერ მხოლოდ ცხრა საჯინიბო შეუდგა მზადებას. თუ ერთნი ახალ ბოლიდებს ცდიან (ასეთები, რა თქმა უნდა, მდიდარი საჯინიბოები არიან), მეორენი, შედარებით მცირებიუჯეტიანები, ძველის, ახლა უკვე მოდიფიცირებული ბოლიდის ჭკუაზე მოყვანას ცდილობენ. მართალია, ცხრა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა სრული რაოდენობა არ გახლავთ, მაგრამ მალე მათ სხვებიც შეუერთდებიან. ვალენსია, ბარსელონა და პოლ რიკარი - აი, ის ტრასები, სადაც ბოლიდები და პილოტები ერთობლივ ტესტირებებს გადიან.

ყოველი გუნდი და პილოტი ძალას არ იშურებს იმისთვის, რომ ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს. მიხაელ შუმახერი ჯერჯერობით ტესტირებებისგან თავს იკავებს. ის იანვრიდან შეუდგება მუშაობას.

ბარსელონაში, ტესტირების პირველ დღეს, “ფერარის” საცდელ რბოლებს სამი ტესტ-პილოტი ატარებდა. ბარიკელო სტარტზე არ გასულა. მსოფლიო ჩემპიონებმა ყველაზე მეტი ყურადღება საბურავებს, ძრავასა და ელექტრონიკას დაუთმეს. რბოლებში პირველი-მეორე ადგილები, შესაბამისად, ლუკა ბადოერსა და ფელიპე მასას დარჩათ. ბურტის კი არ გაუმართლა. ტექნიკური პრობლემების გამო მან მხოლოდ 36 წრის გავლა შეძლო და მეხუთე ადგილი დაიკავა.

ბარსელონას ტრასაზე საკუთარ ბოლიდს ცდიდნენ ზაუბერელებიც, რომლის შეფობაც ტესტირებების შემდეგ კმაყოფილი ჩანდა იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელას პილოტაჟით. დებიუტი წარმატებული გამოდგა. იტალიელმა 98 წრე გაიარა და მესამე ადგილით დაასრულა რბოლა.

“შედეგით კმაყოფილი ვარ. თითქმის 100 წრე გავიარე, რაც ბარსელონასთვის ბევრია”, - კმაყოფილება ეტყობოდა ფიზიკელას.

ბარსელონაშივე გამოცადეს ბოლიდები BAR-ის წარმომადგენლებმა. მათ პირველად მოირგეს “მიშელინის” საბურავები. ახალი საბურავებით იაპონელმა ტაკუმა სატომ უპრობლემოდ გაირა 45 წრე (მე-4 ადგილი). სატოს თანაგუნდელმა ჯეისონ ბატონმა კი მხოლოდ 5 წრის გავლა შეძლო – ტექნიკამ უმტყუნა (მე-6 ადგილი).



გაისად ასეთ სურათს ხშირად ვნახავთ.

კვამლისა და რეზინის სუნი სევილიაშიც იგრძნობოდა. ტესტირებების პირველი დღის მთავარი მოვლენა “მაკლარენ-მერსედესის” ცნობილი “ფანტომის” MP4-18-ის ბაზაზე შექმნილი ახალი ბოლიდის - MP4-19 დებიუტი გახლდათ, რომლის საჭესაც ბრიტანელი დევიდ კულჰარდი მართავდა. მაკლარენელებისთვის საუკეთესო წრე თვითმიზანი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, რბოლის დასრულების შემდეგ ასე ირწმუნებოდნენ. კულჰარდმა კი 47 წრე გაიარა და მეცხრე შედეგი აჩვენა. მთლიანობაში საჯინიბოს წარმომადგენლები კმაყოფილნი დარჩნენ. თუმცა, როგორც თვითმხილველები ამბობენ, საცდელ რბოლას ტექნიკური პრობლემის გარეშე მაინც არ ჩაუვლია – ძრავამ უმტყუნათ. მიუხედავად ამისა, პირველი შთაბეჭდილებით კულჰარდი დადებით შეფასებას იძლევა: “მანქანა კარგად რეაგირებდა. მას კარგი პოტენციალი აქვს, უფრო სწორად, MP4-17D-თან შედარებით ახალი ბოლიდი წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია”.

“მერსედეს-ბენცის” ახალი ძრავა – FO 110Q, წინამორბედისგან განსხვავებით, ორჯერ უფრო სიცოცხლისუნარიანი და უფრო კომპაქტურიცაა.

რაც შეეხება ალექს ვურცს, მას, ბრიტანელისგან განსხვავებით, განსხვავებული მისია აკისრია. კერძოდ, ვურცმა ერთმანეთს უნდა შეადაროს MP4-17D და MP4-19. ჯერჯერობით კი MP4-17D-ით ვურცმა 53 წრე გაიარა და რბოლა მე-4 შედეგით დაასრულა. მასზე წინ (ანუ პირველი სამი ადგილი) არიან “უილიამსის” წევრები ხუან-პაბლო მონტოია, რალფ შუმახერი და მარკ ჟენე. მათ განსაკუთრებული არაფერი შემთხვევიათ. “უილიამსის” საჯინიბოს გულისყური ახალი ბოლიდის – FW25-ისკენაა მიმართული. მათთვის დრო სწრაფად გარბის. ეტყობა, 2003 წლის სეზონის დასაწყისშივე ქარს გატანებულმა გამარჯვებებმა “უილიამსის” ხელმძღვანელობაზე წარუშლელი კვალი დატოვა. ასე რომ, მაქსიმალურად მობილიზებულნი ჩანან.

სევილიის ტრასაზე გასული “რენოს” საჯინიბო, ალბათ, ერთადერთია, რომელიც არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მას შემდეგ, რაც მაიკ გასკოინი “ტოიოტაში” (“ტოიოტა” მეხუთე გუნდია, რომელმაც ახალი ბოლიდის პრეზენტაციის თარიღი გამოაცხადა. ახალი ბოლიდის TF104-ის წარდგენის ცერემონია 17 იანვრისთვისაა დათქმული.-რედ.) გადაბარგდა, ხოლო ჯონ აილი - “ფერარიში”, ფაქტია, ეს ყველაფერი უკვალოდ არ ჩაივლის. მიუხედავად ამისა, ფრანგული საჯინიბო ყველაფერს გაიღებს იმისთვის, რომ უმაღლესი გუნდის წოდება შეინარჩუნოს. ამასობაში “რენოს” პილოტებმა ფრანკ მონტანიმ და იარნო ტრულიმ, შესაბამისად, მეხუთე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს. იმავე ტრასაზე მეექვსე ადგილი დაიკავა “იაგუარის” პილოტმა ავსტრალიელმა მარკ უებერმა. “იაგუარის” საუკეთესო ახალბედა კი აღმოჩნდა ავსტრიელი კრისტიან კლინი, რომელმაც მერვე შედეგი აჩვენა. მესამე იაგუარელმა, ამერიკელმა თაუნზენდ ბელმა მე-10 ადგილი დაიკავა, ხოლო ტოიოტელმა რაიან ბრისკომ გამომცდელთა ნუსხა დახურა.

## ფრანჩესკო პეტრარკას სიყვარული



ფრანჩესკო პეტრარკა. XIV საუკუნის მინიატურა

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელ პოეტს **ფრანჩესკო პეტრარკას** (1304 - 1374) სამღვდელო ხარისხი ჰქონდა, შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს დაკავებულა ღვთისმსახურებით. იგი ეგრეთ წოდებული ბენეფიციუმით სარგებლობდა, ანუ, ჩვენთვის უფრო ახლობელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ერთ სამრევლო ეკლესიას უჯდა წილში. თანაც არასოდეს აურიდებია თავი ამქვეყნიურ სიამეთათვის. ამ სიამეთაგანაც ყოველთვის ყველაზე დახვეწილს ირჩევდა: უგანათლებულეს საზოგადოებას, ყველაზე გემრიელ საჭმელებს, ნატიფ შესამოსელს. სატრფოც ჰყავდა, რომელმაც ორი უკანონო, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, ბუნებრივი შვილი გაუჩინა.

ეს ყველაფერი არც იმაში აბრკოლებდა, რომ ეკლესიაში კორუფცია ემხილებინა და პაპის რეზიდენციის ავინიონიდან რომში დასაბრუნებლად ებრძოლა. ამ უკანასკნელი თვალსაზრისისთვის ორი გავლენიანი იტალიელი კარდინალის, ძმების, ჯოვანი და ჯაკომო კოლონების მფარველობა და საჩუქრებიც დაიმსახურა.

მღვდელი და ჰედონისტი, ზნეობის მოძღვარი და ორი უკანონო შვილის მამა ისტორიას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სულიერი სიყვარულის მგოსნადაც შემორჩა. საყოველთაოდაა ცნობილი მისი ტრფობა ვინმე **ლაურას** მიმართ. რეალური იყო თუ არა პეტრარკას მუზა, რომელსაც პოეტმა ასობით შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა? ამ საკითხზე პასუხი დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო. კამათს ახლაც აგრძელებენ განსაკუთრებული ორიგინალურობისკენ მიდრეკილი მკვლევრები.

მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ ვირგილიუსის "ენეიდის" ხელნაწერზე, რომელიც პეტრარკას ეკუთვნოდა, დღეს კი მილანის სახელმწიფო ბიბლიოთეკაშია დაცული, თვით პოეტის ხელითაა ჩაწერილი ლაურას შესახებ ზუსტი ცნობები. კერძოდ, აქ აღწერილია მასთან შეხვედრის გარემოებები 1327 წელს სააღდგომო წირვაზე ავინიონში, წმიდა კლარას ეკლესიაში. 1348 წლის ამავე დღეს, ზუსტად ამავე საათს ლაურა გარდაიცვალა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ისტორიკოსებმა დაასკვნეს, რომ საქმე ეხება მარკიზ **დე სადის** მეუღლეს, ლაურას, რომლის შორეული შთამომავალმა, XVIII საუკუნეში მცხოვრებმა მარკიზმა დე სადმა თავისი სახელი დაანათლა სადიზმად ცნობილ ფსიქოლოგიურ თუ კულტურულ ფენომენს.

მაგრამ თვით ლაურა, თუ პეტრარკას პოეზიით ვიმსჯელებთ, არა თუ სადიზმის, არანაირი სხვა მანკიერების ჩრდილსაც კი არ ატარებდა. ტრადიციის თანახმად მისი სახე შემორჩა ფლორენციის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში შენახულ მინიატურაზე, რომლის ავტორობასაც იტალიელ მხატვარს, სიმონე მარტინის მიაწერენ: მშვენიერი სახე, ნაზი პროფილი, მორცხვი და მოკრძალებული. არ ვიცით, იყო თუ არა ის გათხოვილი მაშინ, როცა პეტრარკამ პირველად იხილა ეკლესიაში. სამაგიეროდ, ვიცით, რომ შემდგომში თორმეტი შვილის დედა გახდა. დასკვნა ერთადერთია: ოცდაერთი წლის განმავლობაში ის ხან ორსულად იყო, ხანაც ძუძუს აწოვებდა, ასე რომ სურვილიც რომ ჰქონოდა, ვერ მოიცლიდა მასზე შეყვარებული პოეტისთვის.

თუმცა ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ხორციელი ვნებები მაინცდამაინც არც პეტრარკას აწუხებდა. მისი სიყვარული იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ერთგვარი პოეტური პირობითობა უფრო იყო. პეტრარკას ისევე შეუყვარდა ლაურა, როგორც დანტეს — ბეატრიჩე. იმხანად პროვანსში, სამხრეთ საფრანგეთის ამ მხარეში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ტრუბადურთა სულისკვეთება. თვით პეტრარკა იგონებს, რომ ავინიონში ყველა წერდა ლექსებს, ყველა მგოსნობდა, თეოლოგებიც კი. საკვირველი იყო, რომ ძროხები ლექსად არ ზმუოდნენ.

პოეზიისთვის კი წინასწარ შემუშავებული სქემის მიდევნა იყო საჭირო, რაც ნომინალური სატრფოს არჩევას გულისხმობდა. ეს სატრფო იყო პოეტური პროდუქციის შთამაგონებელიც და მთავარი მოქმედი პირიც. ამ სქემას პეტრარკაც დამორჩილდა და თავისი "კანცონიერე", ანუ ლექსთა სრული კრებული მარკიზა ლაურა დე სადს მიუძღვნა. არც კი ფიქრობდა, რომ ეს პოეზია მისთვის უკვდავების საწინდარი იქნებოდა: თვითონ აგდებით უწოდებდა თავის ლექსებს "ხალხურ ენაზე დაწერილ ნაწყვეტებს". თუმცა ეს დაუდევრობაც პოზა იყო, რადგან პეტრარკამ მრავალჯერ გადაწერა თავისი იტალიური სონეტები და კანცონები, მრავალი შესწორება შეიტანა მათში და არასოდეს შეუწყვეტია მათ ტექსტზე მუშაობა.

მაინც არასოდეს უფიქრია, რომ ისტორიას პოეტად დარჩებოდა. თავი დიდ გრამატიკოსად და ლათინისტად მიაჩნდა. ლაურასადმი მიძღვნილი ორას შვიდი სონეტი მისთვის მხოლოდ გასართობი იყო ოცი წლის განმავლობაში. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ამ შედევრის გამო ლაპარაკობენ მისი სიკვდილიდან შვიდასი წლის შემდეგ პეტრარკაზე როგორც პოეტზე.



პეტრარკას კანცონიერეს ხელნაწერის ერთი გვერდი

# ერთი სათამაშო დიქტატორის ამბავი

1303 წელს წარმოიქმნა მწვავე კონფლიქტი საფრანგეთის მეფეს, **ფილიპე მშვენიერსა** და რომის პაპს, **ბონიფაციუს VIII** შორის. ეს თავისთავად ძალიან საინტერესო ისტორიაა და ცალკე განხილვას იმსახურებს. მაგრამ ამჯერად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კონფლიქტმა, რომელიც მეფის გამარჯვებით დასრულდა, ღრმა კვალი დაამჩნია მაშინდელ ევროპას...

ბონიფაციუს VIII-ის სიკვდილის შემდეგ წმიდა საყდარი **ბენედიქტე IX**-მ დაიჭირა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა თავისი წინამორბედის ხსოვნის პატივისცემას. მაგრამ მისი ხანმოკლე პონტიფიკატიც დასრულდა და მაშინ იჩინა თავი ფარულმა დაძაბულობამ: კონკლავი, ანუ ახალი პაპის ასარჩევად შეკრებილ კარდინალთა სხდომა თერთმეტი თვით გაიწელა. ბოლოს და ბოლოს პაპის ტიარა თავზე ბორდოს მთავარეპისკოპოსმა, **ბერტრან დე გომ** დაიდგა. იგი კარდინალიც კი არ ყოფილა, მაგრამ მხოლოდ იმ ნიშნით აირჩიეს, რომ არავის აღიზიანებდა, რადგან მეფისა და ეკლესიის კონფლიქტში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა.

ეს შთაბეჭდილება მაცდური აღმოჩნდა: ბერტრან დე გომ, რომელსაც უკვე პაპი **კლიმენტ V** ერქვა, უარი თქვა რომში ჩასვლაზე და 1309 წლისთვის პაპთა რეზიდენციად ფრანგული ქალაქი ავინიონი დასახა.

კლიმენტ V მემკვიდრე, **იოანე XXII** იმიტომ აირჩიეს, რომ 72 წლისა იყო და, როგორც იმედოვნებდნენ, დიდხანს ვერ გაძლებდა. ეს შთაბეჭდილებაც ასევე მცდარი აღმოჩნდა და იოანე XXII-ის პონტიფიკატი 18 წელი გაგრძელდა: პაპმა 90 წლის ასაკს მიაღწია. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა. მათგან ყველაზე მძიმე იყო საიმპერატორო ტახტისთვის ბრძოლაში ჩარევა. ამ ტახტს ერთმანეთს ეცილებოდნენ ბავარიის ჰერცოგი **ლუდვიგი** და **ფრიდრიხ ჰაბსბურგი**. პაპმა სრულიად ამაო და დამღლელი ომი გაუმართა ლუდვიგ ბავარიელს. კათოლიკური ეკლესია ნელ-ნელა კარგავდა პოლიტიკურ ავტორიტეტს და გზას უხსნიდა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების და, შესაბამისად, ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას...

■ ■ ■

ამასობაში კი მსოფლიო დედაქალაქის, რომის მცხოვრებლებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ იმის მისახვედრად, რომ წმიდა საყდრის ავინიონში გადაბარგებასთან ერთად მათ ხელიდან გამოეცალათ ცხოვრების პრაქტიკულად ერთადერთი სახსარი. მართალია, ეკლესია ცუდად იყენებდა ფულს, მაგრამ ევროპის თითქმის ყველა კუთხიდან გამოწოვილი ეს ფული ბევრი იყო. რა თქმა უნდა, არავინ ფიქრობდა სკოლების, საავადმყოფოების დაარსებაზე, ქუჩებისა და გზების კეთილმოწყობაზე, მაგრამ ეკლესია ხშირად არიგებდა მოწყალებას და რომის მოსახლეობის დაბალი ფენები ამით საკმაოდ განებივრებული იყვნენ. ასევე ნებივრობდნენ მაღალი ფენებიც, ოღონდ მათ შემთხვევაში მოწყალებას უფრო ქრთამი ეთქმოდა. აშკარაა, რატომ ჰქვია მატერიალური დოვლათის განკარგვის ამ წესს კორუფცია (ლათინურად, გახრწნა) — ის ხრწნის ადამიანის არა მარტო ზნეობას, არამედ გონებასა და ქმედითუნარიანობას. პაპის გარეშე რომი მართლაც რომ დაგლახაკდა.

რომს მოაკლდა ერთ-ერთი მთავარი შემოსავალი — ტურიზმი. აბა, იმ დროს ვინ ჩამოვიდოდა ისეთ ადგილას, რომელიც უკვე აღარაფრით გამოირჩეოდა და არაფრის დედაქალაქი არ იყო? აქ ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ამპარტავანი არისტოკრატები და კონკიაჟღარუნა პროლეტარები — ერთნაირად დაობლებულნი და გასაცოდავებულნი. ორივენი ერთნაირი უძლურებით მოცულნი მდუმარედ შესცქეროდნენ, როგორ ნთქავს ხანძარი პაპების ყოფილ უმდიდრეს სასახლეს ლატერანის ბორცვზე: რომში აღარ იყვნენ მეხანძრეები.

ამასთან ერთად იხრწნებოდა რომის ირგვლივ განლაგებული მსხვილი საეკლესიო ფეოდებიც, რომელთა ადმინისტრატორები სარგებლობდნენ პაპის სიშორით და დღითი-დღე სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას იძენდნენ. სულ უფრო მეტად იბღინძებოდნენ არისტოკრატიული გვარები: **მალატესტა**, **ორდელაფი**, **მონტეფელტრო**, **ვარანო**, **ტრინჩი**. რომის კონსულებსა და სენატორებს პომპეზური ტიტულები ამძიმებდათ, მაგრამ რეალური ძალაუფლება კანალიზაციის გასარემონტებლადაც არ ჰყოფნიდათ. იტალიაში მიზიდულობის ვექტორმა სხვაგან გადაინაცვლა: ნეაპოლში, ვენეციაში, გენუაში, ფლორენციაში.



კოლა დი რიენცო კაპიტოლიუმის მოედანზე თავს სენატორად აცხადებს

ძველი დედაქალაქი წერილს წერილზე უგზავნიდა ჯერ კლიმენტ V-ს, მერე კი იოანე XXII-ს და დაბრუნებას ევედრებოდა. მაგრამ ეს ფრანგი წარმოშობის პაპები, რომლებიც სამშობლოში თავს მშვენივრად გრძნობდნენ, ან ცალყბად პასუხობდნენ, ან სულაც დუმილით უვლიდნენ გვერდს ამ ვედრებას. კაცმა რომ თქვას, არც შეეძლოთ რომში დაბრუნება, რადგანაც ავინიონში ფრანგ კარდინალთა უმრავლესობის მძევლებად იქცნენ.

მით უმეტეს განრისხდა იოანე XXII, როცა გაიგო, როგორ გულითადად შეხვდნენ რომაელები მის დაუძინებელ მტერს, ლუდვიგ ბავარიელს. ყოფილ დედაქალაქს განსაკუთრებით ის უხაროდა, რომ ლუდვიგი მოღალატე პაპის მიერ იყო შეჩვენებული და ამიტომ სწორედ რომში მოიჩქაროდა იმპერატორის გვირგვინის თავზე დასადგმელად. ლუდვიგს ცოტა ფული ჰქონდა, მაგრამ იტალიაში ბევრი შემწე იპოვა: დიდძალი თანხები გაიღეს **ვისკონტის**, **დელა სკალასა** და **კასტრაკანის** საგვარეულოებმა. საძულველი იოანეს მტერი მათი მეგობარი იყო. თვით გალატაკებულ ქალაქ რომს თავისი სტუმრისთვის მხოლოდ ტაში და რამდენიმე ხმამაღალი ტიტული აღმოაჩნდა. შეჩვენებული იმპერატორი კაპიტოლიუმის ბორცვზე გადაყენებულმა ეპისკოპოსმა აკურთხა.

ლუდვიგ ბავარიელმა წმ. პეტრეს მოედანზე ავაზაკად და ანტიქრისტედ გამოაცხადა იოანე XXII, შემდეგ ამოარჩია ვინმე ფრანცისკელი მოწესე, **პიეტრო და კორვარა** და **ნიკოლოზ V**-ის სახელით პაპად აკურთხებინა იგი.

მაგრამ ეს ზეიმი ალმოდებულ ნამჯასავით მალე ჩაინავლა. როგორც კი რომში ხმა დაირხა, რომ სამხრეთიდან **რობერტ ანჟუელი** მოდიოდა ლუდვიგზე უფრო ძლიერი ჯარით (ამას მაინცდამაინც ბევრი არ სჭირდებოდა), იმწამსვე ეჭვი შეეპარათ როგორც ლუდვიგის გვირგვინის, ასევე ნიკოლოზის ტიარის კანონიერებაში. ეს ეჭვი რობერტის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო ძლიერდებოდა. მაგრამ როდესაც რომაელებმა დაინახეს, რომ სტუმრად მოსული გერმანელები სახლებს ცლიან და ჩრდილოეთისკენ გარბიან, უკვე მტკიცედ აღიარეს, რომ ერთადერთი ლეგიტიმური პაპი ავინიონში მჯდომი იოანე XXII იყო. გერმანელებს ახალგამომცხვარი ნიკოლოზიც გაჰყვა და პიზაში ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი.

პიზელებმა უღალატეს ნიკოლოზს, ბორკილები დაადეს და იოანესთან გააგზავნეს ავინიონში ძვირფასი საჩუქრის სახით. იოანე XXII-ს ღმერთი არ სწამდა. შესაბამისად არც ეკლესიის შეურაცხყოფა მიაჩნდა დიდ რამედ. შიშისაგან თავზარდაცემულ ნიკოლოზს მხოლოდ შეცოდების საჯაროდ აღიარება მოსთხოვა, მერე საკუთარი სასახლის ფლიგელში დაასახლა თავისი უილბლო მეტოქე და იქ მშვიდად დაბერებისა და სიკვდილის საშუალება მისცა.

ამასობაში ლუდვიგი ნელ-ნელა მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ. გზად მდიდარ გამოსასყიდს ითხოვდა იტალიური ქალაქებისგან მათ გაძარცვაზე უარის თქმის ფასად. ბოლოს და ბოლოს ალპებს მიღმა გადაიხვეწა და ყველას გულში ზიზღი და უნდობლობა დატოვა.

■ ■ ■

რომის დაცემა კიდევ უფრო საცნაური გახდა: უკიდურესად გაამაყებული მეტროპოლია ლამის სოფლის ტიპის დასახლებად გადაქცეულიყო.

1343 წელს მოსახლეობას საბოლოოდ გადაეწურა იმედი, რომ ქალაქის არისტოკრატი მმართველები პაპს დაუბრუნებდნენ. ხალხმა საკუთარი ინიციატივით განსაკუთრებული დელეგაცია წარგზავნა ავინიონში. დელეგაციას სათავეში უდგა ახალგაზრდა ნოტარიუსი, **ნიკოლა დი რიენცო კაბრინი**, რომელსაც ყველა უბრალოდ **კოლა დი რიენცოს** უწოდებდა. ეს ყმაწვილი მედუქნისა და მრეცხავი ქალის ვაჟი იყო, ტიბროსისპირა უღარიბეს უბანში გაზრდილი. ტრასტევერეს დღევანდელ მცხოვრებლებსაც ადვილად გაარჩევ დანარჩენი რომაელებისაგან გამოთქმითა და მიხრა-მოხრით. სწორედ ამ ხალხის გულღია და მუდამ აღგზნებულ ხასიათს განასახიერებდა კოლა დი რიენცო. ერთი ჩვეულებრივი იტალიელი "ბუნტისთავი" იყო, რომელიც ლაპარაკისას საკუთარი სიტყვებით თვრება, მერე თვითონვე იჯერებს საკუთარ ტყუილს, საბოლოოდ კარგავს ნათქვამის საზრისის გრძნობას და მერე ზომა-წონის შეგრძნებასაც.

ავინიონში ჩასულმა კოლამ პაპზე ადრე იტალიელი პოეტი, **ფრანჩესკო პეტრარკა** მონახულა, რომელიც იმ დროს კურიასთან დაახლოებული და ძალიან გავლენიანი პიროვნება იყო. პოეტი მუდამ შორს იდგა პოლიტიკისგან და არასოდეს გარეულა ინტრიგებში. მაგრამ ნოტარიუსმა მოახერხა მისი გულის დაპყრობა: ელაპარაკებოდა რომზე, წარსულ დიდებაზე, იმპერიაზე, ავგუსტუს კეისარზე, თაღებზე, სვეტებიან დარბაზებზე, არწივებზე, დიად გამარჯვებებზე. ორი წლით ადრე ხომ თვით პეტრარკას დაადგეს დაფნის გვირგვინი კაპიტოლიუმის ბორცვზე, სადაც პოეტმა რომის დიდი წარსული დაიტირა და მის მკვდრეთით აღდგენას შეევედრა ღმერთს. ამ ოცნების აღსრულების შემძლედ მიიჩნია კოლა დი რიენცო და თანადგომა აღუთქვა.

ამ დროისთვის იოანე XXII უკვე გარდაცვლილი იყო და მის ადგილზე **კლიმენტ VI** იჯდა — დიდი სენიორი და კიდევ უფრო მეტი სკეპტიკოსი. პაპი უცებ მიხვდა, რომ კოლა დი რიენცოს სახით მის წინაშე ეგზალტირებული სუბიექტი დგას. მაინც ყურადღებით მოისმინა ამბები იმის შესახებ, როგორ იყენებენ ბოროტად რომაელი არისტოკრატები თავიანთ ტიტულებს, როგორ აქციეს წმიდა ქალაქი უსაფუძვლო პოლიტიკური ამბიციების ასპარეზად და მათი ავხორცი ვნებების სათარეშოდ. პაპს წესად ჰქონდა, ხელცარიელი არავინ გაეშვა. ამიტომ კოლა დი რიენცოსაც მიუთვალა თავისი წინამორბედის მიერ კრიჟანგობით შეგროვილი უთვალავი სიმდიდრიდან რამდენიმე ასეული ფლორინი.

ფულითა და კურთხევით გულმოცემულმა კოლამ, რომში ჩამოსვლისთანავე საქმეს მიჰყო ხელი. კაპიტოლიუმის მოედანზე ბრბოს წინაშე გამოჩნდა თეთრ ტოგასა და უცნაურ თავსაბურავში გამოწყობილი. თავი რომის პარლამენტის თავმჯდომარედ, სენატორად და რომის რესპუბლიკის აღმდგენად გამოაცხადა. არავინ იცოდა, რა კონკრეტულ ძალაუფლებას გულისხმობდა ეს გაურკვეველი ტიტული. პასუხად კოლამ სახალხო მილიცია დააარსა და შეაიარაღა.

თავიდან საქმე არცთუ ცუდად წავიდა: აღდგა საფინანსო პოლიტიკა და სამართლებრივი ხელისუფლება. თვით თავადი პიეტრო კოლონაც კი გაასამართლეს და ციხეში ჩასვეს ძალაუფლების გადამეტებისათვის. მაგრამ წარმატებამ თავბრუ დაახვია სახალხო ტრიბუნს და მანაც საკუთარ თავს "ქრისტეს ნებით წმიდა რომაული იმპერიის აღმდგენელი" უწოდა. ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე ექვსი ოქროს გვირგვინი დაიდგა თავზე, თავი მსოფლიოს მბრძანებლად გამოაცხადა და ყველა ქვეყნის მეფეები რომში მოიწვია სტუმრად, რათა თაყვანი ეცათ მისთვის.



რომი. კაპიტოლიუმის მოედანი დღეს

მეორე დღეს თავისუფლება მიანიჭა იტალიის ყველა ქალაქს და რომაულ ქალაქებად გამოაცხადა ისინი. ჰაერში იქნევდა ხმალს და იძახდა: "ეს მე მეკუთვნის, ესეც მე მეკუთვნის და ესეც მე მეკუთვნის!". გარეთ თეთრ ცხენზე ამხედრებული გამოდიოდა, ოქრომკედით შემკულ აბრეშუმის სამოსში გამოწყობილი და ამალის სახით ასი შეიარაღებული რაინდი მოჰყვებოდა. ამის შემხედვარე თავადმა **სტეფანო კოლონამ** ერთხელ ჩაიცინა. კოლა დი რიენცომ დააპატიმრა ის და მისი თანმხლები წარჩინებულები, ბორკილდადებულნი წალალა ისინი კაპიტოლიუმის მოედანზე, მოითხოვა პარლამენტისგან მათი სიკვდილით დასჯის ბრძანება, მერე შეიწყალა და სამთავრობო თანამდებობები დაურიგა ყველას. კოლონა და მისი მომხრეები გაექცნენ შეშლილ ტრიბუნს და მის წინააღმდეგ ჯარის შეგროვება დაიწყეს.

აქამდე პაპი, რომელსაც დიდად არ ეპიტნავებოდა რომაელი არისტოკრატია, ერთგვარი მოთმინებით ეპყრობოდა კოლა დი რიენცოს. მაგრამ საბოლოოდ ისიც მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და მის წინააღმდეგ ბულა გამოსცა. ბულაში ნათქვამი იყო, რომ თუ რომის ტრიბუნი გონს ვერ მოეგებოდა, პაპი ქალაქს იუბილეთა გამართვის უფლებას წაართმევდა. რომის არისტოკრატები თავიანთი შეიარაღებული ბანდებით ქალაქის კედლებს ალყით შემოეწყვნენ. კოლა დი რიენცომ განგაში ატეხა, მაგრამ მის ძახილზე არავინ გამოჩენილა: ხალხს სძულდა არისტოკრატები, მაგრამ იუბილეთა გამართვის შესაძლებლობა კიდევ უფრო სანატრელი იყო, რადგან ეს ერთადერთი რამ დარჩა რომს თავისი მნიშვნელობის დასამტკიცებლად.

კოლა ქალაქიდან გაიქცა და, არავინ იცის როგორ, თავი გერმანიაში ამოყო. აქ იმპერატორმა **კარლოს ბოჰემიელმა** შეიფარა. პაპმა კოლას თავი მოითხოვა. იმპერატორმა სტუმარი არ გაიმეტა, მაგრამ ერთი წლის მერე თვითონ კოლა გაუდგა გზას ავინიონისკენ. პეტრარკამ მასთან შეხვედრა არ ისურვა, მაგრამ წერილით სთხოვა პაპს ტრიბუნის შეწყნარება. კოლა დი რიენცო პაპის სასახლის ერთ კოშკში ჩაამწყვდიეს და სულის დასამშვიდებლად საღვთო წერილის კითხვა მიუსაჯეს.

ამ დროს რომში ახალი ამბოხი მოხდა, რომელსაც ვილაც **ბარონჩელი** ხელმძღვანელობდა. აჯანყების დასაცხრობად ახალმა პაპმა, ინოკენტი VI-მ დატყვევებული ტრიბუნი წარგზავნა.

კოლა დი რიენცოს მაოხლოებისას ამბოხებულმა ბრბომ თვითონვე მოახრჩო თავისი წინამძღოლი და ძველ ტრიბუნს ტრიუმფალური თაღი აღუმართა. რომაელები ერთგვარად იმედგაცრუებულნი დარჩნენ მისი ხილვით: ორმოცს გადაცილებული სენატორი და ტრიბუნი საოცრად გასუქებულიყო და ფორმა დაეკარგა. ძალაუფლების მეორე პერიოდი პირველზე უარესი აღმოჩნდა. კოლამ რომში პოლიციური რეჟიმი დააწესა და დღეში რამდენჯერმე საკუთარი სახლის აივნიდან უაზრო და ვრცელი სიტყვით მიმართავდა ხალხს: ხან დიად წარსულს ახსენებდა და ხან ვარდისფერ მომავალს ჰპირდებოდა.

ახლა მის სიგიჟეს ალკოჰოლის სუნიც ახლდა. კოლა დი რიენცო გალოთდა. მისი მეორე გამეფების სამოცდამეათე დღეს მის წინააღმდეგ განრისხებული რომაელები გამოვიდნენ. კოლა მიხვდა, რომ მისი მითი დასრულდა და ლაპარაკი წამოიწყო. მაგრამ ერთ-ერთ მის კარისკაცს შეეშინდა, რომ ტრიბუნი თავისი ორატორული ნიჭით ისევ მოახერხებდა ბრბოს დარწმუნებას, უსიტყვოდ მიუახლოვდა და ყელში ხანჯალი ატაკა კოლა დი რიენცოს. დანარჩენმა 99 რაინდმა მას მიბაძა.

ტრიბუნის დასახიჩრებული სხეული ორი დღე ეკიდა აივანზე. რომაელი ქრონისტი, **ფორტიფიოკა** წერდა: "საშინლად მსუქანი იყო, რძესავით თეთრი და გასისხლიანებული. კამეჩს ჰგავდა, ან, უფრო სწორად, დასაკლავ ძროხას".

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი

## სრულიად ლეგენდარული

დიზაინერი ჟან-პოლ გოტიე და ფოტოგრაფი ჟან ბატისტ მონდინო ზღაპრებს ქმნიან



ელვა, ულამაზესი ტყის ქმნილება. მისი ნახვა ზაფხულში, გარიჟრაჟზე შეიძლება, როცა ბალახი ნამითაა დაფარული. მოდელი - ერნ ო`კონორი



შვედეთის ცივ ღამეებში მზის სხივი ლუჩიას მოაქვს. მოდელი - ჯეიდ პარფიტი



ეს წელიწადის ყველაზე გრძელი დღეა, ცხელი ზაფხული. მოდელი - კარენ ელსონი



მშვენიერი ვალკირია სისხლიანი ბრძოლის ველების ქალღმერთია. მოდელი - ჯულია შონბერგი.

# "ვი აი პი" ბელორუსიდან დაბრუნდა



"ვი აი პი" იმედს იძლევა.

პროდიუსერული კომპანიის 5 Lines Production-ის გოგონათა ჯგუფი "ვი აი პი" რამდენიმე დღის წინ საერთაშორისო ფესტივალიდან, Золотой Шлягер-იდან დაბრუნდა. ვლადიმირ მულიავინის სახელობის, რიგით მე-8 საერთაშორისო კონკურსი ბელორუსში, ქალაქ მოგილიოვში გაიმართა. გოგონები თბილისში ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისათვის დაწესებული ჯილდოთი და სპეციალური პრიზით დაბრუნდნენ.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა საესტრადო სიმღერების ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსიც, სადაც "ვი აი პის" ერთ-ერთმა სოლისტმა - ნათია წასიძემ მიიღო მონაწილეობა. ფესტივალზე "ვი აი პი" ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ "ექსტაზთან" ერთად გაემგზავრა. პირველ კონკურსზე, რომელიც საუკეთესო ვოკალურ-ინსტრუმენტული ჯგუფის გამოვლენას ისახავდა მიზნად, რვა ქვეყნის ათი ჯგუფი მონაწილეობდა. სოლო-შემსრულებელთა კონკურსზე კი - 15 ქვეყნის 18 მონაწილე ცდიდა ბედს. "ვი აი პის" საკონკურსო რეპერტუარი რუსული და ქართულენოვანი სიმღერებით იყო შედგენილი.

დაიწყო მუშაობა რამდენიმე საკმაოდ სერიოზულ ერთობლივ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს "ვი აი პის" სიმღერების საზღვრებს გარეთ გატანას.

# რემბრანდტი სანაგვე კალათაში



ნაპოვნი რემბრანდტი.

ლონდონის ჩრდილოეთით, ბედფორდშირის საგრაფოში მდებარე საქველმოქმედო მაღაზიაში, სანაგვე კალათში რემბრანდტის ოფორტი იპოვეს. ნამუშევარი სახელწოდებით "ორი ლატაკის დიალოგი" შესრულებულია 1630 წელს, თუმცა სპეციალისტების აზრით, ის სახელოვანი ფლანდრიელი ფერმწერის გარდაცვალების შემდეგ, 1669 წელს დასრულდა. ოფორტს 4 დეკემბერს გასაყიდად გაიტანენ და მისი საწყისი ფასი 2 ევრო იქნება. შეთანხმების მიხედვით, აღებული თანხის ნაწილი მაღაზიას დარჩება.

# შალვა დავითაშვილის 70 წლისთავთან დაკავშირებით

თანამედროვე კომპოზიტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შალვა დავითაშვილის 70 წლის იუბილე 30 ნოემბერს ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 სამუსიკო სკოლაში აღინიშნება.

როგორც სამუსიკო სკოლის დირექტორმა თამაზ მოლაშვილმა გვაცნობა, შალვა დავითაშვილის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ამავე სკოლის მოსწავლეები, რომლებიც კომპოზიტორის ნაწარმოებებს შეასრულებენ. კონცერტზე დაუკრავს აგრეთვე მე-19 სამუსიკო სკოლის ახლად შექმნილი გოგონათა სასულე ორკესტრი. სკოლის დირექციის ეს ინიციატივა წლების განმავლობაში შალვა დავითაშვილს მე-19 სამუსიკო სკოლასთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობას უკავშირდება. კომპოზიტორი 1965-1970 წლებში მე-19 სამუსიკო სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

ამჟამად შალვა დავითაშვილი თბილისის მე-2 სამუსიკო სასწავლებელში პედაგოგად მუშაობს. ამასთანავე, იგი არის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი და ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი. შალვა დავითაშვილს შექმნილი აქვს არაერთი საფორტეპიანო, სიმფონიური ნაწარმოებები, რომანსები და ბალეტი - "ზვიადაური".

კომპოზიტორს მე-19 სამუსიკო სკოლაში იუბილეს თავისი კოლეგები და მეგობრებიც მიულოცავენ. **მედია-ნიუსი**

# "რუსთავის" კომპაქტ-დისკი საბერძნეთში გამოვა

ქართული ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი "რუსთავი" უახლოეს მომავალში ახალი კომპაქტ-დისკის პრეზენტაციას გამართავს. როგორც ანსამბლის ქორმეისტერმა ბადრი თოიძემ განაცხადა, კომპაქტ-დისკი საბერძნეთში გამოვა ათენში მცხოვრები ერთ-ერთი ქართველი თანამემამულის ინიციატივით.

ახალ დისკზე ქართული ხალხური სიმღერები და საგალობლები იქნება ჩაწერილი. დისკი, რომლის ტირაჟი 2 ათასი იქნება, საბერძნეთსა და საქართველოში გაიყიდება. როგორც ბადრი თოიძე ამბობს, დისკში შესულია "რუსთავის" ახალი და ძველი 20-მდე ჩანაწერი. ანსამბლი პრეზენტაციის შემდეგ იაპონიაში გაემგზავრება, სადაც საშობაო კონცერტებს გამართავს. **მედია-ნიუსი**

## სკანვორდი



## TV პროგრამა

27 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.50** კურიერი **18.25** სერიალი "ჯადოქარი" **18.55** სერიალი "მაშველები" **19.50** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი **23.00** ღამის კურიერი **00.30** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი "შიშის ფასი". მთ. რ-ში: მორგან ფრიმენი, ბენ აფლეკი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "რემბო-3" **11.40** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** "გაცოცხლებული სურათები" **15.15** მხ. ფილმი "ფულის მეფენი" **16.50** დოკ. ფილმი "კორტო მალტეზის 13 ცხოვრება" **17.45** მულტსერიალი "ჩემი პატარა ძვირფასი პლანეტა" **17.50** რამპა **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "თეთრი დედოფალი"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მშობლების გაცნობა". მთ. რ-ში რობერტ დე ნირო, ბენ სტილერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ზრავო" "ფელიქსი და ლოლა". მთ. რ-ში შარლოტა გინსბურგი, ფილიპ ტორეტონი. **01.50** "ღამურა" მხ. ფილმი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ცხოვრება ყარს" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ანა და ხელმწიფე"

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "უკანასკნელი გაქცევა" **21.00** დოკ. ფილმი "ორსეს მუზეუმი" 1-ლი ნ. **22.10** მხ. ფილმი "რემბო-2"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მორიელთა მეფე" **13.30** მხ. ფილმი "განგსტერული ომები" **15.00** მხ. ფილმი "კანზას სიტი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "დიდი კუში" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "განგსტერები"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "კუბი" **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთის ცათამბჯენი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "კოქტეილი" **13.30** მოკლ. მხ. ფილმი **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ქალთა სავანე" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ქალთა სავანე" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** რუს. მხ. ფილმი "ალთუ და თოხანი"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 14.40, 17.20, 00.40** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** ერთხელ ჰოლივუდში **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "სარას განქორწინება" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **22.50** მხ. ფილმი "გოგონა ხიდზე"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** ფანტასტიკა "ჯუმანჯი" **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია "შანჰაის რაინდები" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "შანჰაის რაინდები" (გაგრძელება) **14.20** მელოდრამა "ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება" **16.20** მულტფილმი "ძაღლი ლას-ვეგასიდან" **17.30** კომედია "თქვენი არჩევანი, მადამ" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **19.55** ისტორიული ფილმი "მუსიე ტ" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00, 05.35** მუსიკა **01.20** დრამა "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" **03.40** ფილმი-კატასტროფა "დღის სინათლე"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.00** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.50** მელოდია **11.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.30** მელოდია **13.45** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** მობილურები **19.00** "აჩიკუდა" **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** კომპიუტერული ტექნიკა **21.00** "ღამის კაპრიზი" **21.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.30** "კინოკლუბი " - "ბარი "საძაგელი კოიოტი". კომედია რეჟ. დევიდ მაკნელი. როლებში: მარია ბელო, ჰონ გუდმანი . **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **01.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10 Боевик "Родина ждет". 3-я с. 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.20** Город женщин **14.20 Морская пехота в боевике "Берем все на себя" 16.20, 02.00** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **20.50 Звезды фигурного катания.** Показательные выступления Гран-при Кубка России **22.00, 00.30** Время **22.30 Боевик "Родина ждет". 4-я с. 23.40** "Человек и закон" с Алексеем Пимановым **01.00** Ударная сила. "Ослепительный МиГ" **01.30** "Сканер" **02.20 Коломбо возвращается в детективе "Двойной удар" 03.40 Клаус-Мария Брандауэр в фильме "Корабль-маяк" 05.20 Сериал "Полтергейст" 06.05 Сериал "Убойная служба" 06.20** "Шутка за шуткой"

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45** Комната смеха. **11.45, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Короткое замыкание". Ток-шоу. **13.50, 23.00 Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ" 15.30** "Что хочет женщина". **16.30 16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** Выборы-2003. **21.50** Спокойной ночи, малыши! **00.00** Вести+. **00.20** "Исторические хроники" с Николаем Сванидзе. "1909. Азеф". **01.15** Народный артист. **01.40 Премии "Оскар" и "Золотой глобус". Психол. драма Алана Паркера "ПОЛУНОЧНЫЙ ЭКСПРЕСС" 04.10** Дорожный патруль **04.25** Агентство одиноких сердец **04.50 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.45 Сериал"ЧЕРНЫЙ ВОРОН-2". 11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос: стенка на стенку. **12.15** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30** "Внимание: розыск!" "Убить дракона". Часть 2-я. **13.55 Елена Цыплакова в фильме "СЧАСТЛИВАЯ, ЖЕНЬКА!" 15.35** По праву. **16.35** "Бюджетное рабство". Ток-шоу "Принцип домино". **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" (США). 19.35** "Делайте ваши ставки..." "Профессия - репортер". **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 21.45 Остросюжетный сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2". 22-я серия. 23.00** "Страна и мир". Главные события дня. **23.35** Красная стрела. **23.50** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **01.05** К юбилею Б.Гребенщикова. Премьера. "БГ. Первый полтинник". **02.30** Гордон **03.15 Сериал "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**

# ნიუ იორკს ტერორისტების აღარ ეშინია



სულ მალე ნიუ იორკის თავისუფლების ქანდაკების მონახულება, კვლავაც ყველა მსურველს შეეძლება – იქ უკვე ახალი წლიდან მიიღებენ სტუმრებს. სწორედ ამ დროისათვის დასრულდება ქანდაკების სრულად რეკონსტრუქციის პროცესი. ამუშავდება რამდენიმე დამატებითი გამოსასვლელი და საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების ახალი სისტემა.

ასე რომ, ნიუ იორკის მთავარი ღირსშესანიშნაობა, ტერორისტების შეტევისაგან მაქსიმალურად დაცული იქნება. ყველას, ვისაც თავისუფლების კუნძულზე მოხვედრა ენდომება, თბომავლის ბორტზე ასვლამდე, მეტალოდეტექტორის გავლა მოუწევს. ექსკურსანტების პირად ნივთებს, სპეციალური რენტგენის აპარატურის საშუალებით დაათვალიერებენ.

შეგახსენებთ, რომ მონუმენტი ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით ამერიკას საფრანგეთმა საჩუქრად 1876 წელს გადასცა. თუმცა, მან ნიუ იორკში მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ ჩამოაღწია. და მისი ამერიკული ცხოვრების ათვლის თარიღი 1886 წლის 28 ოქტომბერი გახდა.

ტურისტებისთვის კი ნიუ იორკის სიამაყე 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მალევე დაკეტეს. მაშინ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ის ექსტრემისტების მორიგი დარტყმის ობიექტი გახდებოდა. ახლა ტურისტებს შეუძლიათ, ეწვიონ თავისუფლების კუნძულს, თუმცა მონუმენტის შიგნით და დასათვალიერებელ მოედანზე – გვირგვინებსა და ჩირაღდნებში შესვლა მაინც აკრძალულია. რასაკვირველია, ეს ბევრს არ მოსწონს. 2002 წლიდან მოყოლებული თავისუფლების კუნძულს სულ რაღაც 2,7 მილიონი ადამიანი ეწვია, ეს ციფრი 40 პროცენტით ნაკლებია წინა წლების დამთვალიერებლებთან შედარებით.

აშშ-ს უმსხვილესი ქალაქის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა განაცხადა, რომ ქანდაკების გახსნა, ნიუ იორკელებისთვის ღირსების საკითხია. “მიმაჩნია, რომ ტერორისტები გარკვეული თვალსაზრისით მოგებულები არიან, ვიდრე მონუმენტი დაკეტილია. ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ”, - აცხადებს ნიუ იორკის მერი.

საკითხს გამოეხმაურა ძველი ნიუ იორკელი მარტინ სკორსეზეც. მან ბლუმბერგთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბლუზზე ძალზე საინტერესო ფილმის გადაღების შემდეგ, შექმნის დოკუმენტურ ტელესურათს თავისუფლების ქანდაკების შესახებ და ასე დაეხმარება რეკონსტრუქციისთვის საჭირო ფონდს. სკორსეზე ფილმში თავად იკისრებს მთხრობელის ფუნქციასაც. მისი ნამუშევარი ეთერში 15 იანვარს, ისტორიის ტელეარხზე გავა.

რეჟისორი ნიუ იორკელებს არწმუნებს: “შემოთავაზება უყოყმანოდ მივიღე. ამ ქალაქის პრობლემებს ისედაც ყოველთვის ემოციურად ვუდგები ხოლმე”. სკორსეზე იხსენებს იმ დროსაც, როდესაც მისი ემიგრანტი წინაპრები იტალიიდან ამერიკაში გემით ჩავიდნენ და თავისუფლების ქანდაკების გვერდით გაცურეს – ანუ, პირველი, რაც მათ დაინახეს, ამერიკული თავისუფლების სიმბოლო იყო. ახლა რეჟისორს იმედი აქვს, რომ მისი დოკუმენტური ფილმი ამერიკული დემოკრატიის გახსენება და დაპირება იქნება.

ცხადია, სკორსეზეს ემოციურ ტონს ბლუმბერგიც იზიარებს. ის დასძენს: “მრავალი ნიუ იორკელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში თავისუფლებისთვის იბრძვის. თავისუფლების ქანდაკება სწორედ ამ ბრძოლის სიმბოლოა. მისი გახსნით ყველას უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენ ბრძოლას მოვიგებთ და რომ ნიუ იორკი მუდამ იქნება მსოფლიოს მეორე სახლი”.

აღსანიშნავია, რომ მონუმენტის რეკონსტრუქციაში უკვე 5 მილიონი დოლარია ჩადებული. ფონდს მსურველები ახლაც სწირავენ თანხებს.

## შიდსი მსოფლიოში 2003 წლისთვის




## შიდსის მაჩვენებელი იზრდება







**PEPSI COLA**-ს

ოფიციალური ბოთლერი საქართველოში შპს."იბერია რეფრეშმენტი" სამუშაოდ იწვევს უმაღლესი განათლების მქონე 25 წლამდე ახალი მამაკაცებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე. სამსახურში მიღება წარმოებს ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე. უპირატესობა მიენიჭება ა/მ მართვის მქონე პირებს.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოაგზავნოთ ავტობიოგრაფია (CV) ფაქსზე: 91 11 36

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 28. 11. 2003.










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.